პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 მარტი ოთხშაბათი 2014
№052 (14 273) ფასი 80 თეთრი

# ირლანდიელები ჭანტურიას უფრთხიან!




4

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდარია, თუ მხოლოდ სძინავს?

# დღეს გავიგებთ!

მანჩესტერ იუნაიტედი ბეწვის ხიდზე

8



# ახლა სამუელის დროა

ეტო'ომ და ჩელსიმ დროგბა და გალათასარაი გაიარეს







„მეფის დაბრუნება" - ასე დახვდნენ დროგბას ჩელსის ფანები

9

## რონალდო მესის რეკორდს მიუახლოვდა







# ვის რა აწყობს, ის ჩააწყობს...

საქართველოს ჩემპიონატი და ჩაწყობილი მატჩები 12 მწვრთნელის თვალით

2

თემა განსჯისთვის

# ვის რა აწყობს, ის ჩააწყობს...

## საქართველოს ჩემპიონატი და ჩაწყობილი მატჩები 12 მწვრთნელის თვალით


ლადო ბურდული

ამ სამი წლის წინათ ქართულ ფეხბურთში უპრეცედენტო ამბავი მოხდა: ჩაწყობილ მატჩებში მონაწილეობისა და ტოტალიზატორებთან უკანონო გარიგებების ბრალდებით ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი დააკავეს - „ვიტ ჯორჯიას" ნახევამცველი **გიგა ბექვაია**, ზუგდიდის „ბაიას" კაპიტანი **როინ ონიანი**, ასევე ზუგდიდელი **ლევან ვართაგავა** და სამტრედიელები - **სპარტაკ გოგია** და **კახა კირთაძე**.

რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ხსენებული პერსონები პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა. ქვეყნის წინა ხელისუფლება ფარულ ჩანაწერებში ხელგაწაფული იყო და ამ ფეხბურთელების დაკავებაც სწორედ ამის საშუალებით მოხდა.

*„ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რათა გამოვავლინოთ მსაჯები, რომლებიც მოლაპარაკებებში შედიან ფეხბურთელებთან. აქ კი, თურმე, ფეხბურთელები ყოფილან ერთმანეთში გარიგებული - წინასწარ იციან, რამდენი ყვითელი ბარათი და აუტი იქნება მატჩში, ვის როდის შეცვლიან... უკვე გავამზადეთ წერილი, რომელსაც უეფასა და ფიფას გავუგზავნით და მივიღებთ ზომებს იმ ფეხბურთელების წინააღმდეგ, ვინც გარეული იყო ამაში. არ მგონია, საუბარი იყოს მხოლოდ ოთხ-ხუთ ფეხბურთელზე. ჩემი აზრით, აქ ლაპარაკია გუნდებზე. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელი, რომელიც მზად არის, გაყიდოს საკუთარი გუნდი, ის გაყიდის თავის ქალაქსაც და ქვეყანასაც. ის, რომ რაღაც ხდებოდა ჩვენს ჩემპიონატში, ყველასთვის ცნობილი იყო, მაგრამ რა და როგორ, არ ვიცოდით. დაისჯება ყველა კლუბი, მისი წარმომადგენელი თუ ფეხბურთელი, ვინც იქნება ამ საქმეში გარეული. ის ფეხბურთელები, ვინც დაიჭირეს, მხოლოდ აისბერგის თავია, ჩვენ უნდა გავარკვიოთ ყველა, ვინც ამაში იყო ჩართული. მწვრთნელი იქნება ეს თუ სხვა, ყველა უნდა დაისაჯოს",* - ეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ზვიად სიჭინავას** სიტყვებია.

...და ამ სიტყვების შემდეგ, მოგვიანებით, ფედერაციის აღმასკომმა ამნისტია გამოაცხადა და მოკვეთილ ფეხბურთელებს თამაშის ნება დართო...

ეს ყველაფერი ძველია, თუმცა ბოლო დროს ამ თემამ საფეხბურთო საქართველოში ახალი ძალით იფეთქა და მაშინდელი ამბები გაგვახსენა. „დინამო"-„მეტალურგი", „გურია"-„ჩიხურა", „ზუგდიდი"-„დილა", „ჩიხურა"-„ტორპედო"... ეს იმ მატჩების ნაწილია, რომლებზეც ყველაზე დიდი ხმაური ატყდა და საფეხბურთო საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ წინასწარ იყო გარიგებული. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტური არ ყოფილა, მინიმუმ ერთი მატჩი მაინც არ გამხდარიყო საეჭვო. ამბობენ, ზომაზე მეტად ეჭვიანობა ავადმყოფობააო, თუმცა ჩვენს საქმეში მოტრიალე ხალხს ეჭვიანობის იმდენი საფუძველი აქვს, მხოლოდ მათ გამოძიებას ერთი პროკურატურა ცალკე დასჭირდება...

ყველაზე უცნაური კი, იცით, რა არის?! უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდის მწვრთნელი რომ ამბობს - ჩაწყობილ თამაშებში ჩვენ არ ვმონაწილეობთ, ხოლო სხვა გუნდებში რა ხდება, აბა, რა ვიცითო...

ამ ჩვენი პატივცემული მწვრთნელების გულწრფელობაში ეჭვი, აბა, როგორი შესატანია, მაგრამ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს - ჩაწყობილ თამაშებში, თურმე, არავინ მონაწილეობს; წინასწარ არავინ არავისთან გარიგებულა; ფეხბურთის ფედერაცია არაფერ შუაშია; ამავდროულად კი, ყველა მწვრთნელს აქვს ეჭვი, რომ საქართველოს ჩემპიონატში ჩაწყობილი მატჩები ნამდვილად არის. ისე გამოდის, ამ მამაძაღლობის თავში ჟურნალისტები ვართ, თორემ ფეხბურთში მოსაქმე სხვა არავინ დარჩა.

ისე, ხომ გაინტერესებთ, უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელების აზრით ჩაწყობილი თამაშები არის თუ არა?! მაშ, მოდით, 12-ვე მწვრთნელს მოვუსმინოთ და მერე ვთქვათ, ქართული ფეხბურთის საშველი რაიმე თუ არის ან რა შეიძლება იყოს...

ზოგიერთი მწვრთნელისგან ისეთი რამ გავიგეთ, ვიფიქრეთ, მისამართი ხომ არ შეგვეშალა-თქო, ზოგიერთისგან კი, პირიქით, რაღაცები გაგვიკვირდა კიდეც...

მაშ, ასე: ჩვენი კითხვა უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელებს:

### არის თუ არა საქართველოს ჩემპიონატში ჩაწყობილი მატჩები?

დააკვირდით კითხვის ფორმულირებას. ჩვენ არ გვაინტერესებს კონკრეტულ გუნდს უთამაშია თუ არა გარიგებული მატჩი. მწვრთნელთა უმეტესობამ საკმაოდ ემოციურად, პირველ ყოვლისა, სწორედ გუნდის პატიოსნება აღნიშნა...

### მალხაზ ჟვანია (დინამო)

- ცალსახად რთული სათქმელია. ჩვენ საკუთარ თავზე ვართ პასუხისმგებელი და ჩვენი მხრიდან ყოველთვის დაცულია და დაცული იქნება ფეარ-პლეის პრინციპები. ასევე ჩვენი მხრიდან სხვებზე საუბარი, ვფიქრობ, არ იქნება მართებული. ყველა საკუთარ თავზე უნდა იყოს პასუხისმგებელი.


მალხაზ ჟვანია

### გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)

- ჩაწყობილი მატჩების დასახელებას დამადასტურებელი ფაქტები სჭირდება, რაც მე არ მაქვს. ჭორის საფუძველზე კი რთულია, ვინმეს ხელი დაადო და თამაშების ჩაწყობაში დაადანაშაულო.

### სოსო ფრუიძე (ჩიხურა)

- დიახ, არის ჩაწყობილი მატჩები და ამაზე გამოძიება უნდა დაიწყოს. პროკურატურისთვის ამგვარი თამაშების დადგენა არც ისე რთული საქმეა.

### ლადო ბურდული (სიონი)

- ჩაწყობილ თამაშებზე ეჭვები, ცხადია, არის, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ ამ სიბინძურეში „სიონს" რაიმე სახით მაინც მიეღოს მონაწილეობა. ჩაწყობილი მატჩების გამო, საჭიროა მავანი სამაგალითოდ დაისაჯოს და მერე ასეთი შემთხვევები აღარ იქნება. როცა „სიონში" გენერალურ დირექტორად დავინიშნე, ბიჭებს პირველი სწორედ ის ვუთხარი, რომ გარიგებული მატჩები არ იქნებოდა. ხშირად გამიგია, რომ მატჩის დაწყებამდე უცხოურ ტოტალიზატორებს საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე შეხვედრაზე ფსონები არ მიუღიათ, ან კიდევ, რომელიმე გუნდის კოეფიციენტი თვალში საცემად დავარდნილა. „სიონი" ფულებს სხვას არ სთხოვს და ამას არც არავისგან ელის. თამაშების ჩაწყობაზე ჭორები რომ გაქარწყლდეს, ამისთვის მწვრთნელებისა და პრეზიდენტების შეხვედრა და გულწრფელი ლაპარაკია საჭირო.

### ვარლამ კილასონია (მეტალურგი)

- „დინამოსთან" თბილისში რომ მოვიგეთ, ატეხეს ერთი ამბავი - თითქოს, შედეგი წინასწარ გარიგებული ყოფილიყოს. ჩაწყობილ თამაშებში „მეტალურგი" არ მონაწილეობს, ისე კი, ცხადია, საქართველოს ჩემპიონატში არის დადგმული სპექტაკლები.

### დავით მახარაძე (გურია)

- 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ „გურია" ჩაწყობილ მატჩებს არ თამაშობს. წინასწარ გარიგებაზე ეჭვი, შეიძლება, არის, მაგრამ პირადად მე არ მჯერა, რომ ჩაწყობილი მატჩები არის და თუ მაინც არის, ეს ყველაფერი იმ სისტემის შედეგია, როგორიც დღეს არის საქართველოს ჩემპიონატში.

### რამაზ სოღოლაშვილი (დილა)

- კონკრეტულად ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მატჩი ჩაწყობილი იყო. არც მთლად ისეა საქმე, რომ ამბობენ, ყველა მატჩი ჩაწყობილიაო. ისიც ვიცი, რომ თამაშების ჩაწყობაში ფეხბურთის ფედერაციის დადანაშაულება არ შეიძლება და ასეთ შეხვედრებში არც „დილა" მონაწილეობს.

### ზურაბ ბერიძე (ვიტ ჯორჯია)

- ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატში არის ჩაწყობილი მატჩები.

### რევაზ ძოძუაშვილი (ტორპედო)

- ცხადია, ჩაწყობილი მატჩები არის. ასეთი მატჩები განსაკუთრებით ბევრი იყო ხოლმე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბოლო ტურებში. ისე კი, მატჩების ჩაწყობაზე ლაპარაკი არასერიოზულია, თუ ფაქტი არ დამტკიცდება.

### კახა კაჭარავა (სპარტაკი)

- ჩემს გუნდში თამაშის ჩაწყობა გამორიცხულია. არც აქამდე მითამაშია ჩაწყობილ შეხვედრაში და, ცხადია, მომავალშიც ასე იქნება. ზოგადად კი, მიჭირს თქმა, არის თუ არა საქართველოში ჩაწყობილი მატჩები. არც „კი" მაქვს სათქმელი და არც - „არა".

### გიორგი დარასელია (ზუგდიდი)

- ეჭვებით ლაპარაკს მიჯობს, გითხრათ, რომ საქართველოს ჩემპიონატში ყველა გუნდი სუფთად თამაშობს.

### ზურაბ იონანიძე (მერანი)

- ალბათ, არის ჩაწყობილი მატჩები, მაგრამ ეს „მერანს" არ ეხება. ჩემს გუნდში ჩაწყობაზე ლაპარაკი არ არის და სხვაგან რა ხდება, ვერ გეტყვით.

■ ■ ■

ასეთი პასუხების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ქართული ფეხბურთისადმი მთლად ინდიფერენტულად განწყობილი ქომაგიც კი იფიქრებს, რომ საქართველოს ჩემპიონატი ისეთ სიბინძურეშია, მხოლოდ სახელმწიფო უწყებები თუ გააპატიოსნებენ...

და თქვენ გჯერათ, რომ საქართველოს ჩემპიონატში ჩაწყობილი მატჩები და მამაძაღლობა არ არის? მე არა!

**კობა ინასარიძე**


რევაზ ძოძუაშვილი

თვალსაზრისი


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ...კი არ გავზარდოთ, უნდა შევამციროთ!

**...ჯერ ჩემპიონატის მეორე ეტაპი არ დაწყებულა და უკვე იმაზე ისმის საუბარი, რომ შესაძლოა, მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა... თექვსმეტამდე გაიზარდოს! ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონის დასრულების შემდეგ უმაღლესი ლიგიდან არც ერთი გუნდი არ უნდა გავარდეს და უფრო მეტიც: პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი დაემატოს! ამ შემთხვევაში კი, რაღა აზრი ექნება ქვედა ექვსეულის მატჩებს? ფაქტობრივად, ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ „დილა", „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია", „სპარტაკი", „ზუგდიდი" და „მერანი" ორწრიან „ამხანაგურ ტურნირს" ჩაატარებენ და ამ ყოველგვარ მოტივაციადაკარგულ გათამაშებას თვალს ვინღა მიადევნებს? თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ ეს იდეა არ განხორციელდება, ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე მაინც არ უნდა დაკანონდეს, თორემ, კიდევ ვიმეორებთ, არაფრის მომცემ ტურნირს მივიღებთ...**

...არადა, XXV ჩემპიონატის დებულებაში „შავით თეთრზე" წერია, რომ **„უმაღლეს ლიგაში XI-XII ადგილზე გასული გუნდები 2014-15 წლების XXVI ჩემპიონატში გადაყვანილ იქნებიან პირველ ლიგაში"**; ამ დებულებაში ისიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პირველი ლიგის ორწრიანი გათამაშების შემდეგ A და B ზონის ორ-ორი საუკეთესო გუნდი პლეიოფში გააგრძელებს ასპარეზობას და თბილისში გასამართი ერთწრიანი ტურნირის ორი საუკეთესო გუნდიც მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

ანუ, ყველაფერი მარტივადაა: ორი გუნდი ვარდება უმაღლესი ლიგიდან, ორიც - შემოდის; თუმცა, უმაღლესი ლიგის დატოვება არც ერთ გუნდს არ სურს და დღესდღეობით ეს საფრთხე ვისაც ემუქრება, ალბათ, ამ კარდინალური ცვლილებების იმედზეც არიან. არადა, გულახდილად რომ ვთქვათ, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდასა კი არა, პირიქით, შემცირებაზე უნდა ვიფიქროთ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც (რომელიც პროფესიული ფეხბურთის ლიგის არარსებობის პირობებში ატარებს კიდეც ჩემპიონატს) უკვე მომავალი სეზონიდანვე დაიწყოს ფიქრი ამ ტენდენციაზე. მით უფრო, რომ ყველას კარგად გახსოვთ, თუ რა „ხეირი" მოიტანა არცთუ შორეულ წარსულში უმაღლეს ლიგაში გუნდების 16-მდე გაზრდამ.

არც ის დაგვიწყებია (ასევე ახლო წარსულში მომხდარი), ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 (!) ტურით ადრე „ზემოდან" წამოსული დირექტივის შედეგად ჩემპიონატის დებულება რომ შეცვლილა და პირველ ლიგაში, ფაქტობრივად, დაქვეითებულ გუნდსაც, გარკვეული პოლიტიკური ნიშნით... „საფეხბურთო ამნისტიაც" შეხებია!

მსგავსი მაგალითები ახლო წარსულში არაერთი იყო, მაგრამ იმ პირობებში, როცა უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის ნახევარს დღესდღეობით სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში უწევთ „საშინაო" მატჩების ჩატარება, რომელ 16-გუნდიან ჩემპიონატზეა ლაპარაკი?

### ნეიტრალური ჩემპიონატი

... მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე რამდენჯერმე იყო ისეთი შემთხვევა, როცა ტურის ლამის ექვსივე მატჩი... ნეიტრალურ მოედნებზე ტარდებოდა! აი, ასე, თითქმის „მოგზაურობაში" გაატარეს პირველი ეტაპი „სიონმა", „მერანმა", „ჩიხურამ", „სპარტაკმა", „გურიამ"; ან, იქნებ „ზუგდიდისათვის" იყო კომფორტული საშინაო მატჩების განმუხურში ჩატარება?

თუმცა, უარესი წინ გველოდება: სულ მალე მეორე ეტაპი დაიწყება და ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი ფიქრი დასჭირდებათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის წარმომადგენლებს ქვედა ექვსეულის... კალენდრის შესადგენად! თავად განსაჯეთ: ქვედა ექვსეულის ორი გუნდი („სიონი", „სპარტაკი") საშინაო მატჩების უმრავლესობას ხომ თბილისში, „მიხეილ მესხზე" ატარებდა და ახლა ამათ „ტორპედოც" დაემატა!

მოგეხსენებათ, დისკვალიფიკაციის გამო ქუთაისურმა გუნდმა 5 საშინაო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე უნდა გამართოს და აღმასკომის გადაწყვეტილებით, „ტორპედოც" თბილისში, ამავე სტადიონზე „უმასპინძლებს" მეტოქეებს. არადა, პირველ ეტაპზე იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა იმავე „სიონმა" და „სპარტაკმა" თავისი „საშინაო" მატჩები გორსა თუ მცხეთაში ჩაატარა, მაგრამ ახლა მსგავსი რამის გაკეთება, ფაქტობრივად, გამორიცხულია: „დილაც" და „ვიტ ჯორჯიაც" ხომ ქვედა ექვსეულში არიან...

...ერთ-ერთი პირველი, ვინც საჯაროდ დააფიქსირა საკუთარი აზრი უმაღლეს ლიგაში გუნდების 16-მდე გაზრდასთან დაკავშირებით, ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **მურთაზ ხურცილავა** გახლდათ. თბილისის „დინამოსა" და „საბჭოთა კავშირის ნაკრების მართლაც ლეგენდარული კაპიტანი, ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც სამივე უდიდეს ტურნირზე (მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ოლიმპიადა) მედალი აქვს მოპოვებული, თავისი ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, მუდამ გამოირჩეოდა ამა თუ იმ პრობლემატურ საკითხზე საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვით.

თუმცა, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მცველსა და მართლაც ბუმბერაზ ფეხბურთელს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერაფრით დავეთანხმებით! ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდების გაზრდის სურვილი ავტომატურად ნიშნავს ამ სეზონის შედეგების მიხედვით... არც ერთი გუნდის გავარდნას, ეს კი, ზემოთაც აღვნიშნეთ, ყოველგვარ სპორტულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ამას გარდა, არანაკლებ აქტუალურია კლუბების ლიცენზირების გამკაცრების საკითხიც და აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც პარადოქსულ ფაქტზე, როცა თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდების თითქმის ნახევარი საშინაო მატჩებს... საკუთარ მოედანზე ვერ ატარებდა. ეგ კი არა, ისეთი გუნდებიც გვყავს, საერთოდ, საკუთარი სტადიონი რომ არ გააჩნიათ! თანაც, ეს უკვე წლებია, რაც გრძელდება...

### ექვსეულები უნდა გაუქმდეს!

შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მურთაზ ხურცილავას არაერთი ქართული გუნდი გაუწვრთნია ჯერ საკავშირო პირველობის დროს, მერე კი - საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც („ოდიში", „გურია", „შევარდენი-1906" „სამტრედია", თბილისის „ლოკომოტივი"); ერთი პერიოდი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაციც გახლდათ და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს იყო თბილისის „დინამო" ყველაზე ახლოს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად (1998 წელს).

ანუ, შესაძლოა, რომ გარკვეულ საკითხში მწვრთნელის პოზიციიდან მოსაუბრე ხურცილავას დავეთანხმოთ, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარების პირობებში თამაშების ოპტიმალური რაოდენობაც (30) იქნება (რასაც სათასო შეხვედრებიც დაემატება) და კალენდარიც, მეტ-ნაკლებად „ადამიანურად" შედგება! ანუ, სანაკრებო ინტერესებიც უპრობლემოდ იქნება გათვალისწინებული და უმაღლესი ლიგის გუნდებსაც აღარ მოუწევთ ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ოფიციალური შეხვედრების ჩატარება (აი, ახლა რომ ელოდებათ აპრილ-მაისში).

თუმცა, ეს მოდელი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ საქართველოში მართლაც იქნება ისეთი 16 გუნდი, საკლუბო ლიცენზირების ყველა მოთხოვნას რომ დააკმაყოფილებს; დღესდღეობით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ 12-დან ათ გუნდამდე ჩამოვიდეთ და მერე, იმ ათგუნდიანშიც ისეთი სისტემა უნდა მოვიფიქროთ, რაც შეიძლება ნაკლებად რომ იყოს უმოტივაციო მატჩები.

აი, მაგალითად, მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს ინტრიგა და თითოეულ ადგილს „ოქროს ფასი" ედოს: ბოლო სამი ან ოთხი გუნდი ავტომატურად უნდა ვარდებოდეს პირველ ლიგაში, ან კიდევ პლეიოფების სისტემაა შემოსაღები. არადა, **მერაბ ჟორდანიას** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისას სწორედ გუნდების შემცირების ტენდენცია დაიწყო და ათ გუნდამდეც „ჩამოვედით"; თუმცა 2005 წლის ზაფხულში ყოვლად გაუგონარი რამ მოხდა: უმაღლესი ლიგიდან არავინ გააგდეს და პირველი ლიგის ორ გამარჯვებულთან ერთად აღზევების ნება მესამე-მეოთხე ადგილოსნებსაც მისცეს და კიდევ ორი გუნდი კი... პოლიტიკური ნიშნით დააწინაურეს!

საბედნიეროდ, დღესდღეობით „ზემოდან" უმაღლესი ლიგის ხელოვნურად გაზრდასაც არავინ ითხოვს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც სეზონის დასრულებისას დებულების შეცვლასაც არავინ „სთავაზობს". ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შარშანაც ხომ იგივე ხელმძღვანელობა ჰყავდა ფეხბურთის ფედერაციას, როცა უმაღლესი ლიგის დატოვება ისეთ ტრადიციულ გუნდებს მოუხდათ, როგორიც ბათუმის „დინამო" და ფოთის „კოლხეთია"; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს „კოლხეთს" 100 წლის იუბილე ჰქონდა...

აი, რაც შეეხება ჩემპიონატის „ზედა" და „ქვედა" ექვსეულებად დაყოფას, ჩვენი აზრით, ეს სისტემა, საერთოდ უნდა გაუქმდეს! ბოლოს და ბოლოს, სალაპარაკო აღარავის ექნება: „ამან" „იმას" ზეექვსეულისკენ გზა სამომავლო 6 ქულის სანაცვლოდ გაუხსნა, მეორემ სამომავლოდ დაბავება გარანტირებული ქულები და ასე შემდეგ...

**გია ტუხაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# მამუკა კვარაცხელია სახელმწიფო კომისიაში?

## უეფას მედიაოფიცერი პასიურობას არ აპირებს


მამუკა კვარაცხელია

**საქართველოს** ფეხბურთელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ბესიკ აბაშიძემ „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, რომ უეფას მედია-ოფიცრის მამუკა კვარაცხელიას შეყვანას ისურვებდა იმ კომისიაში, რომელიც სახელმწიფომ ქართული ფეხბურთის გადასარჩენად შექმნა.

შეგახსენებთ, რომ 24 წლის წინათ კვარაცხელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდათ და უკვე მეთორმეტე წელია, უეფაში მედიაოფიცრად მუშაობს. კვარაცხელია ორჯერ იყო სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი და ფეხბურთის განვითარებაზე ორიგინალური ხედვებიც გააჩნდა.

გავრცელებული ინფორმაციით, კვარაცხელიას სახელმწიფო კომისიაში შეყვანის საკითხი მართლაც განიხილება. მას გუშინ დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ:

- ბესო აბაშიძის წინადადება ძალიან მესიამოვნა. მან იცის პროფესიონალის ფასი, თუმცა ამ საკითხზე მანამდე ვიზრუნე - 21 თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მისაღებში განცხადება და ჩემი ავტობიოგრაფია დავტოვე. სხვათა შორის, მალევე, ოთხ დღეში, მივიღე პასუხი, რომ საკითხი განსახილველად სპორტის სამინისტროს გადასცეს. როგორც კანონმორჩილმა მოქალაქემ, ორი კვირა ველოდე პასუხს და რომ აღარ შემეხმიანნენ, თავად დავრეკე სპორტის სამინისტროს მისაღებში. თურმე, ჩემი საქმე შესასწავლად მინისტრის მოადგილე ირაკლი დოლაბერიძეს გადასცეს და რამდენიმე დღეში საბოლოოდ გაირკვევა, შემიყვანენ თუ არა კომისიაში. თუ ასე მოხდება, ნამდვილად არ ვიქნები ამ კომისიის ყველაზე პასიური წევრი.

**- სატელევიზიო გამოსვლისას ბრძანეთ, რომ ნაკრების მწვრთნელში დიდი თანხის გადახდა საქართველოს დარი ქვეყნისთვის მეტისმეტი ფუფუნებაა. ალბათ, ახლაც იმავე აზრზე ხართ...**

- ახლაც გავიმეორებ: ალბათ, ტოპმიოლერები ქართველებს დაგვცინიან და ფიქრობენ, რომ სულელები ვართ. საქმე მწვრთნელში კი არ არის, უბრალოდ, ჩვენ უამრავი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი და იმ დონეზე არ ვართ, მწვრთნელებს მილიონები რომ ვუხადოთ. ამ ფულით სერიოზული სატკივარის მოგვარება იყო შესაძლებელი. არ გახსოვთ, ყველა რეგიონულ ფედერაციაზე ფული ხომ იყო გამოყოფილი? ეს საბუთები ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას დღემდე შენახული აქვს. ამ საბუთებით დასტურდება, რომ გათვალისწინებული იყო ყველა რეგიონული ფედერაციისთვის ახალი შენობების აგება და მოედნების მოწყობა. მაგრამ ეს ფული ნაკრების მწვრთნელებს მოახმარეს. სწორედ ესაა არამიზნობრივად დახარჯული და გაფლანგული თანხები. მეტიც, ფედერაციის დანატოვარი 18-მილიონიანი ვალიც სწორედ აქედან დაგროვდა.

**- მედიაოფიცერი კი ბრძანდებით, მაგრამ სტადიონის უსაფრთხოების პრობლემებშიც გარკვეული ხართ და რას იტყვით, შესაძლებელი იყო ქუთაისში ინციდენტის თავიდან აცილება?**

- „დინამო-არენაზე" ბევრი პოლიციელის დაქირავება კი არ არის აუცილებელი, მთავარია, როგორ შეძლებ უსაფრთხოების ორგანიზებას. საქართველოს სტადიონებზე კი ეს მოგვარებადია, რადგან აქ ძალიან ცოტა მაყურებელი დადის. ქუთაისში ყოველთვის შედარებით ბევრი მაყურებელია და ასე იყო „ტორპედო"-„დინამოს" შეხვედრაზეც, მაგრამ იქ უსაფრთხოების უზრუნველყოფა 700-მდე პოლიციელს ევალებოდა. არადა, ბოლოს ევროპის ლიგის თამაშზე დონეცკში ვიყავი, სადაც „შახტარი"-„პლზენის" უსაფრთხოებაზე მხოლოდ 300 პოლიციელი ზრუნავდა. ანუ, მთავარია ორგანიზება და არა - რაოდენობა.

**- ცნობილია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი რევაზ არველაძემ და ვლადიმერ გუცაევმა გამოთქვეს. თქვენ ორ არჩევნებში მონაწილეობდით. ახლა რას აპირებთ?**

- ჯერ ვერ დავაკონკრეტებ, ვაპირებ თუ არა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას. ბევრი რამ უნდა გავიაზრო, ყველაფერი შევაფასო და მერე ვიტყვი, რადგან ეს ძალიან საპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა

# უკრაინაში გაჭირდა, მაგრამ გაგრა არ დაიშლება


ბესიკ ჩიხრაძე

**სპეციალისტების** დასკვნა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ქართულ ეკონომიკაზეც აისახება, რადგან ეს ქვეყანა არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი, არამედ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორიცაა. ბუნებრივია, ეს პროცესი ქართულ კლუბებზეც აისახება, რადგან ზოგიერთი მათგანის მეპატრონე (თბილისის „დინამოს", „ზესტაფონი", „გაგრა") ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული უკრაინულ ბაზართან და შემოსავლებს ამ ქვეყნიდან იღებს...

წლეულს, „გაგრა" 10 წლის გახდება. საქართველოში ამ ტიპის ბევრი გუნდი ჩამოყალიბებულა, მაგრამ 2004 წლის ივლისში დაარსებული „გაგრა" ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ალბათ, იმიტომაც, რომ კერძო კლუბია და გამომდინარე აქედან, ჯანსაღ ორგანიზმად ჩამოყალიბდა.

კლუბის ჩამოყალიბების იდეა ბიძაშვილებს - **ბესიკ და გოდერძი ჩიხრაძეებს** ეკუთვნოდათ. კლუბს „გაგრა" დაერქვა, რადგან ბესო ჩიხრაძე გაგრელი გახლდათ და მისთვის ამ სახელს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. ფინანსებიც მისი იყო და დღესაც გუნდს უკრაინაში საქმიანობით მიღებული შემოსავლებით ინახავს.

საერთოდ, ქართულ ფეხბურთში პათეტიკური სიტყვები უადგილოა, მაგრამ „გაგრა" ის შემთხვევაა, რომელიც ამას იმსახურებს - კლუბი მართლაც ქვეყანასა და ქართულ ფეხბურთს ემსახურება - არაერთი მოთამაშე მიავლინა ასაკობრივ ნაკრებებში, ევროპის ლიგაში ასპარეზობით კი ყველამ გაიგო, რომ გაგრა საქართველოა...

მართალია, ახლა კლუბს გარკვეული ჩავარდნა აქვს და პირველ ლიგაში გამოდის, მაგრამ მომავალზე ზრუნვა არ წყდება. ამიტომაც დავინტერესდით, რა ბედი ელის „გაგრას", თუ უკრაინაში ვითარება არ გამოსწორდება? ამ კითხვით ბესო ჩიხრაძეს დავუკავშირდით.

*„ახლა უკრაინაში ვიმყოფები, რადგან ჩემს ვალად ვთვლი, დღეს სწორედ აქ ვიყო და ჩვენს ძმებს გვერდში დავუდგე. მათ ახლა ძალიან უჭირთ, აქაც იგივე პროცესებია, არც 90-იანი წლების საქართველოში დაიწყო და ცხადია, ეს უკრაინის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება. რადგან აქ ვსაქმიანობ, ცხადია, პრობლემა ვერც მე ამივლიდა გვერდს. მაგრამ „გაგრას" არ დავშლი და მის არსებობას საფრთხე არ შეექმნება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც გვეშველება, უკრაინასაც და „ლელო" „გაგრის" მატჩების რეპორტაჟებს სწორედაც რომ გაგრიდან გამოგზავნის",* - იმედოვნებს ბესიკ ჩიხრაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

### I ლიგა

**XVII ტური**

**A ზონა**

| | |
|---|---|
| ჩხერიმელა-შუქურა | 0:3 |
| კახეთი-სქური | 2:1 |
| მერცხალი-გაგრა | 1:0 |
| კოლხეთი (ფ)-ადელი | 1:0 |
| საპოვნელა-დინამო 2 (თბ) | 1:1 |
| მეშახტე-იმერეთი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 16 | 14 | 1 | 1 | 40-7 | 43 |
| 2. შუქურა | 15 | 12 | 2 | 1 | 51-13 | 38 |
| 3. საპოვნელა | 15 | 9 | 3 | 3 | 30-12 | 30 |
| 4. დინამო 2 (თბ) | 16 | 8 | 3 | 5 | 39-20 | 27 |
| 5. ალგეთი | 15 | 8 | 1 | 6 | 23-16 | 25 |
| 6. გაგრა | 16 | 6 | 6 | 4 | 28-18 | 24 |
| 7. მეშახტე | 15 | 6 | 4 | 5 | 26-21 | 22 |
| 8. ჩხერიმელა | 15 | 5 | 3 | 7 | 21-33 | 18 |
| 9. სქური | 16 | 4 | 2 | 10 | 16-36 | 14 |
| 10. იმერეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 13-35 | 12 |
| 11. კახეთი | 16 | 3 | 2 | 11 | 16-38 | 11 |
| 12. მერცხალი | 16 | 3 | 2 | 11 | 11-34 | 11 |
| 13. ადელი | 16 | 3 | 2 | 11 | 16-47 | 11 |

**B ზონა**

**XVII ტური**

| | |
|---|---|
| ბახმარო-სასკო | 0:2 |
| დინამო (ბთ)-კოლხეთი (ხ) | 6:0 |
| სამგურალი-სულორი | 3:0 |
| სტუ-საბურთალო | 3:0 |
| მაჟახელა-სამტრედია | 0:0 |
| ბეთლემი-დილა 2 | 1:0 |
| ჭიათურა-ლოკომოტივი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 17 | 13 | 2 | 2 | 32-14 | 41 |
| 2. დინამო (ბთ) | 17 | 12 | 1 | 4 | 33-11 | 37 |
| 3. მაჟახელა | 17 | 10 | 5 | 2 | 29-12 | 34 |
| 4. სასკო | 17 | 10 | 2 | 5 | 30-13 | 32 |
| 5. ჭიათურა | 16 | 10 | 1 | 5 | 27-19 | 31 |
| 6. სამგურალი | 17 | 7 | 4 | 6 | 30-28 | 25 |
| 7. ბეთლემი | 17 | 7 | 2 | 8 | 20-22 | 23 |
| 8. საბურთალო | 17 | 6 | 3 | 8 | 24-23 | 21 |
| 9. ლოკომოტივი | 16 | 6 | 2 | 8 | 31-25 | 20 |
| 10. სტუ | 17 | 6 | 2 | 9 | 32-32 | 20 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 17 | 5 | 4 | 8 | 20-38 | 19 |
| 12. დილა 2 | 17 | 5 | 3 | 9 | 19-30 | 18 |
| 13. ბახმარო | 17 | 0 | 7 | 10 | 14-41 | 7 |
| 14. სულორი | 17 | 1 | 2 | 14 | 8-41 | 5 |

### ჭაბუკთა ლიგა

**XVII ტური**

**1996/97 წ.დ.**

| | |
|---|---|
| საბურთალო-35-ე სს | 2:1 |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:1 |
| ჩიხურა-წ. დინამო | 0:4 |
| დინამო (ბთ)-დილა | 0:0 |
| ზესტაფონი-მერანი | 4:0 |
| ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 4:1 |
| დინამო (თბ)-გურია | 4:0 |
| სიონი-მეტალურგი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 17 | 16 | 1 | 0 | 56-10 | 49 |
| 2. ტორპედო | 17 | 11 | 5 | 1 | 32-15 | 38 |
| 3. დინამო (თბ) | 17 | 11 | 2 | 4 | 41-16 | 35 |
| 4. დილა | 17 | 8 | 7 | 2 | 30-12 | 31 |
| 5. საბურთალო | 17 | 8 | 4 | 5 | 30-19 | 28 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 4 | 5 | 34-27 | 28 |
| 7. დინამო (ბთ) | 17 | 8 | 4 | 5 | 28-24 | 28 |
| 8. 35-ე სს | 17 | 8 | 2 | 7 | 32-24 | 26 |
| 9. სიონი | 17 | 6 | 2 | 9 | 28-35 | 20 |
| 10. მერანი | 17 | 6 | 2 | 9 | 19-39 | 20 |
| 11. წ. დინამო | 17 | 5 | 4 | 8 | 26-31 | 19 |
| 12. ზუგდიდი | 17 | 4 | 7 | 6 | 20-23 | 19 |
| 13. ზესტაფონი | 17 | 4 | 3 | 10 | 19-31 | 15 |
| 14. სპარტაკი | 17 | 4 | 3 | 10 | 20-36 | 15 |
| 15. გურია | 17 | 2 | 2 | 13 | 4-48 | 8 |
| 16. ჩიხურა | 17 | 1 | 0 | 16 | 10-39 | 3 |

**1998/99 წ.დ.**

| | |
|---|---|
| საბურთალო-35-ე სს | 3:0 |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:0 |
| ჩიხურა-წ. დინამო | 2:2 |
| დინამო (ბთ)-დილა | 1:2 |
| ზესტაფონი-მერანი | 1:1 |
| ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| დინამო (თბ)-გურია | 10:0 |
| სიონი-მეტალურგი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 17 | 14 | 2 | 1 | 70-8 | 44 |
| 2. საბურთალო | 17 | 12 | 5 | 0 | 48-4 | 41 |
| 3. 35-ე სს | 17 | 12 | 1 | 4 | 37-19 | 37 |
| 4. დილა | 17 | 11 | 3 | 3 | 26-17 | 36 |
| 5. ტორპედო | 17 | 10 | 2 | 5 | 32-15 | 32 |
| 6. ზუგდიდი | 17 | 8 | 3 | 6 | 27-23 | 27 |
| 7. წ. დინამო | 17 | 6 | 7 | 4 | 20-23 | 25 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 17 | 7 | 3 | 7 | 26-23 | 24 |
| 9. მეტალურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 22-24 | 24 |
| 10. სპარტაკი | 17 | 6 | 1 | 10 | 22-23 | 19 |
| 11. დინამო (ბთ) | 17 | 5 | 3 | 9 | 15-23 | 18 |
| 12. ზესტაფონი | 17 | 3 | 7 | 7 | 14-19 | 16 |
| 13. სიონი | 17 | 3 | 4 | 10 | 19-35 | 13 |
| 14. მერანი | 17 | 3 | 3 | 11 | 11-44 | 12 |
| 15. გურია | 17 | 3 | 1 | 13 | 9-63 | 10 |
| 16. ჩიხურა | 17 | 1 | 2 | 14 | 7-32 | 5 |

## წიგნის თარო




ამ დღეებში „ლელოს“ რედაქციაში ქუთაისიდან ჩვენი ბიბლიოთეკისთვის გამოგზავნილი სპორტულ თემაზე გამოცემული წიგნების დასტა მოგვიტანეს. ყველა მათგანის ავტორია ქართული და ქუთაისის სპორტის თავგადადებული მემატიანე ბატონი **ზურაბ ჯავახაძე**, რომლის შემოქმედება ისე მრავალფეროვანია, სრულად ჩამოთვლაც კი გაჭირდება. წიგნებს მოსაწვევი ბარათიც მოაყოლა: 28 მარტს ქუთაისში გვეპატიჟება გამოფენაზე „ქართველები ამერიკაში“. ვგრძნობთ, რომ მთავარი თემა სპორტი იქნება - ცხენოსნობა, ჭიდაობა...

წიგნების დასტიდან, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, დღეს ერთ მათგანზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას - ესაა ზურაბ ჯავახაძის ახალი ნაშრომი „რუსთაველის სპორტული სამყარო“, რომელიც სულ ახლახან გამოცემულა ქუთაისში.

რუსთაველის შემოქმედება ვისთვის არ გამხდარა შთაგონების წყარო, ვის რა კუთხით არ განუხილავს მისი გენიალური პოემა, მათ შორის სპორტის კუთხითაც, მაგრამ ახალ გამოცემაში იმდენი რამ გვხვდება ახლებურად დანახული - შეფასებული, რომ უნებლიეთ ფიქრობ „ვეფხისტყაოსნის“ მსჯელობის უსასრულობაზე.

ბედნიერებაა, რომ ქართულ სპორტს ჰყავს ისეთი მკვლევარი-შემოქმედი, როგორიც ბრძანდება ბატონი ზურაბ ჯავახაძე.

**თენგიზ თომაშვილი**

## მერანი

# როცა სტაბილური მხოლოდ არასტაბილურობაა

„მერანის“ საყრდენი ნახევარმცველი **ლადო ჯოჯუა** გულდაწყვეტილია, რომ მისი გუნდი ჩემპიონატის აუტსაიდერია. როგორც ჩანს, მარტვილელი ფეხბურთელები ემხრობიან იმ აზრს, რომ მათ შეგნებულად ძირავენ.

„რაც უფრო გადის დრო, მსაჯობა უფრო და უფრო უარესდება. 33 წლის ვარ, ბევრ ჩემპიონატში მითამაშია, მაგრამ ასეთი სიბინძურე არ მახსენდება. უკანასკნელი ორი წელია ვითარება გაუარესდა და კატასტროფული გახდა. ბოლო შეხვედრაში პენალტი ჩემ გამო დაგვინიშნეს. არ ვიცი, ვინ როგორ დავარწმუნო, მაგრამ „დილას“ მოთამაშეს საერთოდ არ შევხებივარ, ბურთზე თავად წაიქცა. ასეთი წვრილმანი ხარვეზებით „მერანს“ საკმაოდ ბევრი ქულა დააკლეს და ბოლო ადგილზე სწორედ ასე ალმოვჩნდით. არ უარვყოფ, ჩვენი ბრალიც იყო, ქულები რომ დავკარგეთ, მაგრამ ბოლო სამ ტურში 5 ქულა მაინც გვეკუთვნოდა და დაგვაკარგვინეს. ასეთი რამ შეიძლება?! გამოდის, რომ „მერანი“ განწირულია, მაგრამ ვერ გამიგია, უმაღლეს ლიგაში ჩვენი ყოფნა ვის არ აწყობს ან ვის რას ვუშავებთ?“ - უკმაყოფილოა ჯოჯუა.

მარტვილელთა საყრდენი ნახევარმცველი საშემოდგომო ეტაპზე „გურიაში“ თამაშობდა და მიუხედავად იმისა, რომ გუნდი დატოვა, ლანჩხუთური კრებულის დაშლაზე გული სწყდება:

„საშემოდგომო ეტაპზე „გურია“ ძალიან კარგი გუნდი იყო, რადგან ძლიერი მოთამაშეები შეიკრიბნენ, ერთსულოვნებაც არ გვაკლდა. მიმაჩნია, რომ იმ შემადგენლობას სამეულისთვის ბრძოლაც შეეძლო. მაგრამ ესაა ქართული ფეხბურთის დღევანდელობა - ჩვენთან სტაბილური მხოლოდ არასტაბილურობაა“.

**მერაბ მამულაშვილი**

## ინტერვიუ

# გოჩა მაჩაიძე: ვინც საქმე გააფუჭა, სადავეები ისევ მას უნდა ჩავაბაროთ?!

## თბილისის დინამოს ყოფილ მცველს გუცაევის კანდიდატურა მოსწონს და კალაძის პასუხისმგებლობაზე საუბრობს

**თბილისის „დინამოს“ ყოფილი მცველი გოჩა მაჩაიძე საკუთარ მოსაზრებას გვიზიარებს სახელმწიფო კომისიაზე, ქართულ ფეხბურთში არსებულ ვითარებასა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე:**

- მიმაჩნია, რომ სახელმწიფო კომისია ადრეც უნდა ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ არა უშავს, კარგია, რომ თავი ახლა მაინც მოება. თუნდაც ის ფაქტი, რომ კომისიის წევრები თავად პრემიერი, ვიცე-პრემიერი, სპორტის მინისტრი და ყოფილი ფეხბურთელები არიან, წარმატებული მუშაობის წინა პირობა უნდა გახდეს. საერთოდ, მიმაჩნია, ახლა ისეთი ვითარებაა, გვერდზე უნდა გადავდოთ სტანდარტული აზროვნება და კალაძემ საკუთარ თავზე უნდა აილოს ფეხბურთისადმი პასუხისმგებლობაც.

**- და ეს არ იქნება სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში?**

- ეს იქნება ფეხბურთით სახელმწიფოს დაინტერესების მაგალითი და არა - ჩარევის. ფეხბურთში კალაძის მისვლა თუ ჩარევაა, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. აუცილებელიც არის, სახელმწიფო მოხელემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი რომ შეითავსოს. ჩვენ კი არა, ასე დაიწყეს უკრაინამ, ხორვატიამ... და რა წააგეს ამით? ბელგია და ჰოლანდია რომ ვიყოთ, ცხადია, ეს გაუმართლებელი იქნებოდა, მაგრამ დღესდღეობით ქართულ ფეხბურთს კომერციალიზაცია სჭირდება. რადგან კერძო სპონსორები ჯერ არ გვყავს, ასეთ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს უნდა დაეკისროს. მოკლედ, ნებისმიერ შემთხვევაში, ან კახა უნდა იყოს პრეზიდენტი ან სხვა პიროვნება საფეხბურთო სამყაროდან, რომელსაც ავტორიტეტი და საერთაშორისო კავშირები გააჩნია.

**- ზოგადად, არსებულ სიტუაციაზე რას ფიქრობთ?**

- „საბურთალოს“ პრეზიდენტმა მართალი თქვა - ფეხბურთი მკვდარი კი არ არის, წუმპეშია და ამ წუმპიდან ამოსვლა შესაძლებელიაო.

**- მერე და, როგორ არის ეს შესაძლებელი?**

- ილიას სიტყვებს გავიხსენებ - ერი მაშინ კვდება, როცა საკუთარ ისტორიას ივიწყებსო. ამასვე ვიტყვი ქართულ ფეხბურთზეც - მისი კვდომა მაშინ დაიწყო, როცა ვეტერანების გამოცდილების გაზიარების ნაცვლად, ფეხბურთი უცოდინარებს ჩაუგდეს ხელში. ჯერ ამის ანალიზია საჭირო - ვისაც ქართული ფეხბურთის განადგურებაში ბრალი მიუძღვის, განზე უნდა გადგეს და მერე ბევრ რამეს ეშველება. არავის დაჭერას არ ვითხოვ და მერწმუნეთ, ვეტერანებში სულაც არ ვგულისხმობ საკუთარ თავს. მაგრამ ვინც საქმე გააფუჭა, სადავეები ისევ იმას უნდა ჩავაბაროთ? ტელევიზიით დებატებს ვუყურებდი და მიკვირდა - გია გორგოძეს ლაპარაკს არ აცდიდნენ. შესაძლოა, მისი აზრი ვილაცას არ მოსწონდეს, მაგრამ მოუსმინოს ხალხმა და თუ სისულელეს ამბობს, ხალხი შეაფასებს, ვინ მართალია და ვინ - მტყუანი.

**- რეალურად, ყველაფერი გასაგებია - 2015 წელს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები გველის და ვითარება ამის გამო მწვავდება...**

- ეს ბუნებრივია. წავიკითხე და მერე ტელევიზიით ვუსმინე ვოვა გუცაევს და მესიამოვნა, რომ ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას აპირებს. ვოვას ქართული ფეხბურთის წინაშე დიდი დამსახურება აქვს. პიროვნულადაც


გოჩა მაჩაიძე

კარგი ადამიანია... შესაძლოა, ერთ დროს ჩვენ შორისაც გაირბინა შავმა კატამ, მაგრამ ეს უკვე წარსულია, რომელიც დავივიწყეთ - მოკლედ, ვოვას დიდ პატივს ვცემ. თან დღეს ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. მიკვირს, ქუთაისის სტადიონზე უსაფრთხოება როგორ ვერ უზრუნველყვეს, ამდენი ხალხი რომ შევარდა მოედანზე?! რაც ქუთაისში მოხდა, სამარცხვინოც არის, არასპორტულიც და ქართველი კაცისთვის მიულებელიც. სტუმარს ასე არ ექცევიან. მაგრამ მას შემდეგ სულ ვფიქრობ - კიდევ კარგი, ეს ჩვენი ჩემპიონატის მატჩისას მოხდა და არა - რომელიმე საერთაშორისო შეხვედრის დროს. ფაქტია, რომ უსაფრთხოების საკითხებზე დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. ხალხმა უნდა იცოდეს, ვის მოეკითხება მომხდარზე პასუხი. გულწრფელად ვამბობ - რეზო ძოძუაშვილს რომ ვუსმენდი, გული მომიკვდა, კაცს სულში ჩააფურთხეს... რაც შეეხება სანქციებს, ჩემი აზრით, ეს იგივე იყო, რეანიმაციაში მყოფი პაციენტი საავადმყოფოს კორიდორში გამოიყვანო და უთხრა - როცა მორჩები, პალატაში მერე დაგაწვენო.

**- კი, მაგრამ ასეთი საქციელი დაუსჯელი ხომ არ დარჩებოდა?**

- ეს არ მიგულისხმია. მაგრამ უფრო ლოგიკური იქნებოდა, 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, ფინანსური სასჯელის მესამედის გადახდა და ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია. იმიტომ, რომ „ტორპედო“ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო იმ ხალხმა, ვინც ფიქრობდა, რომ ქუთაისის ღირსებას იცავდა. ძოძუაშვილმა მურად ნივნიაძესა და ჯემალ ხერხაძესთან ერთად ნულიდან დაიწყო გუნდის კეთება, საქმე მკვდარი ადგილიდან დაძრა და სარმა სწორედ ამ დროს დაუდეს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში შეგონებამ უფრო გაჭრას, ვიდრე სასჯელმა. გულშემატკივრებთან კი მუშაობაა საჭირო, ისინი ავტორიტეტებს უსმენენ და ამიტომაა საჭირო, დამსახურებული ვეტერანები კლუბებში რომ დასაქმდნენ. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მუშაობს ამ სფეროში, მაგრამ ფანები მხოლოდ ავტორიტეტულ ხალხს უსმენენ. თუ გახსოვთ, ერთი ხანობა გერმანულ ფეხბურთში კრიზისი რომ იყო, ბეკენბაუერმა ფეხბურთიდან ჩამოშორებული ვეტერანები შეკრიბა და უთხრა, რომ ფეხბურთის დაბრუნება მათი ვალი იყო. ცოდნა და გამოცდილება ბევრს ნიშნავს. ეს ჩვენნაირ პატარა ქვეყანაში კიდევ უფრო ფასობს. გული მიკვდება, როცა ვხედავ, რომ აქტიური ფეხბურთიდან ჩამოშორებულები არიან დავით გოგია, ფირუზ კანთელაძე და ასე შემდეგ. კლუბებში საფეხბურთო სამყაროსთვის აბსოლუტურად უცნობ ადამიანებს ასაქმებენ და არც ახსენდებათ, რომ ბევრი პატიოსანი ვეტერანი სახლში ზის. სელექციონერად მაინც დაასაქმონ, ფეხბურთელების ამოცნობა შეეშლებათ? მე და მანუჩარი ქუჩაში გვნახა ვანო შუდრამ და საფეხბურთო სკოლაში მიგვიწვია. ის იყო ნამდვილი სელექციონერი, რომლის მსგავსიც ქართულ ფეხბურთს ძალიან აკლია, ვეტერანებს კი ამ როლის შესრულება მშვენივრად შეუძლიათ.

**მერაბ მამულაშვილი**

## რას წერენ ჩვენზე


ირლანდიელები გიორგი ჭანტურიას (მარჯვნივ) უფრთხიან

# ირლანდიური BACKPAGEFOOTBALL: ვუფრთხილდეთ ჭანტურიას!

BACKPAGEFOOTBALL-ის მიმომხილველი **დევიდ კელი** ევრო 2016-ის შესარჩევ (D) ჯგუფში ირლანდიის ნაკრების მეტოქეებზე ვრცელ წერილს აქვეყნებს. გთავაზობთ ამ წერილის მხოლოდ შესავალ ნაწილს, რომელიც საქართველოს ნაკრებს ეხება:

„ირლანდიის რესპუბლიკის ნაკრებს ნაცნობი მეტოქეები შეხვდა საფრანგეთის საგ ზურისთვის ბრძოლაში. მარტინ ონილის გუნდს ძალზე სერიოზული კონკურენტები ჰყავს გერმანიის, პოლონეთის, საქართველოს და შოტლანდიის ნაკრებების სახით. „მწვანე არმიას“ პირველი გამოცდა სახიფათო საგარეო მატჩის სახით ელის 7 სექტემბერს საქართველოში. საქართველო ჩვენი ძველი მეტოქეა ორ შესარჩევ ციკლში. ორივე ჩვენთვის და საქართველოსთვის უშედეგოდ დასრულდა - საუბარია „პორტუგალია 2004“-ზე და „სამხრეთი აფრიკა 2010“-ზე. ორივე შემთხვევაში ირლანდიის ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით გაიმარჯვა საგარეო მატჩში - 2:1. საკმაოდ მაღალი პოტენციალის მქონე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ონილი-კინის ალიანსს უნდა გაუჭირდეს, განსაკუთრებით, სტუმრად. საქართველოს ნაკრების დღევანდელი ძალა ძნელი განსასაზღვრია - გუნდს საშინელი სამუნდიალე კამპანია ჰქონდა, სადაც მე-4 ადგილზე გავიდა, მაგრამ ჯგუფში ორი გიგანტი, ესპანეთი და საფრანგეთი ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ შარშან თემურ ქეცბაიას გუნდს დუბლინში 4:0 მოვუგეთ, ნაკრებში რამდენიმე კარგი ლეგიონერია, რომლებიც რუსეთში, უკრაინაში, რუმინეთში და სხვაგან თამაშობენ. ვის დავაკვირდეთ საქართველოს ნაკრებში? - რუმინული „კლუჟის“ ახალწვეულ პლეიმეიქერ გიორგი ჭანტურიას“.

მართალია, ირლანდიელებს შეცდომით უწერიათ **გიორგი ჭანტურიას** ამპლუა, მაგრამ ფაქტია, რომ 20 წლის ფორვარდი მათ უკვე ჩანიშნული ჰყავთ, როგორც ყველაზე მეტი საფრთხის მომტანი.

შეგახსენებთ, რომ ჭანტურიას 5 მარტს ჰქონდა ეროვნულ გუნდში დებიუტი, რომელიც ლიხტენშტაინის კარში გოლითაც აღნიშნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# კაპიტნის იმედები




„ლივერპულის“ კაპიტანი მთავარი მწვრთნელით კმაყოფილია

„ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გამარჯვება „ლივერპულის“ კაპიტნისთვის გარდა წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორისა, სხვა მხრივაც იყო განსაკუთრებული: **სტივენ ჯერარდმა** 660-ე თამაში ჩაატარა მშობლიური გუნდის შემადგენლობაში და „წითლების“ ლეგენდარული თავდამსხმელის **იან რაშის** მიღწევა გაიმეორა. 33 წლის ფეხბურთელს მიმდინარე სეზონშივე შეუძლია **ემლინ ჰიუზისა** და **რეი კლემენსის** (665) მიღწევების გაუმჯობესება, რის შემდეგაც ის თამაშების რაოდენობით მესამე ადგილზე გადავა. სიაში პირველ ადგილზე 857 მატჩით **იან კალაჰანია**, მეორეზე - **ჯეიმი კარაგერი** 737-ით. გარდა ამისა, სტივს ერთი გოლი აშორებს **კენი დალგლიშის** მიღწევამდე. ლეგენდარული შოტლანდიელის ანგარიშზე 172 გოლია. კაპიტანმა „სქაი სპორტსთან“ ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში მოაწერს ხელს მთავარ მწვრთნელთან ახალ კონტრაქტს. შეგახსენებთ, რომ **ბრენდან როჯერსს** „ლივერპულთან“ ხელშეკრულების ვადა 2015 წლის ზაფხულზე ეწურება.

- ნებისმიერი პირადი მიღწევა განსაკუთრებულად მახარებს, მაგრამ ჩემთვის მთავარი გუნდის წარმატებაა. ვალდებულები ვართ, ისევე მშვიდად და კონცენტრირებულად განვაგრძოთ საქმის კეთება, როგორც აქამდე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევინარჩუნებთ პირველი ადგილისთვის ბრძოლის შანსს. მთელი სეზონის განმავლობაში მესმოდა შეკითხვა, შეგვეძლო თუ არა ძლიერ მეტოქესთან გასვლით შეხვედრაში ჩვენი პოტენციალის ჩვენება. ვფიქრობ, რომ გამოცდა შეიძლება ჩაბარებულად ჩაითვალოს. თამაშის დასრულების შემდეგ გული მხოლოდ იმაზე დამწყდა, რომ მეტის გატანაც შეგვეძლო.

როჯერსი სეზონის ნამდვილი აღმოჩენაა. ის ზუსტ მიმართულებას გვაძლევს ფეხბურთელებს და ნაბიჯ-ნაბიჯ აძლიერებს გუნდს. ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე იმსახურებს დიდი გუნდის მენეჯერობას. მნიშვნელოვანია, რომ ის საკუთარ პროფესიულ წინსვლაზეც ბევრს მუშაობს. თითქმის ორი წელია, ბრენდანს ყოველდღე ვხედავ, მაგრამ დღემდე მაოცებს მისი პრინციპულობა და სამწვრთნელო მეთოდები. მისგან ყოველთვის შეიძლება რაღაც ახლის სწავლა, მაშინაც კი, როცა ჩემს ასაკში ხარ. როჯერსმა უზარმაზარი გავლენა იქონია ჩემზე. დარწმუნებული ვარ, ამავეს გეტყვით ჩემი ყველა თანაგუნდელი. ფეხბურთელებს იმედი გვაქვს, რომ ბოსტონში კლუბის მესაკუთრეებს ჩვენთან გამეფებული იდილია შეუმჩნეველი არ დარჩებათ. ამისთვის ჩვენს დამრიგებელთან ახალი კონტრაქტი უნდა გაფორმდეს და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად. მან იცის, როგორ მიუდგეს ფეხბურთელებს ინდივიდუალურად და, მიუხედავად ხასიათებში უზარმაზარი სხვაობისა, საერთო ენას ყველასთან ნახულობს. როჯერსის ინდივიდუალური მიდგომა საუკეთესოა, რაც კი კარიერის განმავლობაში მინახავს. ის მუდმივად პოულობს სიტყვებს, რათა ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა გაუღვივოს და საბრძოლოდ დამუხტოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინტერვიუ. მექსიკის ნაკრების მწვრთნელი. მიგელ ერერა

# მექსიკის ნაკრები მუნდიალის ფინალში? რატომაც არა!

**მექსიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იქნება, „ელ ტრის“ დამარცხება ადვილი არასდროს არის. 2013 წლის ოქტომბერში მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშნული მიგელ ერერა კი სულაც ფინალში გასვლასა და ბრაზილიაში ტრიუმფზე ფიქრობს. 46 წლის ექსცენტრიკულ ყოფილ მცველს ამბიცია ნამდვილად არ აკლია და მწვრთნელის რანგში სურს იმის ანაზღაურება, რაც ფეხბურთელობისას ვერ შეძლო**

**- უკვე 6 თვეა, რაც მექსიკის ნაკრების მწვრთნელი ხართ, რას იტყვით?**

- ჩემთვის ეს უმთავრესი პოსტია, რომელიც შეიძლებოდა მწვრთნელობისას მქონოდა, ამაზე უკეთეს სამსახურს ნამდვილად ვერ ვნახავდი. ცუდი ისაა, რომ ყველა გაკრიტიკებს, ყველას ჰგონია, რომ შენზე მეტი იცის და შენზე უკეთესია. თუმცა ეს ამ სამუშაოს შემადგენელი ნაწილი.

**- ყველაფერთან გამკლავება ადვილი არ იქნება, მით უმეტეს, როდესაც საქმე ისეთ პრინციპულ და პირდაპირ ადამიანს ეხება, როგორიც თქვენ ხართ...**

- დიახ, ძალიან პირდაპირი ვარ და იმას ვამბობ, რაც პირველი მომდის თავში. ხალხს ამის მიხედვით შეექმნა ჩემზე წარმოდგენა. საბედნიეროდ, მინდორზე საქმე კარგად მიმდის და ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ მიჭირს. სხვა მხრივ კი ცოტა დაფიქრება არ მაწყენდა ხოლმე და გაანალიზება, სანამ კომენტარს გავაკეთებ და პირდაპირ იმას ვიტყოდი, რაც თავში მომივა.

**- კარლოს ველამ გადაწყვიტა, რომ ნაკრებში ისევ არ ითამაშოს. რამდენად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ის მექსიკისთვის და ვის შეადარებდით მას?**

- მას არავის შევადარებდი. ცოტა ხნის წინ, იგი ლიონელ მესისა და კრიშტიანო რონალდოს შეადარეს, რაც არც ისე ჭკვიანური საქციელი იყო. მექსიკაში ჯერ ამ კალიბრის ფეხბურთელები არ გვყავს. კარლოსი ძალიან კარგი მოთამაშეა და ახლა ბრწყინვალე ფორმაშია, მაგრამ აქვს თავისი მიზეზები, რომელთა გამოც არ უნდა ნაკრებში თამაში. მექსიკა ამის გამო არ დასუსტდება, პირიქით, უფრო ძლიერი გახდება, რადგან მთელი გუნდი შეკრული და ერთსულოვანი იქნება.

**- ხავიერ ერნანდესზეც ვისაუბროთ, განიცდით იმას, რომ მას მცირე სათამაშო დრო აქვს „მანჩესტერ იუნაიტედში“?**



მიგელ ერერა სუპეროპტიმისტია

- ძალიან შეწუხებული ვარ და ვისურვებდი, რომ მას მეტი სათამაშო დრო ჰქონდეს. სამწუხაროდ, იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალი მწვრთნელის დევიდ მოიესის სიმპათიას ვერ იმსახურებს და აქ ჩვენ ვერაფერს შევცვლით. ჩიჩარიტოს ნორმალურად თავის გამოჩენის საშუალება იმ ფონზეც არ მიეცა, რომ კლუბს ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო, არაერთი ფეხბურთელი აკლდა. რასაკვირველია, იგი ნაკრების გეგმებში შედის და ეს მშვენივრად იცის, მაგრამ მაინც უნდა დავიცადოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. უბრალოდ, სხვა ფეხბურთელებიც ძალიან ინდომებენ და ის რომ ხავიერს რეგულარულად თამაშის საშუალება არ აქვს, გარკვეული პრობლემაა.

**- ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს ნაკრების მეკარე მსოფლიოს ჩემპიონატზე...**

- ვერ გეტყვით ვინ იქნება, რადგან თავადაც არ ვიცი. მე ექვსი ძალიან კარგი გოლკიპერი მყავს, ხუთი მექსიკაში და გილერმო ოჩოა საფრანგეთში. რომელი სამიც არ უნდა გამოვარჩიო, დარჩენილ სამზე ბევრი კითხვა დარჩება.

**- რა იქნება მუნდიალზე თქვენი მიზანი? ვიცით, რომ უბრალოდ ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკი არ გიყვართ და ფინალს უმიზნებთ, მაგრამ რამდენად რეალურია ეს?**

- წინა მუნდიალებზე ჩვენ მიერ ნაჩვენები შედეგები არ ასახავს რეალობას, უფრო მეტი შეგვიძლია. მე უბრალოდ იმას ვამბობ, რომ თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმაზე ფიქრით არ წავალ, რომ მისი მოგება შემიძლია, აჯობებს ჩვეულებრივი მაყურებლის სტატუსით წავიდე და არა როგორც მწვრთნელი. ჩვენ გვაქვს წარმატების ამბიცია, გვყავს კარგი ფეხბურთელები დ ამშვენიერი ინფრასტრუქტურა - რატომაც არა? ისტორია აჩვენებს, რომ მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია და როდესაც ამ ეტაპს აღწევ, უკვე ყველაფერი შესაძლებელია. ჩვენი უნდა გავიდეთ ჯგუფიდან და მერე ვნახოთ, ვინ შეგვაჩერებს. თუ იქამდე შევძელით, ახლაც შეგვიძლია მეოთხედფინალში გასვლაც და უფრო მეტზე ფიქრიც.

**- მუნდიალამდე დაახლოებით სამი თვე დარჩა და რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს ბრაზილია უმასპინძლებს?**

- ძალიან ამაღელვებელია, როდესაც იაზრებ, რომ მუნდიალამდე 100 დღეზე ნაკლები რჩება. რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინია. ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატი კი წარსულში მოგზაურობასავითაა: ყველამ იცით რა ხდებოდა 1950 წელს და ხვდებით რა მოხდება „მარაკანაზე“. იქ ფეხბურთის ზეიმია და მათ უამრავი ტალანტი ჰყავთ. ჩვენთვის კი ეს განსხვავებული თავგადასავალი იქნება. რატომაც არ უნდა ავირჩიოთ ბრაზილია ისტორიის შესაქმნელად? ისევე როგორც ერთხელ ბრაზილიამ აირჩია მექსიკა (1970 წელს)?

**გიორგი კაკაბაძე**

ამბები

## მორიგი დაპირებები არსენალისგან

„არსენალი“ ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბერში ჰპირდებოდა გულშემატკივარს, რომ იანვარში „დიდ ფულს“ დახარჯავდა ტრანსფერებში. რეალურად კი შეპირებული 100 მილიონი ხელუხლებელი დარჩა. გეგმებმა ზაფხულისთვის გადაიწია. „მეთოფეებმა“ დრო მაქსიმალურად გაწელეს და აგვისტოს ბოლოს „რეალიდან“ **მესუთ იოზილი** იყიდეს. გერმანელი 40 მილიონი ფუნტი დაჯდა. „არსენალისგან“ უკვე მესამედ გაისმა დაპირება, რომ **არსენ ვენგერს** ახალი ფეხბურთელებისთვის 100 მილიონს გამოუყოფენ. პარალელურად კი ფრანგმა სპეციალისტმა მიანიშნა, რომ სურს „არსენალში“ დარჩენა, თუმცა ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებებს სეზონის დასრულებამდე არ აპირებს.

## გლეიზერებს მობეზრდათ

„ლივერპულთან“ 0:3-მა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ბევრი რამ თავდაყირა დააყენა, მათ შორის, კლუბის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებაც მთავარი მწვრთნელის მიმართ. აქამდე **მალკოლმ გლეიზერი** და მისი ოჯახი **დევიდ მოიესს** ბოლომდე ენდობოდა და საზაფხულო გეგმებს მასთან ერთად განიხილავდა, მაგრამ „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობასთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ამერიკელებს უკვე ეჭვი ეპარებათ მთავარი მწვრთნელის კომპეტენციაში და მას უახლოეს სამ შეხვედრას აძლევენ სიტუაციის გამოსასწორებლად - „ოლიმპიაკოსთან“ ჩემპიონთა ლიგაში, „ვესტ ჰემთან“ და „მანჩესტერ სიტისთან“ შიდა ასპარეზზე. წარუმატებლობის შემთხვევაში მოიესი შესაძლოა სეზონის დასრულებამდე გამოეთხოვოს პოსტს. გუნდს დროებით **ჯანფრანკო ძოლა** ჩაიბარებს, ვინც ჩემპიონშიპის „უოტფორდს“ გასული წლის დეკემბერში დაშორდა. იტალიელს კი ზაფხულზე ჰოლანდიის ნაკრების დამრიგებელი **ლუის ვან გაალი** შეცვლის.

## სანდერლენდი ბორინისთვის იბრძოლებს

თუკი „სანდერლენდმა“ 2014/15 წლების სეზონისთვის პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა, კლუბი „ლივერპულისგან“ **ფაბიო ბორინის** კონტრაქტის გამოსყიდვას შეეცდება, - იუწყება „დეილი სტარი“. „შავი კატები“ ამისთვის მზადებას აქედანვე შეუდგებიან. მიუხედავად ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობისა (მე-18 ადგილი), ტაინსაიდელებს დარჩენის შესანიშნავი შანსი აქვთ. ამაში თავად დარწმუნდებით, თუკი აუტსაიდერი კლუბების თამაშების განრიგს გადახედავთ.

## სმოლინგს ერთი თვე გაუცდება

„დეილი მირორის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის ცენტრალური მცველი **კრის სმოლინგი** გუნდს უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა ბარძაყის ტრავმა უქმეებზე „ლივერპულთან“ მატჩამდე მიიღო. „ეშმაკებს“ უახლოეს ორ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული **ნემანია ვიდიჩიც** ვერ დაეხმარება. ტრავმის გამო დიდი ხანია არ უთამაშია **ჯონი ევანსსაც**. გამოდის, რომ **დევიდ მოიესის** განკარგულებაში მხოლოდ ორი ცენტრალური მცველი რჩება - **ფილ ჯონსი** და **რიო ფერდინანდი**.




კრის სმოლინგი

## ტელეგრაფი ამხელს

ფიფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტისა და კონკაკაფის (ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების საფეხბურთო კონფედერაცია) ყოფილი პირველი პირის **ჯეკ უორნერის** შესახებ ბრიტანულმა „ტელეგრაფმა“ მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა. 71 წლის ფუნქციონერმა ხსენებული თანამდებობები სულ ახლახან დატოვა. უორნერი 2010 წელს ერთ-ერთი იყო, ვინც ყატარის 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას დაუჭირა მხარი. როგორც ირკვევა, ტრინიდადელმა აზიელებისგან სანაცვლოდ 1.2 მილიონი დოლარი მიიღო „საჩუქრად“, მისმა ვაჟებმა კი 750-750 ათასი ჩაიჯიბეს. სისხლის სამართლის საქმეს ამერიკის გამოძიებათა ფედერალური ბიურო უძღვება. უორნერის უფროსი შვილი სამართალდამცავებთან თანამშრომლობას უკვე დათანხმდა.

## სულშერი რჩება

„კარდიფის“ ნორვეგიელმა თავკაცმა **ოლე გუნარ სულშერმა** დაადასტურა, რომ მიუხედავად იმისა, მოახერხებს თუ არა გუნდი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებას, ის წასვლას არ აპირებს. უელსური კლუბი 30 ტურის შემდეგ მე-19 ადგილზეა და უშუალო კონკურენტებზე „კრისტალ პალასსა“ და „ვესტ ბრომვიჩზე“ ერთით და „სანდერლენდზე“ სამი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული, რაც მის შანსებს კიდევ უფრო ამცირებს.

## როდრიგო და ინგლისი

„ბენფიკას“ ბრაზილიური წარმოშობის ესპანელ თავდამსხმელ **როდრიგო მორენოსთან** კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. ინგლისურ პრესაში რამდენჯერმე უკვე დაიწერა, რომ მისით პრემიერლიგური კლუბები არიან დაინტერესებული. მათ შორის, ყველაზე აქტიური „ლივერპულია“, ვინც უახლოეს მომავალშივე გაინაღდებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს და შემადგენლობის გაძლიერებაზე დაიწყებს ზრუნვას. 23 წლის შემტევმა მიმდინარე სეზონში პორტუგალიურ პრიმეირა ლიგაში 19 თამაშში 8 გოლი გაიტანა. ამ ეტაპზე „არწივები“ მსურველებისგან 25 მილიონი ფუნტს ითხოვენ, თუმცა, დიდი ალბათობით, დათმობაზეც წავლენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალია. სერია A. XXVIII ტურის შეჯამება

# ლიდერთა სამეული პოზიციებს არ თმობს

**ლიდერთა სამეული პოზიციის დათმობას არ აპირებს - „იუვენტუსი“ პირველია და მორიგი სკუდეტოს მოსაპოვებლად ემზადება, „რომა“ და „ნაპოლი“ კი მეორე ადგილისთვის იბრძვიან, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა ყველანაირი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე. თავდაპირველად, ორშაბათს გამართულ შეხვედრებზე ვთქვათ...**

## ტოტი გოლით დაბრუნდა

„რომამ“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „უდინეზეს“ უმასპინძლა და მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვა - 3:2. არადა, შეხვედრის სტარტი მასპინძელთა უფრო იოლ გამარჯვებას მოასწავებდა. 22-ე წუთზე **ფრანჩესკო ტოტიმ** რომაელთა მასირებული იერიში ყუმბარისებური დარტყმით დააგვირგვინა, კიდევ რვა წუთში კი **მატია დესტრომ** მეკარე მოატყუა და ბურთი დაუცველ კარში შეაგორა. პირველი ტაიმი ასეც მორჩა და არაფერი გვკარნახობდა იმას, რომ მეორე ნახევარში სტუმრებს მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდებოდათ.

51-ე წუთზე, **ჯამპიერო პინციმ** ერთი მეტოქე კარგად მოატყუა და უზუსტესი დარტყმით ბურთი **მორგან დე სანქტისის** კარის დაბალ კუთხეში შეაგორა. სულ მალე, უდინელებს კიდევ ერთი მომენტი შეექმნათ, მაგრამ **ანტონიო დი ნატალემ** გატანის რეალური შანსი გაატანა ქარს. სტუმრები უპირატესობას ფლობდნენ და თითქოს გოლს ამწიფებდნენ, როდესაც **ვასილის ტოროსიდისმა** გაისროლა და მასპინძლებს ორბურთიანი ფორა აღუდგინა. მატჩის დასრულებამდე 10 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც **დუშან ბასტამ** „უდინეზე“ ისევ დააბრუნა თამაშში, თუმცა მეტის გაკეთება სტუმრებმა ვეღარ შეძლეს. ნამატჩევს, **რუდი გარსია** ტოტის ემადლიერებოდა:

*„რთული მატჩი გამოვიდა, რონელშიც ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ საბედნიეროდ, უმნიშვნელოვანესი ქულები მოვიპოვეთ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანჩესკო ტოტი 100%-ით მზად არ იყო, ბრწყინვალედ ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ჩვენი მიზანი უცვლელია, მოგება ყველა შეხვედრაში, დანარჩენი კი სეზონის ბოლოს გამოჩნდება“.*

## ნაპოლი ბეწვის ხიდზე

„ნაპოლიმ“ ბეწვის ხიდზე გაიარა და „ტორინო“ ბოლო წუთზე გატანილის წყალობით დაამარცხა. მატჩის გმირი **გონსალო იგუაინია**, რომელიც სანამ მეკარესთან პირისპირ დარჩებოდა და გამარჯვების გოლს შეაგდებდა, მცველს აშკარად ეუხეშა - დიახ, არგენტინელმა „ტოროს“ უკანახაზელს ხელი ჰკრა და მხოლოდ ასე შეძლო ბურთამდე მისვლა, რომელიც შემდეგ ბადეში გაახვია. მოკლედ, ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე დიდი ამბავი იყო - მასპინძლები დიდ ხანს აპროტესტებდნენ გონსალოს გოლს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ზოგადად, იგუაინმა დიდი სამუშაო გასწია და ერთ გოლს ნამდვილად იმსახურებდა.

მატჩის შემდეგ, ნეაპოლელთა თავკაცმა **რაფაელ ბენიტესმა** შემდეგი განაცხადა: *„მსაჯობა? - ამ თემაზე დიდი ხანია აღარ ვლაპარაკობ და ამ ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევ. მეტოქე კონტრშეტევებზე თამაშობდა, ჩვენ კი უპირატესობას ვფლობდით. მომენტები ორივე კართან შეიქმნა და საბედნიეროდ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. რა ხანია კვირაში სამი მატჩის გამართვა გვიწევს და ამ ფონზე, შეგირდთა ფიზიკური მომზადებით ძალიან კმაყოფილი ვარ“.*

## პირლოს ფენომენი

ტურის საუკეთესო ფეხბურთელად იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა **ანდრეა პირლო** დაასახელეს და ეს მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად **ანტონიო კასანომ** „მილანს“ ორი ბურთი გაუტანა და „პარმას“ დიდებულ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. პირლო მაინც პირლოა, მისმა საოცარმა საჯარიმომ კი „იუვენტუსი“ კიდევ უფრო მიუახლოვა სკუდეტოს.

„ჯენოა“-„იუვენტუსის“ ბოლო წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ანდრეამ დაახლოებით 25 მეტრიდან გაისროლა და ულამაზესი გოლი გაიტანა. იტალიური სპორტული პრესა კიდევ ერთხელ წალეკა ანდრეას ქება-დიდებამ. მაისში პირლო 35 წლის ხდება და რჩება შთაბეჭდილება, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ის სულ უფრო უკეთ ირჯება.

## სიმეონეს აჩრდილი

„ინტერმა“ მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო და მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიციები სატურნირო ცხრილში. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **ვალტერ მაცარის** გუნდი ევროპალიგის საგზურს აუცილებლად მოიპოვებს. ეგ კი არა, „ინტერის“ ბანაკში ჩემპიონთა ლიგის საგზურზეც კი ალაპარაკდნენ. პროგრესმა მაცარი ძალიან გაათამამა, რაზეც მისი კომენტარი მეტყველებს:

*„გუნდი სწორი გზით მიდის და ღრმად მწამს, რომ თუ დამცალდა, „ინტერი“ დიდ სიმაღლეებს დაიპყრობს. უკვე მომდევნო სეზონში, ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვება იქნება და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. ზაფხულში გაძლიერება არ გვაწყენდა, მაგრამ წარმატების მიღწევა ამ რესურსითაც სავსებით შესაძლებელია. თუმცა, ჯერ მიმდინარე სეზონი უნდა ჩავამთავროთ და რაც შეიძლება მაღალ პოზიციაზე“.*

იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა მაცარის ერთ ფრაზაზე გაამახვილეს ყურადღება: თუ დამცალდაო, თქვა „ინტერის“ მესაჭემ და ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მილანური გრანდის მესვეურები მწვრთნელის შეცვლას ფიქრობენ? - გამორიცხული ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, ბოლო პერიოდში, სულ უფრო ხშირად საუბრობენ **დიეგო სიმეონეს** სურვილზე სწორედ „ინტერს“ ჩაუდგეს სათავეში.

## პარმა აღარ ხუმრობს

„პარმას“ უკვე ოთხი თვეა, არ წაუგია და ამად არის, რომ ლიდერთა კოჰორტაშია გარეული. ამის ნახევარი რომ ეთამაშათ ემილიელებს სეზონის სტარტზე, დღეს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში იქნებოდნენ ჩაბმულნი. ბევრს ეგონა, რომ „პარმას“ წაუგებელი სერია „სან სიროზე“ შეწყდებოდა, მაგრამ **რობერტო დონადონის** შეგირდებმა „მილანიც“ ბეჭებზე გააკრეს და მორიგი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში. ლომბარდიელებმა მთელი მატჩი ათი ფეხბურთელით წარმართეს, მაგრამ სტუმართა წარმატებას ეს სულაც არ აკნინებს.

ცალკე სალაპარაკო თემაა **ანტონიო კასანო**, რომელმაც დიდებულად იასპარეზა და ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში. ამ ხუმრობაში, კასანოს 10 გოლი დაუგროვდა და მის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ. საინტერესოა, სადამდე გასტანს ემილიური გუნდის წარმატებული სერია.

## სინიშას კაცები სჭირდება

**სინიშა მიხაილოვიჩის** ხელში „სამპდორიამ“ მკვეთრად მოუმატა და ის რაც გასულ უქმეებზე მოხდა, ლოგიკაში ნაკლებად ჯდება: გენუური გუნდი ბერგამოში ჩავიდა და „ატალანტასგან“ სამი უპასუხო გოლი მიიღო. მატჩის შემდეგ, მიხაილოვიჩი არნახულად განრისხებული იყო და შემდეგი განაცხადა:

*„როგორც ჩანს, ჩემს ფეხბურთელებს წარმატებამ თავბრუ დაახვია. კარგად გავარჩევ ამ თამაშს და ვნახავ, ვის შეიძლება დავეყრდნო მომდევნო შეხვედრებში. მე კაცები მჭირდება გუნდში და არა თავში ავარდნილი ბიჭები“.*

**ლაშა ნიკლაური**



ფრანჩესკო ტოტი დაბრუნდა და გაიტანა

### სიმბოლური ნაკრები




ამბები

## გალიანის ისევ უტევენ

„მილანის“ კრიზისის შესახებ ბევრი და ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა. ლომბარდიულ გრანდს მძიმე დროება უდგას, რაშიც უპირველესად კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** ადანაშაულებენ. გულშემატკივრებმა სპეციალური მიმართვაც გაავრცელეს, სადაც სწორედ გალიანის სატრანსფერო პოლიტიკაა გაკრიტიკებული - მთავარ შეცდომად **ანდრეა პირლოს** გაშვებაა მიჩნეული, მაგრამ ტიფოზებს არც **მასიმო ამბროზინი, ალბერტო აკვილანი** და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დავიწყებიათ. მოკლედ, გალიანიზე უკვე ულტრასებმაც მიიტანეს იერიში და სწორედ ამ ამბის გამოძახილი უნდა იყოს გუშინ გავრცელებული ცნობები.

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადრიანო გალიანის გათავისუფლების საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში და ამბობენ, რომ ამჯერად, 69 წლის მილვანეს უკვე არაფერი უშველის. ითქვა ისიც, რომ სენიორ ადრიანოს **პაოლო მალდინი** შეცვლის, რომელიც დიდი ხანია საყვარელი კლუბისგან სასურველ შეთავაზებას ელოდება.

## დი მარია და მორატა პოგბას სანაცვლოდ?

არ წყდება საუბარი **პოლ პოგბას** „იუვენტუსიდან“ აზარგების შესახებ, რადგან 21 წლის ფრანგ ნახევარმცველზე ნადირობაა გამოცხადებული. დღე არ გავა, რომ პოგბასთან დაკავშირებით ახალი სატრანსფერო ცნობა არ გავრცელდეს - ხან 60 მილიონ ევროდ გადაჰყავთ „მანჩესტერ სიტიში“ და ხანაც, პსჟ იხდის 65 მილიონს. მოკლედ, პოლის გარშემო დიდი ვნებათაღელვაა და ამ ფონზე, „გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო...

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, „იუვენტუსის“ მესვეურებმა „რეალთან“ მოლაპარაკება წამოიწყეს და მზად არიან პოგბა მადრიდში გაუშვან იმ პირობით, თუ ტურინში **ანხელ დი მარიას** და **ალვარო მორატას** წაიყვანენ. 21 წლის ესპანელი და 26 წლის არგენტინელი შემტევები არიან და როგორც ჩანს, იტალიელებს სწორედ წინა ხაზის გაძლიერება სურთ.

**ლაშა ნიკლაური**

## ახალი კონტრაქტები არსენალში

ლონდონის „არსენალმა“ თავის სამ ნახევარმცველთან გაახანგრძლივა კონტრაქტი - 29 წლის ესპანელ **სანტი კასორლასთან**, 23 წლის უელსელ **აარონ რემზისთან** და 17 წლის გერმანელ **გედინ ზელალემთან**. თუ რამდენწლიანია ახალი კონტრაქტები ჯერჯერობით არ გახმაურებულა, მაგრამ ფაქტია, რომ „მეთოფეებმა“ ეს მოთამაშეები კიდევ საკმაო ხნით დაიბევეს. *„ძალიან გვიხარია, რომ ამ ფეხბურთელებმა მომავალი კლუბს დაუკავშირეს. კასორლა და რემზი „არსენალისთვის“ უმნიშვნელოვანესი ფიგურები არიან და მათი დარჩენა თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან კარგი ამბავია. რაც შეეხება გედინს, იგი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე დაამტკიცა, რომ ფანტასტიკური მონაცემები და დიდი პოტენციალი აქვს, მოუთმენლად ველოდებით მის პროგრესს“* - განაცხადა ლონდონელთა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა**.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVIII ტურის შეჯამება

# რეკორდსმენი მესი და უიღბლო ბარალი

პრიმერას მორიგი ტური ორშაბათს დასრულდა. ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, კვირის პირველ სამუშაო დღეს ბილბაოს „ატლეტიკმა" ითამაშა, რომლის მეტოქე მეოთხე ადგილისთვის მებრძოლი „ვილიარეალი" გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ე.წ. 6-ქულიანი მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მაინც ბასკებს ჰქონდათ. ჯერ იყო და **არიც ადურისის** დარტყმას რიკოშეტი მოჰყვა, რომლის შემდეგაც **სერხიო ასენხომ** საოცარი რეაქციის წყალობით, ბურთი კუთხურზე გადააგდო. კუთხურიდან მოწოდებულ ბურთზე ისევ ადურისი იბრძოდა, მაგრამ **გაბრიელ პაულისტამ** სტუმართა ფორვარდს დარტყმის უფლება არ მისცა, თუმცა ხელით ითამაშა და მისი გუნდის კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ისევ და ისევ ადურისმა შეასრულა და ასენხოს ვერ აჯობა.

მეორე ნახევარში კი წინ მასპინძლები გავიდნენ - **ტომას პინამ ოლივერ ტორესის** გადაცემა შეირგო და მიმდინარე სეზონში თავისი მეორე გოლი გაიტანა. გამარჯვების შემთხვევაში **მარსელინოს** შეგირდები ბასკებთან სხვაობას 4 ქულამდე შეამცირებდნენ, მაგრამ გაბრიელ პაულისტას გაძევებამ „ელ მადრიგალის" ბინადრები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო და შედეგად, 10-კაციანმა „ვილიარეალმა" ბოლომდე ვერ გაძლო. ადურისმა პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომა გამოასწორა და ანგარიში გაათანაბრა. ჩემპიონატის დასრულებამდე 10 ტურით ადრე, „ატლეტიკი" უახლოეს მდევარს 6 ქულით უსწრებს.

## მზადება კლასიკოსთვის

„ელ კლასიკოს" წინ „ბარსელონამ" კარგად ივარჯიშა. კატალონიელებმა „ოსასუნას" კარში შვიდი უპასუხო გოლი გაიტანეს და უმნიშვნელოვანესი შეხვედრის წინ კარგი განწყობაც შეიქმნეს. **ლიონელ მესიმ** ჰეთთრიქი შეასრულა და ერთი საგოლე გადაცემაც მიითვალა, **ანდრეს ინიესტამ** კი ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა და გარდა ამისა, პარტნიორებს თავის გამოჩენაში ორჯერ დაეხმარა.

თამაშის შემდეგ, ორივე ფეხბურთელი უკვე მომდევნო შეხვედრაზე ფიქრობდა:

*„წინ ყველაზე რთული და ამავე დროს, ყველაზე ლამაზი თამაში გველის. გვინდა, რომ „ბერნაბეუ" კარგ ხასიათზე მყოფებმა დავტოვოთ - ჩვენ გვჯერა, რომ იქ გამარჯვების მოპოვება შეგვიძლია. „რეალის" და „ბარსას" დაპირისპირება საფეხბურთო ომია, მაგრამ ყველაფერი, რაც წარსულში მოხდა, იქვე დარჩა. ამ სეზონში ბევრი რთული მომენტი გვქონდა და ყველაფერი იდეალურად ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ახლა მხოლოდ მომდევნო შეხვედრაზე ვფიქრობთ"*, - განაცხადა ინიესტამ.

*„იმედი მაქვს, რომ „ბარსელონას" საუკეთესო ვარიანტს ვნახავთ და კვირას დადებით შედეგს მივაღწევთ, რომელიც აუცილებლად გვჭირდება იმისთვის, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ. კარგი შანსი გვაქვს, რომ „რეალთან" არსებული ჩამორჩენა ერთ ქულამდე დავიყვანოთ. ვიცით, რომ ძალიან რთული მატჩი გველის, რადგან თამაში სტუმრად გვიწევს, თანაც „რეალი" ძალიან კარგ ფორმაშია. რთული იქნება, მაგრამ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული"*, - ეს უკვე ლიონელ მესის სიტყვებია.

## მესის 371

როგორც აღვნიშნეთ, არგენტინელმა პანპლონელთა კარში სამი გოლი გაიტანა და კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. შეგახსენებთ, რომ მესი „ბარსელონას" ისტორიაში პრიმერა დივიზიონის და ევროტურნირების საუკეთესო სნაიპერი ისედაც იყო, მაგრამ ბევრი მას საუკეთესო ბომბარდირად მაინც არ თვლიდა, რადგან „პულგა" გატანილი გოლებით **პაულინო ალკანტარას**, კატალონიური კლუბის პირველ სუპერვარსკვლავს ჩამორჩებოდა. ალკანტარას ანგარიშზე 369 გოლი იყო, თუმცა ბურთების უმეტესობა მან არაოფიციალურ მატჩებში გაიტანა. „ოსასუნასთან" შესრულებული ჰეთთრიქის შემდეგ, მესის „ბალუგრანას" ფორმით უკვე 371 ბურთი აქვს გატანილი.

233 გოლი „პულგამ" ლა ლიგაში (267 შეხვედრაში) გაიტანა. არგენტინელი მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება **უგო სანჩესს**, რომელიც ყველა დროის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა. სიმბოლურია, რომ „რეალის" ლეგენდის დაწევის შანსი მესის „ელ კლასიკოში" მიეცემა.

რაც შეეხება სხვა ტურნირებს: 29 გოლი ლიონელმა ესპანეთის თასზე გაიტანა, ევროტურნირებზე კი თავი 68-ჯერ გამოიჩინა. გარდა ამისა, 14 ბურთი მან სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრაში შეაგდო, კიდევ 27 გოლი კი არაოფიციალურ მატჩებში.

## მადრიდული დუეტი

„რეალმა" და „ატლეტიკომ" გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგეს. იოლი მეტოქე არც ერთს ჰყავდა. „სამეფო კლუბმა" „ლა როსალედაზე" „მალაგას" სძლია, „ატლეტიკომ" კი შინ „ესპანიოლი" დაამარცხა.

მართალია, „მალაგა" შარშანდელთან შედარებით აშკარად დასუსტებულია, მაგრამ საკუთარ მოედანზე ანდალუსიელები ყველასთვის რთულ მეტოქეს წარმოადგენენ. გამონაკლისი არც **კარლო ანჩელოტის** გუნდი გამოდგა, რომელმაც **კრიშტიანო რონალდოს** ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა.

*„მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა, რის შემდეგაც პრობლემები შეგვექმნა. კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ დაცვაში სოლიდურად გავისარჯეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. ორ-სამ გოლს ყოველთვის ვერ გაიტან. საუკეთესო თამაში ნამდვილად არ გვიჩვენებია, მაგრამ ეს მოტოქის დამსახურებაც არის, რომელმაც წნეხის ქვეშ მოგვაქცია და გასაქანი არ მოგვცა"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ.

„ატლეტიკომ" კი პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო და „ესპანიოლს" **დიეგო კოშტას** გოლით მოუგო. „ელ კლასიკოს" „როხიბლანკოს" ფეხბურთელებიც მოუთმენლად ელიან, რადგან მათთვის სასურველი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში, მათ ლიდერთან სხვაობის შემცირების, ან სულაც მასთან გათანაბრების შანსი აქვთ.

## ბარალის უიღბლობა

„ლევანტემ" საკუთარ მოედანზე „სელტასთან" წააგო, რაშიც მთავარი წვლილი არბიტრმა **ალეხანდრო ერნანდესმა** და **დავიდ ბარალმა** შეიტანეს. მსაჯმა სტუმართა კარში 100-პროცენტიანი პენალტი არ დანიშნა, როდესაც ვიგოელებმა საჯარიმოში **პედრო ლოპესი** წააქციეს და „ლევანტეს" ფეხბურთელს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა. მოგვიანებით, ერნანდესმა „სელტას" კარში 11-მეტრიანი მაინც დანიშნა, მაგრამ **გუსტავო კაბრალს** მხოლოდ ყვითელი ბარათი მისცა, არადა არგენტინელმა მცველმა **ვიქტორ კასადესუსის** საოცარი და ულამაზესი (აუცილებლად ნახეთ) დრიბლინგი მეკარის საჯარიმოში შეაჩერა და პირდაპირ წითელ ბარათს იმსახურებდა.

პენალტი დავიდ ბარალმა ვერ გაიტანა, რამდენიმე წუთში კი ფორვარდმა კიდევ უფრო რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, როდესაც ცარიელი კარის წინ, დაახლოებით ხუთ მეტრში მდგარმა ისე სუსტად დაარტყა, რომ **იოელს** ბურთის აღების საშუალება მისცა, მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იოელი ბურთიანად კარში აღმოჩნდა, მსაჯებმა კი ეს ვერ შენიშნეს და მასპინძლებს გოლი არ ჩაუთვალეს.

მოკლედ, ერნანდესმა და ბარალმა „სელტას" სამი ქულა აალებინეს და **ლუის ენრიკეს** ამოსუნთქვის საშუალება მისცეს.

### სიმბოლური ნაკრები






არიც ადურისმა ჯერ პენალტი ვერ გაიტანა, შემდეგ კი ანგარიში გაათანაბრა

**ბომბარდირები:**

25 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
22 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
18 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
17 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა)
15 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)
14 - პედრო (ბარსელონა)

**ასისტენტები:**

12 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
11 - გარეთ ბეილი (რეალი)
10 - კოკე (ატლეტიკო)
9 - კარლოს ველა (სოსიედადი), ივან რაკიტიჩი (სევილია), ლიონელ მესი (ბარსელონა)
8 - ანხელ დი მარია (რეალი), მარკელ სუსაეტა (ბილბაო), ნეიმარი (ბარსელონა), პედრო (ბარსელონა)

**გოლი+პასი:**

32 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 25+7
27 - ლიონელ მესი (ბარსელონა) - 18+9
25 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 22+3
24 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 17+7
22 - პედრო (ბარსელონა) - 14+8
21 - ქარიმ ბენზემა (რეალი) - 15+6, გარეთ ბეილი (რეალი) - 10+11
20 - ივან რაკიტიჩი (სევილია) - 11+9, სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა) - 8+12

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## მეორე ზიდანიც საფრანგეთის ნაკრებში

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, **ზინედინ ზიდანის** შვილი **ლუკა ზიდანი** ქვეყნის 16-წლამდელთა ნაკრებშია გამოძახებული. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, საფრანგეთის 19-წლამდელთა ნაკრებში „ზიზუს" მეორე ვაჟი, **ენცო ზიდანი** გამოიძახეს, რომელიც ლუკას მსგავსად, მადრიდის „რეალში" ირიცხება. ენცო იმავე პოზიციაზე თამაშობს, რომელზეც ზინედინი თამაშობდა, აი, 15 წლის ლუკა კი მეკარე გახლავთ და ის „სამეფო კლუბის" ახალგაზრდული აკადემიის გუნდის წევრია.

აქვე გეტყვით, რომ ლეგენდარული ფეხბურთელის კიდევ ორი ვაჟი, 11 წლის **თეო ზიდანი** და 9 წლის **ელიას ზიდანი** ასევე „რეალის" ახალგაზრდულ აკადემიაში თამაშობს. იმის გამო, რომ „ზიზუს" მეუღლე ესპანელი გახლავთ, მის ოთხივე ვაჟს უფლება აქვს ითამაშოს როგორც საფრანგეთის, ასევე ესპანეთის ნაკრებში.

**ტატო ბაციკაძე**

## სად წავა ბალოტელი?

„მონაკოს" იტალიური „მილანის" ფორვარდის **მარიო ბალოტელის** შეძენა გადაუწყვეტია და მზადაა ფეხბურთელს ხელფასი გაუზარდოს. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, „როსონერის" ბალოს შენახვა გადასახადების ჩათვლით ყოველწლიურად 11 მილიონი ევრო უჯდება. რთული ხასიათის მქონე თავდამსხმელს კი იმხელა სარგებელი „როსონერისთვის" ნამდვილად არ მოაქვს, რომ ახლა გასაჭირში მყოფი „მილანი", რომელშიც დიდი ცვლილებები იგეგმება, მის გაყიდვაზე არ დაფიქრდეს. დანარჩენი უკვე მონტეკარლოელებზეა დამოკიდებული, რომლებსაც ფული ნამდვილად არ აკლიათ. მოკლედ, ვნახოთ მოთაფლავს თუ არა „მონაკოს" წინადადება „მილანს" და პირადად ბალოტელის. აი, **დიეგო მარადონას** აზრით კი, ბალოტელი მისმა ყოფილმა გუნდმა „ნაპოლიმ" უნდა იყიდოს. *„მე „ნაპოლის" ბალოტელის შეძენას ვურჩევდი. მარიოს მართვა რთულია? უბრალოდ მომაბარეთ იგი და მივხედავ"* - თქვა მარადონამ.

## ვილაშ ბოაში და ზენიტი გადაწყდა

**ანდრე ვილაშ ბოაში** სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა, იგი „ზენიტის" ახალი მთავარი მწვრთნელია - მხარეებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს. შეთანხმების დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ როგორც ამბობენ, პორტუგალიელის ხელფასი წელიწადში 8,5 მილიონი ევრო იქნება. 36 წლის სპეციალისტის „ზენიტში" მისვლას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ფეხბურთელები ცხადია, მხოლოდ დადებით განცხადებებს აკეთებენ და ყველაზე მეტად **ლუიშ ნეტოა** გახარებული, 26 წლის მცველს ვილაშ ბოაშის მოსვლა იმიტომაც უხარია, რომ **ლუჩანო სპალეტი** მას დიდად აღარ სწყალობდა. აი, მაგალითად რუსული ფეხბურთის ერთ-ერთ სახეს **ანდრეი ტიხონოვს** მიაჩნია, რომ ეს შეცდომაა - უცხოელებზე ამდენი ფულის ხარჯვას უნდა მოვეშვათ, დიდი თანხები იხარჯება, შედეგი კი არ არისო. ბარემ ვთქვათ ისიც, რომ „ზენიტს" ახალი მასაჟისტი ეყოლება, ბრაზილიელი **ედუარდუ სანტუში** რუსულმა კლუბმა არნემის „ვიტესიდან" გადაიბირა.

**გიორგი კაკაბაძე**

19.03. მანჩესტერი ოლდ ტრეფორდი 23:45

## მანჩესტერ იუნ.

| |
|---|
| I მატჩი: 0:2 |
| +3=2-1 ბოლო 6 მატჩი ლიგაზე +4=1-1 |
| არბიტრი |
| ბიორნ კუიპერსი (ჰოლ) |

## ოლიმპიაკოსი

სავარაუდო შემადგენლობები

მანჩესტ.

დე ხეა

ვიდიჩი ფერდინანდი

რაფაელი ევრა

ფლეტჩერი კერიკი

ვალენსია რუნი იანუზაი

ვან პერსი

ვალდესი

კემპბელი დომინგესი პერესი

ნდინგა მანიატისი

ოლებასი ლეანდრო

მარკანო მანოლასი

რობერტო

ოლიმპია.

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ევანსი - მარკანო (?), სავიოლა,ოლაიტანი

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# სიკვდილ-სიცოცხლის მატჩი



დევიდ მოიესი ოპტიმისტურადაა განწყობილი

**დღეს ფაქტობრივად, პოსტფერგიუსონისეული „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბედი წყდება - დაიშლება ხუხულასავით დიდი პროექტი სახელად დევიდ მოიესი, თუ მას ახალი ძალა მიეცემა. ყველაფერი კი ისევ შოტლანდიელ მოიესზეა დამოკიდებული - „იუნაიტედის“ სპეციალისტი თავად არ მისულა რუბიკონთან, მაგრამ რუბიკონი მივიდა მასთან და ახლა მან ეს რუბიკონი უნდა გადალახოს...**

თუკი **მიჩელის** „ოლიმპიაკოსი“ **დევიდ მოიესისთვის** დაუძლეველი სიმაღლე იქნება, მაშინ მისი ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილია. არადა, პირველი თამაში ბერძნებმა 2:0 მოიგეს, რაც დღევანდელ „იუნაიტედთან“ უკვე შთამბეჭდავ უპირატესობას ნიშნავს.

„წითელი ეშმაკები“ მასპინძლობენ გუნდს, რომელმაც შაბათს (!) უკვე იზეიმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება საბერძნეთის ჩემპიონატში - ამდენად მაღლა დგას „ოლიმპიაკოსი“ შინაურ მეტოქეებზე. მოიესის გუნდი საშინელ ხასიათზეა - შინ „ლივერპულთან“ განადგურებას ბევრი კი ელოდა, მაგრამ მაინც ეიმედებოდათ, რომ „წითელი ეშმაკები“ ასე არ დაეცემოდნენ. პრემიერლიგაში „იუნაიტედი“ ლიდერ „ჩელსის“ 18 ქულას ჩამორჩება, ასე რომ, ჩემპიონთა ლიგა ერთადერთი ასპარეზია, სადაც სერ **ალექს ფერგიუსონის** ყოფილ გუნდს ჯერ კიდევ შერჩა რამის იმედი.

*„რაც შეიძლება, მალე უნდა აღმოვფხვრათ მეტოქის ორგოლიანი უპირატესობა. როგორმე უნდა დავრჩეთ ლიგაზე“*, - ამბობს თავად მოიესი.

„ოლიმპიაკოსი“ 11-ჯერ იყო ინგლისში სტუმრად და ამდენჯერვე დამარცხდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდში ამაღლებული განწყობაა - „ოლიმპიაკოსი“ 41-ედ გახდა საბერძნეთის ჩემპიონი. არადა, საბერძნეთის ჩემპიონატში 5 ტური კიდევ რჩება.

მასპინძლებს საკადრო პრობლემა აქვთ დაცვაში: არ ეყოლებათ **ჯონი ევანსი.** ნიგერიელ **მაიკლ ოლაიტანს** „ოლიმპიაკოსიდან“ მას მერე, არ უთამაშია, რაც საბერძნეთის ჩემპიონატში, მარტის დასაწყისში გული წაუვიდა მოედანზე. ვიზიტორებს სავარაუდოდ, არც **ივან მარკანო** და **ხავიერ სავიოლა** ეყოლებათ.

„დორტმუნდისა“ და „ზენიტის“ წყვილში გადასაწყვეტი არაფერია - უკვე **ანდრე ვილაშ ბოაშის** „ზენიტი“ ლიგიდან ფაქტობრივად გავარდნილია მას მერე, რაც რუსეთში 2:4 დამარცხდა. „ზენიტს“ ისევ დროებითი თავკაცი **სერგეი სემაკი** გაუძღვება.

**იურგენ კლოპს** არ ეყოლება **მარკო როისი**, სტუმრებს **ანდრეი არშავინი** დააკლდებათ. „დორტმუნდმა“ 12-ჯერ მოიგო ორმატჩიან რაუნდში პირველი შეხვედრა ევროთასებზე და აქედან 11-ჯერ დაძლია ბარიერი. ასე რომ, რუსები სასწაულის იმედად არიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

19.03. დორტმუნდი სიგნალ იდუნა პარკი 23:45

## დორტმუნდი

| |
|---|
| I მატჩი: 4:2 |
| +5=0-1 ბოლო 6 მატჩი ლიგაზე +1=3-2 |
| არბიტრი |
| უნდიანო მალენკო (ესპ) |

## ზენიტი

სავარაუდო შემადგენლობები

დორტმ

ვაიდენფელერი

ჰუმელსი სოკრატისი

პიშჩეკი შმელცერი

კელი ნ. შაჰინი

მხითარიანი

ობამეიანგი გროსკროიტცი

ლევანდოვსკი

რონდონი

შატოვი ფაიზულინი ჰალკი

ვიტსელი ზირიანოვი

კრიშიტო ანიუკოვი

ლომბაერტსი ჰუბოჩანი

ლოდოგინი

ზენიტი

**დისკვალიფიკაცია:** - რიაზანცევი

**ტრავმა:** როისი, გიუნდოგანი, სუბოტიჩი - არშავინი



ჩემპიონთა ლიგა. 1/8-ფინალი. საპასუხო მატჩები

# მშვიდად მეოთხედფინალში

**ჩელსი–გალათასარაი 2:0**

**გოლები:** 1:0 ეტოო (4), 2:0 კეჰილი (42)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, კეჰილი, ასპილიკუეტა - ლემპარდი, რამირესი - აზარი, ოსკარი (82. შიურლე), ვილიანი (90+3. კალაში) - ეტოო (86. ტორესი)

**გალათასარაი (4-2-3-1):** მუსლერა - ებუე (77. ჰაიროვიჩი), შეჯუ, კაია, ტელესი - კურტულუში (67. ბალთა), მელო - ილმაზი (54. ბულუთი), ინანი, სნეიდერი - დროგბა

**გაფრთხილება:** ოსკარი, ივანოვიჩი - მელო, დროგბა, ინანი

**კარში დარტყმა:** 21-4 (13-1) **კუთხური:** 7-0 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 20-20 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 38 038

პლეიოფის პირველი მატჩების შემდეგ რეალური ინტრიგა მხოლოდ „ჩელსი"-"გალათასარაის" შეხვედრაში იყო დარჩენილი. ამას დაემატა **დიდიე დროგბას** ფაქტორიც, ვისაც მოედანზე გასულს ორივე გუნდის გულშემატკივარმა ცალკე აუხსნა სიყვარული. 36 წლის ივუარელს „სახლში" ასპარეზობა არ გამოუვიდა. ერთ-ორ მომენტს თუ არ ჩავთვლით, რომელშიც ფეხბურთელმა აშკარად მაყურებელზე ითამაშა, ის თითქმის არ გამოჩენილა.

„ალი სამ იენის" მსგავსად (გოლი მე-10 წუთზე) შეხვედრა „სტემფორდ ბრიჯზეც" სწრაფი გოლით დაიწყო. „ჩელსის" ამისთვის 4 წუთი ეყო. **ოსკარის** პასის შემდეგ **სამუელ ეტოო** მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩა. ბოლო მომენტში მისი დაბლოკვა მეორე კამერუნელმა **ორიოლ შეჯუმ** სცადა, თუმცა არ გამოუვიდა. გოლში ვერც **ფერნანდო მუსლერას** დავადანაშაულებთ. „ჩელსიმ" „ლომების" კართან სტანდარტულის შემდეგ სიტუაცია რამდენჯერმე გაამწვავა. სტანდარტულს მოჰყვა 2:0-იც. კუთხურის შემდეგ **ჯონ ტერიმ** თავით ყველას აჯობა. მუსლერამ დარტყმა მოიგერია, მაგრამ პირდაპირ **გარი კეჰილზე**, ვინც 2-3 მეტრიდან კინალამ ბადე გახია.


სამუელ ეტოომ ანგარიში გახსნა

შესვენების შემდეგ თამაშის შინაარსი ოდნავადაც არ შეცვლილა. განსხვავება მხოლოდ ერთი იყო - „გალათასარაიმ" შეძლო კარში დარტყმა, ოღონდ მასპინძლისგან რიკოშეტის დახმარებით. ბურთს **პეტრ ჩეხი** მშვიდად დაეუფლა. რეალური საგოლე მომენტები კი ძველებურად მუსლერას კართან იქმნებოდა. ურუგვაელს **ვილიანის, ფრენკ ლემპარდის** (ორჯერ), **ედენ აზარისა** და შეცვლაზე შესული **ფერნანდო ტორესის** დარტყმების მოგერიება მოუხდა.

პირველ ტაიმში გუნდები ერთმანეთის წინააღმდეგ ხისტად, ზოგჯერ კი ბინძურადაც კი თამაშობდნენ. მატჩიდან პირველი სწორედ ამგვარი მომენტი გვახსენდება. **ფელიპე მელომ** ოსკარი კინალამ გაწირა. ამას გარდა იყო **ინანისა** და **რამირესის**, შეჯუსა და ეტოოს, ოსკარისა და ინანის ეპიზოდები. **ფელიქს ბრიხს** რომ არ დანანებოდა, თითოეულ ამ ეპიზოდში შეიძლებოდა ყვითელი ბარათის გამოყენება. მეორე ნახევარში სიტუაცია ერთბაშად გამოსწორდა. **სელჩუკ ინანის** მომენტს თუ არ ჩავთვლით, ფეხბურთელებს ერთმანეთისთვის არაფერი დაუშავებიათ.

**ლევან ბიბილაშვილი**

# რონალდო გაერთო

**რეალი–შალკე 3:1 (6:1)**

**გოლები:** 1:0 კ. რონალდო (21), 1:1 ჰუგლანდი (31), 2:1 კ. რონალდო (74), 3:1 მორატა (75)

**რეალი (4-1-2-3):** კასილიასი - ნაჩო, სერხიო რამოსი (69. კარვახალი), ვარანი, ფაბიო კოენტრაო - ჩაბი ალონსო (46. კაზემირო) - ისკო, ილიარამენდი - მორატა, ხესე (8. ბეილი), კ. რონალდო.

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - ჰუგლანდი, ჰიოვედესი (57. კ. პაპადოპულოსი), მატიპი, კოლაშინაცი - აიჰანი (81. ანანი), ნოიშტედტერი - ობასი, მ. მაიერი, დრაქსლერი - ჰუნტელაარი (46. სალაი).

**გაფრთხილება:** ილიარამენდი - კ. პაპადოპულოსი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 7-8; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 23(10)-14(3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 67 000

ვინც იფიქრა, რომ „რეალი" „შალკესთან" სპორტული თვალსაზრისით ფორმალობად ქცეულ მატჩში თავს დაზოგავდა და ამით გელზენკირხენულ კლუბს „სანტიაგო ბერნაბეუზე" მინიმუმ პრესტიჟის ფრის დაფიქსირების შანსი მიეცემოდა, შეცდა. **კარლო ანჩელოტიმ** ძირითადი შემადგენლობა კი გადაახალისა, მაგრამ რაც მთავარია, **კრიშტიანო რონალდო** სკამზე არ დასვა და პორტუგალიელმაც კიდევ ერთი ლამაზი საღამო მოიწყო. რონალდომ დუბლი შეასრულა, „რეალმა" 3:1 მოიგო.

თავს უფრო გელზენკირხენელები ზოგავდნენ, თუმცა არც „რეალი" იყო მაინცდამაინც მონდომებული - მადრიდელებს კვირას ხომ „კლასიკო" ელოდებათ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პირველი მატჩი „რეალმა" გელზენკირხენში 6:1 მოიგო, „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაფიქსირებული 3:1-ით გერმანელები ბედნიერები უნდა იყვნენ. თუმცა ის ფაქტი, რომ „შალკე" აღარ განადგურდა, „რეალის" არასათანადო აგრესიასთან ერთად, გელზენკირხენელთა მეკარე რალფ ფერმანის დამსახურებაცაა, რომელმაც არაერთი მშვენიერი სეივი შემოგვთავაზა.




რონალდოს ძირითადში გამწესებას თავისი მიზეზი ჰქონდა: პორტუგალიელს ჩემპიონთა ლიგაში გოლების გატანა უნდა და შეიძლება ითქვას, რომ მისია შესრულებულია. რონალდოს ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში „რეალის" ფორმით 47 შეხვედრაში 48 გოლი აქვს გატანილი. გარდა ამისა, პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების შვიდივე შეხვედრაში მინიმუმ ერთი გოლის გატანა შეძლო და ამ სეზონში ზოგადად უკვე 13 გოლი აქვს, რითაც **ლეო მესის** მიერ 2011/2012 წლებში დამყარებულ რეკორდს (14 გოლი) უმიზნებს. ცნობისათვის, რონალდოს პოკერის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ორჯერ ბურთი ძელს მოარტყა. ისიც ვთქვათ, რომ „რეალს" ევროტურნირებზე საკუთარ კედლებში 16-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

**გოტფრიდ ლენცი**






ჩოგბურთი

# სამი ვერცხლი და ახალი მედლების შანსი

14-წლამდელი ჩოგბურთელი გოგონებისა და ბიჭების აღმოსავლეთ ევროპის პირველობაში, რომელსაც ანტალია მასპინძლობს, ოთხი ქართველი მონაწილეობს. შეჯიბრება ორ ტურად იმართება. პირველი უკვე დასრულდა, რომელშიც ჩვენებურებმა სამი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

გოგონების ერთეულთა თანრიგში **ანა შანიძე** მე-4 ნომრად იყო განთესილი. ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ დაამარცხა ელენი ლოუკა (კვიპროსი)-6:0, 6:3, დარია კრუოვსკა (მაკედონია)-6:2, 6:3, ლარა ბიტერი (თურქეთი)-6:2, 6:2 და ფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტ დანიელე ვისმანეს (ლატვია) დაუპირისპირდა. ჩვენებურმა ბალტიისპირელს ვერაფერი მოუხერხა და ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 2:6. ამავე ტურნირში მონაწილეობდა **მარიამ დალაქიშვილი.** სტარტზე მან ლიტველ ივეტა დაუიოტაიტეს აჯობა - 6:2, 6:4, მაგრამ მეორეში იულია პატოუკას (ბელარუსი) დანებდა - 4:6, 5:7. მე-11 ადგილისთვის პაექრობაში კი აზერბაიჯანელი ფიდანა ხალილზაგდა დაჯაბნა - 6:0, 6:3. დალაქიშვილმა პატოუკაზე ჯავრი წყვილთა ნახევარფინალში იყარა. მანამდე შანიძესთან ერთად სანდა კოტორობაის და ვიტალია შტამატის (ორივე-მოლდოვა) სძლია - 6:3, 6:1. კარინა დუდკოს და იულია პატოუკასაც (ორივე-ბელარუსი) იოლად დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:0, 6:4, გადამწყვეტი პაექრობა მარია ელეხოვას, დარია კრუოვსკას (ორივე-მაკედონია) დუეტთან წააგო - 0:6, 3:6. ანა და მარიამი ვერცხლის მედალს დასჯერდნენ.

წყვილებში მეორე ადგილზე გავიდა **ნიკოლოზ დავლიანიძისა და ზურაბ ტყემალაძის** ტანდემი. ჩვენმა ბიჭებმა, რომლებიც მეორე ნომრად იყვნენ განთესილი, ჯერ არტსიომ ბარდზინი და ანეი ლასკა (ორივე-ბელარუსი) დაჯაბნეს - 7:6, 6:1, მერე ბორა სერგული და ულას ბორან ულუსო (ორივე-თურქეთი) ჩამოიშორეს გზიდან - 6:1, 6:4, ფინალში კი რეიტინგფავორიტ დანიილ ბატმანოვსისა და ტეოდორ პუკშეს (ორივე-ლატვია) ტანდემთან დამარცხდნენ - 2:6, 3:6.

ერთეულებში **ნიკოლოზ დავლიანიძემ** სასტარტო შეხვედრა მარიო ალექსიჩს (ჩერნოგორია) მოუგო - 7:6, 6:1, მეოთხედფინალში კი ისლანდიელ ანტონ მაგნიუსონს დანებდა - 2:6, 3:6, მე-5 ადგილისთვის პაექრობაში ალექსანდრ ვიქტორს (მოლდოვა) დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:2, 1:6, 6:3. ერთ პაექრობაში მიაღწია წარმატებას **ზურაბ ტყემალაძემ** - მიხაილ კუშეკი (მაკედონია) დაჯაბნა - 7:6, 6:3, მერე კი თავადაც წააგო დანიილ ბატმანოვსთან (ლატვია) - 2:6, 2:6.

გუშინწინ მეორე ტურის შეხვედრები დაიწყო (საგულისხმოა, რომ ორივე ტურის 5-5 საუკეთესო ჩოგბურთელი ევროპის გაერთიანებულ გუნდში ითამაშებს). ზურაბ ტყემალაძე-გუნარ ერიქსონი (ისლანდია) 6:1, 6:2, ტყემალაძე-მარიო ალექსიჩი (ჩერნოგორია) 6:2, 6:4. დღეს მეოთხედფინალში ქართველი ჩოგბურთელი ტეოდოროს სოფრონიუს (კვიპროსი) დაუპირისპირდება. მე-2 ნომრად განთესილი ნიკოლოზ დავლიანიძე პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ვასილ დონტუ (მოლდოვა) ჩამოიშორა გზიდან - 7:6, 6:4. დღეს ისიც კვიპროსელ ჩოგბურთელს - დიმიტრის არავისს შეხვდება. წყვილებში რეიტინგფავორიტ ქართველებს ისლანდიელები - გუნარ ერიქსონი და ანტონ მაგნუსონი გაუწევენ მეტოქეობას.

14-წლიანმა გოგონებმაც გააღწიეს მეოთხედფინალში. ანა შანიძე (№4)-ელენი ლოუკა (კვიპროსი) 7:5, 7:5. მარიამ დალაქიშვილი (№7)-ლარა ბიტერი (თურქეთი) 6:1, 6:1, დალაქიშვილი-იულია პატოუკა (ბელარუსი) 6:0, 6:0.

დღეს ჩვენებურთაგან შანიძე ლიტველ ივეტა დაუიოტაიტეს, ხოლო დალაქიშვილი ლატვიელ რეიტინგფავორიტ დანიელა ვისმანეს შეხვდება. წყვილებში ქართველები მეორე ნომრად არიან განთესილი და სტარტზე ისვენებდნენ. მეოთხედფინალში მოლდოველების - სანდა კოტორობაის და ვიტალია სტამატის დუეტთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**



სოფიო ქვაცაბაია

# ქვაცაბაიამ იყოჩაღა

გუშინ ანტალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). პირველი გამარჯვება იზეიმა **სოფიო ქვაცაბაიამ,** რომელიც ბოლოდროინდელი წარმატებებით კლასიფიკაციაში, როგორც გაუწყეთ, ერთბაშად 101 საფეხურით დაწინაურდა. ქართველმა ჩოგბურთელმა სტარტზე მასპინძელი მუგე ტორსელი დაამარცხა - 6:2, 6:3 და მეორე წრეში იოშიმი კავასაკისა (იაპონია) და ჩანთალ სკამლოვას (სლოვაკეთი) შორის უძლიერესს დაუპირისპირდება. სამწუხაროდ, პირველი ბარიერი ვერ გადალახა მეხუთე ნომრად განთესილმა **ეკატერინე გორგოძემ** - მან რუს კსენია ლიკინასთან წააგო. წყვილებში ჩვენს ჩოგბურთელებს განთესვით მესამე ნომერი აქვთ. პირველ წრეში ისინი მელის ბაირაკტაროღლუს (თურქეთი) და ევგენია სვინცოვას (რუსეთი) დუეტთან გაარკვევენ ურთიერთობას.

■ ■ ■

ანტალიის ვაჟთა 10.000-იან ტურნირში მე-5 ნომრად ჩაება **ნიკოლოზ ბასილაშვილი,** მაგრამ პირველსავე შეხვედრაში კვალიფიკაციიდან აღზევებულ ალემან კონსტანტინ ხრისტთან დამარცხდა - 2:6, 5:7. ჩვენებურმა ვერც წყვილებში იყოჩაღა - იაპორ იაციკთან (ბელარუსი) შეამხანაგებული ალთუგ გულიკბილეკსა (თურქეთი) და დიმიტარ კუზმანოვს (ბულგარეთი) შეხვდა. პირველი სეტი მეტოქემ 7:5 მოიგო. ბასილაშვილი და იაციკი მეორე ხელის სათამაშოდ კორტზე არ გასულან.

■ ■ ■

უზბეკეთში ჭაბუკთა ტურნირში მოსინჯა ძალები თბილისელმა **ალექსანდრე ბაკშიმ,** მაგრამ მე-5 ნომრად განთესილი ჩვენებური ერთეულების პირველსავე წრეში ვლადისლავ ჩუმაკთან (უკრაინა) დამარცხდა - 4:6, 2:6. წყვილებში იგი პოლონელ მიხალ დემბეკთან ერთად მესამე ნომერია. პირველ წრეში მათ პორტუგალიელებს - ფილიპ სილვას და ანტონიო საბუგუეროს სძლიეს - 6:4, 6:1 და მეოთხედფინალში ანდრეი ანდუხოუ (ბელარუსი)-ანტონ შეპელევის (რუსეთი) ტანდემთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

სუმო

# გაგამარუ იბრძვის

იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაზაფხულის ბაშოს ორი მესამედი მიილია. იმპერატორის ტიტულისთვის ბრძოლაში ტრადიციულად, ორი დიდი ჩემპიონი, ორი მონღოლი დაწინაურდა - **ჰაკუჰოს** და **ჰარუმაფუჯის** 10-10 მოგება აქვთ.

ელიტის ერთადერთი ქართველი **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** მე-10 დღეს **სადანოფუჯის** შეხვდა და უხერხულ მეტოქეს იორიკირის ილეთით მოუგო. გაგამარუს 4-6 ბალანსი აქვს. მისი მომდევნო მეტოქე მე-16 მაეგაშირა **კაგამიოა** (1:1 ურთიერშეხვედრებში).

III დივიზიონის 55-ე ნომერი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** მე-10 დღეს ისვენებდა, მისი მომდევნო მეტოქე **კავანარია.** ბაშოზე ორივე სუმოისტი ჯერჯერობით დაუმარცხებელია.

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (ოშიდაში), ჰაკუჰო-კოტოოშუ (უვატენაგე), კაკურიუ-ტოიონოშიმა (იორიკირი), ტაკაიასუ-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), კისენოსატო-იკიოი (იორიკირი), გაგამარუ-სადანოფუჯი (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

10-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა)

9-1: კაკურიუ (ოძეკი) 4:6: გაგამარუ (მ 9)

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, კოტოშოგიკუ-იოშიკაძე, კაკურიუ-ტოჩიოძანი, კოტოოშუ-ტამავაში, გაგამარუ-კაგამიო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი



# იმედი სამტრედიას წამოეწია

სასპორტო კომპლექს „არენაში“ გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი. გუშინ აღმოსავლეთის ჯგუფში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ასპარეზობის ლიდერმა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა სტუ-მ უპრობლემოდ დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „თელავი“ - 35:23. დაძაბული და საინტერესო გამოდგა „იმედისა“ და „პეგასის“ დაპირისპირება. პირველი ტაიმი „იმედმა“ ექვსბურთიანი სხვაობით მოიგო - 18:12. შესვენების შემდეგ „პეგასის“ მწვრთნელმა **ტიტე კალანდაძემ** რამდენიმე ახალი მოთამაშე ჩააბა თამაშში და მისმა შეგირდებმაც საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა. განსაკუთრებით ახალგაზრდული ნაკრების წევრი **მიხეილ ნაზლაიძე** გამოირჩა - 6 ბურთი გაიტანა და რამდენიმე საგოლე გადაცემა შეასრულა. თანაგუნდელს მხარი აუბა **ვლადიმერ ბაძალუამ** (7 გოლი) და ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე დავიდა - 22:23. მატჩის მიწურულს იმედელმა **რობერტ ბეჟანიშვილმა** (9) რამდენიმე გოლი გაიტანა და თავის გუნდს ზედიზედ მეორე გამარჯვება მოუტანა - 31:28. ამ წარმატების შემდეგ „იმედი“ ქულებით მესამეადგილოსან „სამტრედიას“ წამოეწია.

**სტუ-თელავი 35:23**

**სტუ:** ცერცვაძე, ხიდეშელი, ორჯონიკიძე (7), აბრამიშვილი (5), სურმავა (4), სტურუა (4), გრიშიკაშვილი (4), ამირანაშვილი (3), სიმონია (3), ლ. არსენაშვილი (2), გოგალაძე (2), გოგოლაძე (1).

**თელავი:** ლილუაშვილი, ა. სამიტაშვილი, დანელიშვილი (6), მღებრიშვილი (6), ნ. სვიმონიშვილი (4), ჯ. ნიკურაძე (2), მაისაშვილი (2), ცისკარიშვილი (2), ი. სამიტაშვილი (1), დიდებაშვილი.

**იმედი-პეგასი 31:28**

**იმედი:** მღებრიშვილი, ლორია, ბეჟანიშვილი (9), ალანია (7), გ. იობაშვილი (6), აბაშიძე (3), მძელური (3), ჩიკვილაძე (2), რუსტამოვი (1), გიორგაძე, ჯმუხაძე, თაბაგარი, ჩაკვეტაძე, ი. კალანდაძე.

**პეგასი:** ცინცაძე, ბაძალუა (7), ნაზლაიძე (6), ა. ცხვარაშვილი (4), დიხამინჯია (4), ოსიყმაშვილი (3), კოხრეიძე (1), ლობჟანიძე (1), დემეტრაშვილი (1), ნ. მაისურაძე (1), აბჟანდაძე, ქუთათელაძე, ი. ცხვარაშვილი.

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ელენე არაბული.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 13 | 13 | 0 | 0 | 456-292 | 26 |
| ბათუმი | 14 | 12 | 0 | 2 | 570-427 | 24 |
| სამტრედია | 14 | 8 | 0 | 6 | 517-471 | 16 |
| იმედი | 13 | 8 | 0 | 5 | 395-419 | 16 |
| პეგასი | 13 | 4 | 2 | 7 | 400-449 | 10 |
| ჭაბუკები | 14 | 2 | 2 | 10 | 392-480 | 6 |
| თელავი | 13 | 2 | 1 | 10 | 339-393 | 5 |
| ქუთაისი | 14 | 2 | 1 | 11 | 395-533 | 5 |

**19 მარტი.** "თელავი" - "პეგასი", "იმედი" - სტუ. ამ მატჩებით ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დასრულდება. ჩემპიონსა და პრიზიორებს მესამე წრის ორთაბრძოლები გამოავლენს.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# თითო მოგება და ყაიმი

კოლკატაში (ინდოეთი) დაიწყო მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის რეიტინგფავორიტია ინგლისელი ნაიჯელ შორტი (2674). შეჯიბრებაში ორი ქართველი დიდოსტატიც ჩაება: **მიხეილ მჭედლიშვილი** (2639) პირველ წრეში შავი ფიგურებით მასპინძელ სვაინგსუ სატიაპრაგიანს (2389) დაუზავდა, **ლევან ფანცულაიამ** (2606) კი, ასევე, შავებით, ინდოელ ქალბატონს - რუთ რადმინის (2356) აჯობა. სტარტზე ვერ იყოჩაღა შორტმა - თეთრი ფიგურებით კიდამბი სუნდრარაჯანს (ინდოეთი) შეუთანხმდა ყაიმზე, სერგეი ფედორჩუკმა (2647) ინდოელ სამერ კათმალესთან გაიყო ქულა. ასპარეზობის 78 მონაწილიდან პირველ ტურში 25-მა მოჭადრაკემ იზეიმა გამარჯვება.

მეორე ტურში ფანცულაია ჟუსტინ სარკარს (აშშ), ხოლო მჭედლიშვილი სამერ კატმალეს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

# უდანაკარგოდ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ნორჩ მოჭადრაკეთა დედაქალაქის პირველობა. ბიჭებში შვიდი შესაძლებლიდან ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი საბა ახალაიამ (მწვრთნელი - ბუხუტი გორგაძე) დაიკავა. გამარჯვებულს 1,5 ქულით ჩამორჩა გიორგი სანიკიძე. 5 ქულით მესამე იყო ლუკა მამულაშვილი. გოგონებში შვიდი შესაძლებლიდან 5-5 ქულა მოაგროვეს მარიამ გვათუამ (მწვრთნელი - დავით გურგენიძე) და მარიამ გაბელაიამ - დამატებითი მაჩვენებლებით ჩემპიონობა გვათუას ხვდა. 4-4 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ანა მაჭარაშვილმა და თამარ როგავამ გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

გამოხმაურება

# დროა...

„ლელოს“ 14 მარტის ნომერში ჩემი ყურადღება მიიპყრო რუბრიკამ „აქტუალური თემა“ და მყისიერად გადავწყვიტე გამოხმაურება. გეთანხმებით, რომ მოშლილია, არ გაგვაჩნია მწყობრი სისტემა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. სხვა რაღა ვთქვა, როცა ყველა მოსწავლისთვის ესოდენ სასურველი და საყვარელი ფიზკულტურის გაკვეთილებიც კი სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში საერთოდ აღარ ტარდება, სპორტის გაკვეთილები უფრო პიარი გამოდგა.

სწორი შენიშვნაა, მდგომარეობის გამოსწორება უნდა დავიწყოთ თბილისიდან და ამით მაგალითი მივცეთ მთელ საქართველოს. არ შეიძლება სულიერ და ფიზიკურ აღზრდას თანაბარი ყურადღება არ დაეთმოს სასწავლებლებში, თუნდაც საბავშვო ბაღებში.

**დაზმირ ნარიმანიძე**
თბილისი, პედაგოგი

შაში

# ჩემპიონობით დაამთავრა

საქართველოს მოშაშეთა გაერთიანებული ფედერაციის ორგანიზებით თბილისის ჭადრაკის სასახლემ დედაქალაქის 2014 წლის საგაზაფხულო პირად პირველობას უმასპინძლა 15 მოშაშის მონაწილეობით.

ასიანში პირველობა ხვდა მოთამაშე-მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **თენგიზ რეხვიაშვილს,** რომლისთვისაც ეს იყო ბოლო ასპარეზობა სპორტსმენის რანგში. მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ჩემპიონი **ჯუმბერ ბერიშვილი,** მესამე იყო **ლევან კიკნაძე.**

26 მაისს, დიდი ხნის პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნული პირველობა ჩატარდება ჭადრაკის სასახლეში.

**„ლელოს“ კორ.**

ძიუდო. თბილისის ტურნირი

# განაცხადი სრულად შეივსო

მოახლოვდა თბილისის „დიდი პრიზის“ ტურნირი, რომელსაც 21-23 მარტს სპორტის სასახლე უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრები საშინაო შეჯიბრებისთვის ბაზალეთში ემზადება, სადაც გუნდი გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** მოინახულა.

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** მასპინძლის კვოტა გამოიყენა და სრულად დაკომპლექტებული გუნდით გამოვა ანუ 28 სპორტსმენით, ყველა წონაში 4-4 მონაწილე გვეყოლება. მწვრთნელმა ის ბოლო მონაწილეც შეარჩია. მოგეხსენებათ, 100 კილოგრამში ერთი ადგილი ვაკანტური იყო, რომელიც უზნაძემ საქართველოს პრიზიორ **რევაზ ჩიკოიძით** შეავსო.

გუნდში მცირე ტრავმებია. კვლავაც აწუხებთ დიუსელდორფში ნატკენი ხელი **უშანგი მარგიანს** (81) და მუხლი - **ლევან მატიაშვილს** (+100). ბოლო დღეებში პარიზში ნატკენი ფეხი გაიმიზეზა ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანმა **ვალერი ლიპარტელიანმაც** (90), მაგრამ სამივე ემზადება ტურნირზე საჭიდაოდ. საბედნიეროდ, სხვა მხრივ გუნდში პრობლემები არაა, ყველა ლიდერი ჯანმრთელადაა და მზადაა სასპარეზოდ.

შეგახსენებთ, რომ საქართველო წლეულს პირველად უმასპინძლებს ეგზომ მაღალი რანგის შეჯიბრებას - „დიდ პრიზს“, რომლის საპრიზო ფონდიც 100 000 დოლარია. ტურნირზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერსაც** ელოდებიან, თუმცა ამ უწყებიდან ბლომად ჩინმაღალი დელეგაცია ჩამოვა - სპორტული დირექტორები - **ვლადიმირ ბარტა** და **არმენ ბალდასაროვი**, მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე **იან სნაიდერსი** და სხვები.

მონაწილეთა რაოდენობა უცვლელია - 30 ქვეყანის ნაკრები ჩამოდის, რომლებსაც საქართველოც ემატება. ოღონდ იმ 30 ქვეყნიდან რამდენიმე მხოლოდ მსაჯებით იქნება წარმოდგენილი, ანუ მათ სპორტსმენები არ ეყოლებათ. სამწუხაროდ, ასეთთა შორის ისეთი ლიდერი ნაკრებებიც მოხვდნენ, როგორიც საფრანგეთი და სამხრეთ კორეაა. ამავე სიაშია ჩეხეთიც, რომელსაც საკმაოდ სოლიდური ნაკრები და ერთი მეგა-ვარსკვლავიც მოეძევება. უშუალოდ „მოჭიდავე“ ქვეყანა დაახლოებით 25-ია, თუმცა კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ გუნდებს, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს: საქართველო, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, აშშ, სერბეთი, უზბეკეთი, იტალია, სლოვენია, ირანი, რუმინეთი, ეგვიპტე, ლიტვა, თურქმენეთი, ხორვატია, რუსეთი, მონღოლეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ტოგო, ისრაელი, პორტუგალია, ჩეხეთი, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, უკრაინა, არაბთა გაერთიანებული საამიროები და საბერძნეთი.

გამორიცხული არ არის, დარჩენილ დღეებში კიდევ შეიცვალოს რამე. განაცხადების წარდგენის ვადა ამოიწურა, მაგრამ, ტრადიციულად, ცვლილებები მაინც ხდება. ასე მაგალითად, უზბეკეთმა რამდენიმე დღის წინ საერთოდ გააუქმა განაცხადი, მაგრამ მერე ისევ გამოჩნდა სიაში, ოღონდ უკვე ორი მონაწილით. ასევე პირობითია მონაწილეთა სახელობითი სიებიც, რომელიც ასევე ხშირად იცვლება. მაგალითად, რუსებს თავიდან განაცხადში ჰყავდათ ოლიმპიური ჩემპიონები - **არსენ გალსტიანი** (60) და **ტაგირ ხაიბულაევი** (100), მაგრამ ბოლო დღეებში ისინი სიაში არ ჩანან. სამაგიეროდ, კვლავაც რჩება ლიპარტელიანისთვის განსაკუთრებით საყურადღებო **კირილ დენისოვი** (90). ვარსკვლავთაგან ჩამოდის უკრაინელთა ქართველი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (66), ირანელი **ჯავად მაჰჯოუბი** (100), ამერიკელი **ტრევის სტევენსი** (81), ბერძენთა განაცხადშია მათი უმთავრესი ვარსკვლავი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი** (90), **რომან მასტოპულოსი** (73) და **ალექსიოს ნტანაციდისი** (81), იტალიელთა მსოფლიოს პრიზიორი **ელიო ვერდე** (60), **ანტონიო კიანო** (81) და სხვები. ძლიერი გუნდით ჩამოდის აზერბაიჯანიც, თუმცა შემადგენლობაში არ ჰყავთ **ბეთქილ შუკვანი** (60). რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გაცილებით ძლიერი შემადგენლობაა წარმოდგენილი ქალთა ტურნირში (ყოველ შემთხვევაში, განაცხადის დონეზე) - ებრაელთა მსოფლიოს ჩემპიონი **იარდინ გერბი** (63), რუსები უძლიერესი ჰყავთ ჩანერილი, ხოლო მწვრთნელად, სავარაუდოდ, ახლახან გათხოვილი **თეა დონღუზაშვილი** ჩამოჰყვებათ.

ტურნირი სტარტს 21 მარტს აიღებს, როცა ვაჟებიდან 60-66, ქალებიდან კი 48, 52 და 57 წონების წარმომადგენლები იჭიდავებენ. მეორე დღეს ვაჟებიდან 73-81-ის, ქალებიდან კი 63-70-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. დანარჩენი წონების ათლეტებს კვირას ვიხილავთ ტატამზე. სამივე დღეს შეჯიბრებები 10 საათზე დაიწყება, ფინალური ბლოკი კი - 17 საათზე. დასწრება თავისუფალია ანუ უფასოა, პირდაპირი რეპორტაჟის ნახვა კი შესაძლებელია საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ძიუდოს ევროპული ფედერაციის საიტზე - eju.net

**ირაკლი თავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*



ნაკრები ბაზალეთზე ემზადება

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

**პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა“ და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს**

*დასაწყისი „ლელო“ № 16-19, 21-23, 38-39, 41-43, 46-49, 51*

### „ლელოს“ და ქართული სპორტის პრობლემები 1990-იან წლებში

ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის მოპოვებას მასმედიის დამოუკიდებლობაც მოჰყვა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჟურნალ-გაზეთები გამოვიდა ცეკას დაქვემდებარებული გამომცემლობა „სამშობლოს“ მართვიდან, მაგრამ ისე, რომ რედაქციებს მემკვიდრეობით არანაირი ფულადი სახსრები არ მიუღიათ. ბუნებრივია, გაუჭირდათ გამოცემებს. ეგ იყო, გამომცემლობაში ფართი და ინვენტარი შეგვინარჩუნდა, განუკითხაობის [illegible] მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. „ლელოს“ ფურცლებზე სამარადჟამოდ შემორჩა იმ რთული პერიოდის ქართული სპორტის მძიმე სუნთქვა და საგანგაშოდ შენელებული მაჯისცემა. კახის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, რამდენადაც ვიცი, შეწირულობების გამოკლებით, მისი ბიზნესთვის სახელმწიფოს სოლიდური თანხა დარჩა უკან დასაბრუნებელი.

იყო პერიოდი, კახი ასათიანი ისევე ზრუნავდა „ლელოს“ გადარჩენაზე, როგორც ქართულ სპორტზე - ურთმანეთოდ ვერ წარმოედგინა. შემწეობა არაერთხელ მიგვიღია და მე ვიცოდი, რომ ეს იყო მისი პირადი დახმარება, რომელზეც თავად სიტყვაც კი არასდროს დაუძრავს.

არ შემიძლია, არ გავიხსენო: გამოჩნდნენ მაშინ ადამიანები, უპირველესად, თვით სამინისტროს ფინანსურ სამსახურში, რომლებმაც მინისტრი დაარწმუნეს, რომ თავად გამოეცათ სპორტული გაზეთი და ამ საქმიდან ფინანსურ სარგებელსაც ნახავდნენ. საქმე დაიწყეს, მაგრამ ეს უფრო მცდელობა გამოდგა - უდიდესი დავალიანების გამო კრახი მალე იწვნიეს და ის გაზეთი უსახელოდ ჩაბარდა ისტორიას. ამას რომ ვამბობ, ბოდიშს ვიხდი ჩემი კოლეგების წინაშე. მათ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთეს,



1985 წ. თბილისი. მარცხნიდან: ფიფას პრეზიდენტი ჟოაო ავելანჟი, კახი ასათიანი და დავით ყიფიანი \ფოტო „ლელოს“ არქივიდან\

თუმცა 2007 წლის ზაფხულში ისიც წაგვართვეს და ქუჩაში აღმოვჩნდით.

უნდა ვთქვა: „ლელომ“ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, იმდენი გაჭირვება-განსაცდელი გამოიარა, ჩასაძირად განწირულისთვის, ვინმეს სამაშველო რგოლისკენ ხელიც კი არ წასცდენია. პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ისევ სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტის იმედად ვრჩებოდით. გულთან ახლოს მიიტანა გაზეთის პრობლემა ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ. ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **ვალერი ჩოლარიამ**, რომელმაც, სადაც კი იმუშავა, ყველგან გამოიჩინა თავი ორგანიზატორული უნარით, შემოგვთავაზა „ქართული ფეხბურთის“ ჩანართი „ლელოში“, რითაც ორივე მხარისთვის გამონახა ფინანსური მხარდაჭერის ოფიციალური გზა თანხვედრი ინტერესების გათვალისწინებით. მოკლედ, სპორტის სამინისტროს და სფფ-ს გარდა, ყველამ დაივიწყა ამ გაზეთის დამსახურება. ვერ ვიტყვი, რომ დრო იყო ასეთი და იმიტომ. ვის ესწავლება, მძიმე დრო-ჟამს სიკეთე და მხარდაჭერა რომ უფრო ფასობს. არავის არაფერს ვავალდებულებდით, მაგრამ მაშინ იმათაც კი, ვისაც თავისი სოციალური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობით თანადგომის შესაძლებლობა ჰქონდათ, ვისი სახელისა და მიღწევების განდიდების სამსახურში იდგა გაზეთი, ვისი სიყვარულიც ამ გაზეთს ხალხის გულებამდე მიჰქონდა და ეს სიყვარული თაობებსაც შემოუნახა, შორს დაიჭირეს... საერთოდაც რომ შეწყვეტილიყო „ლელოს“ გამოცემა, ბევრი, ალბათ, ამას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა, რადგან საბჭოთა პერიოდის ჟურნალ-გაზეთები ერთიმეორის მიყოლებით წყვეტდნენ არსებობას. აი, რა მადარდებდა ყველაზე მეტად.

იმ ძალმომრეობა-ძარცვის პერიოდში რედაქციის ავტომანქანა გაზ-31, რომელიც მთავრობის დადგენილებით უკვე პრივატიზებული გვქონდა, მძღოლმა მიიტაცა. მისთვისაც ყაჩაღებს მალე წაურთმევიათ. ერთ ღამეს შინ ორი გამომძიებელი მომადგა. მანქანის ამბავი გამომკითხა. თურმე „ლელოს“ რედაქტორის სახელით დადიოდა ვილაც იმ მანქანით. კი, მანქანა ჩამოურთმევიათ, მაგრამ... მორიდებით მითხრეს, თხოვნაა, დათმო, საფასურს მიიღებთო. ესეც წყალობად მივიჩნიე, მივხვდი, კეთილი ნება „ლელოს“ თაყვანისმცემელი რომელიღაც ჩინოსნისგან, იქნებ სულაც ორგანოში მომუშავე რომელიმე ყოფილი სპორტსმენიდან მოდიოდა. რატომ ასეთი ინტერესი ამ მანქანისადმი? საქმე ის არის, რომ გაზ-31 მარკის ატომანქანა მაშინ ძალზე იშვიათობა იყო და რედაქციებიდან მხოლოდ „ლელოს“ გამოუყვეს თავის დროზე. თუ რატომ, ამასაც ვიტყვი: მთავრობის ავტოფარეხიდან გამოთავისუფლებულ **ვასილ მჟავანაძის** ოჯახზე მიწერილ ამ მარკის ავტომობილის დაუფლებაზე თურმე სხვადასხვა სამინისტრო ეცილებოდა ერთმანეთს. **ნუგზარ ენდელაძემ**, ის მაშინ ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო, დამიბარა და მითხრა, „ლელოს“ გაზ-31 უნდა გადმოგცეთ, არავინ მინდა მოვიმდურო, რედაქციაზე კი საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნებაო. ასეც მოხდა. მოკლედ, ჩემდა გასაოცრად, ფული გადაიხადეს და ერთხანს, უმძიმესი გაჭირვებისას, გაზეთს სწორედ იმ თანხით ვბეჭდავდით. აი, ამიტომ უფრო გავიხსენე ეს ამბავი ახლა.

### კახი ასათიანი

სახელოვან ფეხბურთელ **კახი ასათიანს** პირველს არგუნა ბედმა, ყოფილიყო დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის თავკაცი. იგი თხემით ტერფამდე ქართული სპორტის განსახიერება იყო. ახლო ურთიერთობა გვქონდა, ვიცნობდი მის საქმიან თვისებებს (მით უფრო, რომ მისი მინისტრობისას კარგა ხანს კოლეგიის წევრი ვიყავი) და უნიკალურ ადამიანურ ღირსებებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, საკუთარ ბიზნესს უფრო ქართული სპორტის ტრადიციების შენარჩუნებას უკავშირებდა და არა პირად კეთილდღეობას. მაშინ ძალიან უჭირდა ქვეყანას ეკონომიკურად, წლების განმავლობაში უფრო ნაკლები კი არა, წარმოუდგენლად მცირე იყო ბიუჯეტი დღევანდელთან შედარებით. შედარებისთვის ვიტყვი, რომ დღეს სპორტის პრიორიტეტულ ერთ სახეობაზე გამოიყოფა რამდენჯერმე მეტი, ვიდრე მაშინ საქართველოს წლიური ბიუჯეტი იყო.

თუ არა ისევ და ისევ საკუთარი ბიზნესი, ქვეყნის სპორტის თავკაცს, გამოსავალი სად უნდა გამოეძებნა იმ მაგრამ ტრადიციული „ლელოს“ და უკვე სახელმოხვეჭილი „სარბიელის“ გვერდით ახალი სპორტული გაზეთის, როგორც კონკურენტის გამოჩენა, თანაც იმ ძნელბედობის ჟამს, არანაირად არ აღმოჩნდა გამართლებული.

### ატლანტა

დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ პირველად 1996 წელს ატლანტაში იასპარეზა (შეგახსენებთ, რომ ასეთი სტატუსით საერთოდ პირველი 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადა იყო ლილეჰამერში). ამ ოლიმპიურმა ციკლმა საქართველოსთვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე ჩაიარა. სპორტის სახელმწიფო ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც სათავეში **კახი ასათიანი** ედგა, და ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ქვეყანაში დასადგურებული ვითარების გათვალისწინებით იმაზე მეტსაც კი აკეთებდნენ, რისი შესაძლებლობაც მაშინ იყო. ასე წვალებით გაემგზავრა საქართველოს სპორტული დელეგაცია ატლანტაში ზაფხულის XXVI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შემადგენლობა სოლიდური იყო - 36 ათლეტი ჩაება ოლიმპიური პროგრამით სპორტის 14 სახეობაში საასპარეზოდ. სამწუხაროდ, მხოლოდ ორმა შეძლო დაუფლებოდა ოლიმპიურ ჯილდოს. დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში პირველი მედალი ჩვენს ქვეყანას მოუტანა ძიუდოისტმა **სოსო ლიპარტელიანმა**, რომელიც ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ასევე, მესამე ადგილზე გავიდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ელდარ კურტანიძე**.

ამ ოლიმპიადაზე საქართველო რამდენიმე ჟურნალისტით იყო წარმოდგენილი. „ლელოდან“ ოლიმპიადას მე და ფოტორეპორტიორი ალექსანდრე კოტორაშვილი ვაშუქებდით.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

● ტყვიის სროლა. საქართველოს ჩემპიონატი

# პისტოლეტის ზიგზაგები

გუშინ **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში - უფროსებსა და ახალგაზრდებში ჩატარდა. მასში თბილისისა და ქუთაისის 45 მსროლელი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში ისევ გამოვიდა ქუთაისელი **ნინო უჩაძე** - ძველი ფორმაციის ნაკრების წევრი და გუნდურში ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ოღონდ მას თურმე ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, დაუბრუნდეს თუ არა სპორტს.

ქალთა შორის ტირის მასპინძელმა და შეჯიბრების მთავარმა ფავორიტმა, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** გაიმარჯვა. მან ამჯერად ბევრად უკეთ იასპარეზა, ვიდრე ცოტა ხნის წინათ მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე და დაამტკიცა, რომ ის დროებითი ჩავარდნა იყო. ჩვენმა ლიდერმა შესარჩევში 384 ქულა დააგროვა,



ნინო სალუქვაძე

რასაც ფინალში 105.4 დაუმატა და ჯამური 489.4-ით გაიმარჯვა. ვერცხლი უჩაძემ ირგუნა - 379 ქულა საკვალიფიკაციოში, რაც საკმაოდ კარგი შედეგია, ფინალში კი ამას 94.6 დაუმატა. მისი საბოლოო მაჩვენებელი 473.6-ია. მესამეზე სალუქვაძის ტირის წევრი **თეონა რევიშვილი** გავიდა. მან პირველი ეტაპი 369 ქულით დაასრულა, რასაც ფინალში 88.8 დაუმატა და ჯამში 457.8 დაუგროვდა.

ვაჟებში **ლევან ქადაგიძემ** (სალუქვაძის ტირი) გაიმარჯვა 660.9 ქულით (567+93.9). მეორე ქუთაისელი **გიორგი სვანიძეა** 655.5-ით (562+93.5), მესამე - ისევ სალუქვაძის კლუბის წევრი ომარ სანოძე - 651.4-ით (555+96.4). აღსანიშნავია, რომ მას მთელი წელიწადი არ უვარჯიშია და მხოლოდ ორი კვირის წინ განაახლა წვრთნა.

ახალგაზრდებში სენსაციები არ მომხდარა - ისევ ძველმა ლიდერებმა გაიმარჯვეს, ოღონდ ეგაა, ევროპის ჩემპიონატთან შედარებით, შედეგები ცოტათი გააუარესეს. სავარაუდოდ, მათ პიკი მოსკოვში, ევროპის პირველობაზე გადაიარეს. თან ჯერ ძალზე ახალგაზრდები არიან და, როგორც ჩანს, დატვირთვებს ფიზიკურად ვერ გაუძლეს. გოგოებში კვლავ 14 წლის ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** გაიმარჯვა, ბიჭებში - 16 წლის **ცოტნე მაჭავარიანმა.** კილაძემ ამჯერად 374 ქულა დააგროვა, მოსკოვში კი, როგორც გახსოვთ, 381 ჰქონდა და თვით ნინო სალუქვაძეს გაუსწრო. სალუქვაძის შვილმა, ცოტნემ ამჯერად 567 ქულა დააგროვა, მოსკოვში კი პირად რეკორდს უწია - 571.

გოგოებში **მარიამ ლვინიაშვილმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა 365 ქულით, ბრინჯაო - **ქეთი შედანიამ** (ორივე - სალუქვაძის ტირი) 361-ით. ბიჭებში მეორე **ივანე ჭანკოტაძე** იყო 559-ით (სალუქვაძის ტირი). ამდენივე ქულა დააგროვა სკა-ს წევრმა **ვლადიმერ მაიოროვმა,** მაგრამ ბოლო სერიაში ნაჩვენები უკეთესი შედეგით ვერცხლი ჭანკოტაძეს ერგო.

ტყვიის მსროლელებს უახლოესი შეჯიბრება თვის ბოლოს ელოდებათ - მსოფლიოს თასი, რომელსაც ამერიკული ფორტ ბენინგი მასპინძლობს. იქ მხოლოდ ნინო სალუქვაძის და ქადაგიძის გაგზავნა იგეგმება, ფინანსური პრობლემების გამო მწვრთნელიც ვერ მიჰყვებათ. ცოტა მოგვიანებით ანალოგიურ შეჯიბრებებს უკვე ევროპა უმასპინძლებს ზედიზედ ორჯერ, სადაც უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც წავლენ.

**ირაკლი თავაძე**

● კალათბურთი. ქართველი იტალიაში



# როსეტოს 13/12, მეტრეველის 11

იტალიის რიგით მესამე ლიგაში მოასპარეზე **ნიკა მეტრეველმა** ფეხის ტრავმის მოშუშების შემდეგ „როსეტოს" სასტარტო ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი. ნიკამ ბოლო ტურში ნაყოფიერად იშრომა, თუმცა მის გუნდს გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა, „კიეტისთან" 73:80 დამარცხდა.

მეტრეველმა მოედანზე 19 წუთი გაატარა, 11 ქულა და 3 მოხსნა გაიფორმა. ხაზგასასმელია პერიმეტრიდან ტყორცნის სიზუსტე - 2-დან 2 სამქულიანი. 22 ქულით მატჩის ბომბარდირი მისი თანაგუნდელი **ალექს ლეგიონი** გახდა.

„როსეტოს" 25 ტურის შემდეგ 13 მოგება, 12 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● კალათბურთი. შეხვედრა

# პირველი ნაბიჯი კალათბურთის მასობრიობისკენ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სსიპ "საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის" ინიციატივით სკოლებში კალათბურთის უფასო სექციების გახსნა დაიწყო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პროექტ - "უფასო საკალათბურთო სექციების" პრეზენტაცია შედგა.

პრეზენტაცია გამართეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა,** სსიპ "საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის" დირექტორმა **შალვა გოგოლაძემ** და ოლიმპიური ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული საკალათბურთო კლუბ "ოლიმპის" დირექტორმა **მიხეილ დაფქვიაშვილმა.**

თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოსწავლეებისთვის კალათბურთის უფასო სექციების გახსნა უკვე დაწყებულია. კლუბსა და სკოლებს შორის თანამშრომლობის შესახებ მომზადდა მემორანდუმი, რომლის თანახმად, შესაბამისი სპორტული დარბაზის მქონე საჯარო სკოლებში კლუბი საკუთარი სახსრებით მიავლენს მაღალკვალიფიციურ მწვრთნელს და სკოლის მოსწავლეებს უფასო საკალათბურთო ვარჯიშებით ბურთებით და სხვა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფს.

პროექტის მიზანია სკოლის მოსწავლეებში კალათბურთის პოპულარიზაცია, განვითარება და ბავშვთა და მოზარდთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათი პროფესიული აღზრდა.

უფასო საკალათბურთო სექციებით სარგებლობა პროექტში ჩართული სკოლის დაწყებითი კლასის ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია.

კალათბურთის უფასო სექციები უკვე გახსნილია შემდეგ სკოლებში: თბილისი - 162-ე (ვარჯიშობს 34 მოსწავლე, როგორც ვაჟები, ასევე გოგონები), 181-ე (20 მოსწავლე), 69-ე (20 მოსწავლე) და გორი - მე-3 (46 მოსწავლე). ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს თბილისის პირველ გიმნაზიასთან, სამომავლოდ კი პროექტში კიდევ 10-15 სკოლის ჩართვაა დაგეგმილი როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში.

საკალათბურთო კლუბსა და სკოლების ხელმძღვანელობებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე იგეგმება პროექტში ჩართულ სკოლებს შორის შეჯიბრებების გამართვა და „ოლიმპის" ლიგის შექმნა, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის პროექტს.

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**



● კალათბურთი. ქართველები ფინეთში

# რეიმონდი და ქართველები

სეზონის დასაწყისში **გივი ბაქრაძე** ფინური უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ „კორიკობრატში" წამყვანი გამთამაშებელი იყო, თუმცა იანვრის შემდეგ გუნდში გადაადგილებები მოხდა, რასაც გივის სათამაშო დრო შეეწირა. მან 16 მარტს „პირინტოსთან" გასვლით შეხვედრაში 9 წუთი ითამაშა. ვერ ვიტყვით, უშედეგოდო - 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულასთან ერთად 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ლაპუას „კორიკობრატის" რიგებში კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი ირიცხება, **არჩილ პულუზაშვილი**, რომელმაც „პირინტოსთან" სეზონში ყველაზე მეტი, 10 წუთი ითამაშა. მისი მონაგარიც 4 ქულა იყო, რასაც 3 მოხსნა მიამატა.



რაც შეეხება მატჩის შედეგს, გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ - 97:68. პირინტოელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის **ბენჟამინ რეიმონდს**, რომელმაც ყველაზე მეტი, 21 ქულა ჩააგდო და ბურთი 8-ჯერ მოხსნა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ რეიმონდი გასულ სეზონში „შსს აკადემიასთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი გახდა.

„კორიკობრატს" ფინეთის ჩემპიონატში 35 მატჩი აქვს ჩატარებული და 12 მოგებით მეათე ადგილზეა (სულ 12 გუნდი მონაწილეობს). პირველ პოზიციაზე სწორედ „პირინტოა" - 32 გამარჯვება, 6 წაგება. ლაპუელები მომდევნო შეხვედრას 19 მარტს „კაუჰაიოკის" წინააღმდეგ ჩაატარებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● კალათბურთი. ქართველი სლოვენიაში

# მეცხრე მოგება

**დავით უგრეხელიძის** „კრნომელმა" სლოვენიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მეოცე მატჩი ჩაატარა და მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. მისი მეტოქე ამჯერად „პოსტოინა" იყო, რომელსაც კრნომელელებმა 86:52 აჯობეს. სხვაობა დიდია, თუმცა, პოსტოინელები ლიგის აუტსაიდერები სულაც არ არიან, 7 გამარჯვებით სატურნირო ცხრილში „კრნომელის" გვერდით, ბინადრობენ. უგრეხელიძის გუნდი მეცხრე პოზიციაზეა, „პოსტოინა" - მეათეზე.

გამარჯვებაში დავით უგრეხელიძის წვლილი 2 ქულა და 4 მოხსნა იყო. მან 14 წუთი ითამაშა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დადუნაშვილის ორი ლელო და სამი პლეი ოფში

**ევროპის სანაკრებო ბატალიების პარალელურად, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველდივიზიონელები უქმობდნენ. სამაგიეროდ, 23-ე ტურის შეხვედრები გაიმართა ელიტურ, მეორე დივიზიონში, სადაც დამაჯერებლად ლიდერობს ვიქტორ კოლელიშვილის „ლიონი“.**

ლიონელებმა რეგულარული გათამაშების დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე 88 ქულა დააგროვეს და 12 ქულით უსწრებენ **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელს“. 23-ე ტურში „ლიონმა“ სტუმრად აუტსაიდერი, **თორნიკე ლომიძის** „ოში“ დაამარცხა - 31:13. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. კოლელიშვილმა ეროვნულ ნაკრებში იასპარეზა.



გიორგი სორდია (მარცხნივ)

„ლა როშელმა“ ასევე სტუმრად დაამარცხა **გურამ კავთიძის, მერაბ შარიქაძისა** და **თამაზ მჭედლიძის** „ბურგ ან ბრესი“ - 23:9. კავთიძე მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა, ყაულაშვილი განაცხადში არ იყო, შარიქაძემ და მჭედლიძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშეს.

„ლა როშელს“ ექვსი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **ტარიელ რატიანიძის** „აჟენი“, რომელმაც შინ დაამარცხა **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი“ - 27:21. მატჩის პირველი ნახევარი ფრედ 13:13 დასრულდა. შესვენების შემდეგ აჟენელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მეტოქის წინააღმდეგობის დასაძლევად. თუმცა, ეს მაინც მოახერხეს.

რატიანიძე გამოჯანმრთელდა და თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო. ნაცარაშვილი ტრავმირებულია, დათუნაშვილი „ბორჯლალოსნების“ რიგებში გაისარჯა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“, რომელიც 62 ქულით მე-6 ადგილზეა და საპლეიოფო ხუთეულს შვიდი ქულით ჩამორჩება. ტარბელებმა სტუმრად შეძლეს „კოლომიეს“ დამარცხება - 19:9. ამ გამარჯვებით „ტარბმა“ პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი შეინარჩუნა. შეძლებს თუ არა შვიდქულიანი ჩამორჩენის ალმოფხვრას ჩვენებურთა გუნდი, დარჩენილი ტურების მატჩებში გამოჩნდება.

მირცხულავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს, ჩხაიძე და ნემსაძე ეროვნულ გუნდში გაისარჯა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე დივიზიონში ადგილის შენარჩუნება შეძლო **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ“, რომელმაც შინ დაამარცხა **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბი“ - 28:8. ალბელები, მართალია, 40 ქულით მე-13 ადგილზე არიან, მაგრამ ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „კარკასონს“ მხოლოდ რვა ქულით უსწრებენ და დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ჯერ კიდევ ემუქრებათ.

თეთრაშვილი თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო, შეყლაშვილი მოედანზე 15 წუთის შემდეგ გამოჩნდა, სხვა ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

### II დივიზიონი

#### XXIII ტური

ბეზიე-ალბი 28:8, აჟენი-ორიაკი 27:21, ნარბონი-კარკასონი 56:10, ბურგუენი-მონ დე მარსანი 37:31, ბურგ ან ბრესი-ლა როშელი 9:23, კოლომიე-ტარბი 9:19, დაქსი-პო 11:10, ოში-ლიონი 13:31.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ლიონი - 88 ქულა, 2. ლა როშელი - 76, 3. ნარბონი - 71, 4. აჟენი - 70, 5. პო - 69, 6. ტარბი - 62, 7. ბურგუენი - 55, 8. კოლომიე - 53, 9. ორიაკი - 53, 10. დაქსი - 48, 11. ბეზიე - 48, 12. მონ დე მარსანი - 47, 13. ალბი - 40, 14. ბურგ ან ბრესი - 32, 15. კარკასონი - 32, 16. ოში - 27.

#### XXIV ტური

ლიონი-ორიაკი, ლა როშელი-ბეზიე, მონ დე მარსანი-ბურგ ან ბრესი, პო-ბურგუენი, ოში-კოლომიე, ალბი-დაქსი, კარკასონი-აჟენი, ტარბი-ნარბონი.

ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან სამმა პლეი ოფში თამაშის უფლება უკვე მოიპოვა, სამიც ჯერ კიდევ იბრძვის.

A ჯგუფში პლეი ოფის ორი საგზური ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „მასიმ“ და „ლილმა“ მოიპოვეს. **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, ელიზბარ ყუფარაძის, დავით დადუნაშვილისა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ შინ დაამარცხა ერთ-ერთი კონკურენტი „ვანი“ - 39:17. დადუნაშვილმა, რომელიც 53-ე წუთზე შეცვალეს, ორი ლელო გაიტანა, აშვეთია კი, რომელიც ამ შეხვედრაში პარიზელების კაპიტანი იყო, ყუფარაძემ 41-ე წუთზე შეცვალა, სუთიაშვილი ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული.



მარჯვნივ დავით დადუნაშვილი

**გიორგი სორდიას** „ლილმა“, რომელიც მეორე ადგილზეა და „მასის“ რვა ქულით ჩამორჩება, შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა „კონიაკი“ - 55:7. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მესამეხაზელმა სრულად ითამაშა.

ამ ჯგუფში პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერი“, რომელმაც შინ იოლად მოუგო „ბობინის“ 39:9. გუჯარაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. სენნაზერელებს 35 ქულა აქვთ და მე-5 ადგილზე არიან. ისინი სამი ქულით ჩამორჩებიან მეოთხეადგილოსან „ვანს“, რომლის ალმოფხვრაც სავსებით რეალურია.

**რეზო გიგაურისა** და **თემურ გელანტიას** „მონლუსონი“ სტუმრად დამარცხდა **შოთა საყვარელიძისა** და **გიორგი თორაძის** „სენ ჟან დანჟელთან“ - 9:19. მონლუსონელები 23 ქულით მე-8 ადგილზე არიან და დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან, „სენ ჟან დანჟელი“ მათ ერთი ქულით ჩამორჩება.

**ირაკლი ნინიძის** „დიჟონი“ კი ბოლო ადგილზეა. ამ გუნდმა მე-16 ტურში შინ წააგო „ნევერთან“ 19:26 და, ფაქტობრივად, გასავარდნად განწირულია.

### A ჯგუფი

ლილი-კონიაკი 55:7, მასი-ვანი 39:17, დიჟონი-ნევერი 19:26, სენ ნაზერი-ბობინი 39:9, სენ ჟან დანჟელი-მონლუსონი 19:9.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. მასი - 65 ქულა, 2. ლილი - 57, 3. ნევერი - 57, 4. ვანი - 38, 5. სენ ნაზერი - 35, 6. ბობინი - 30, 7. კონიაკი - 29, 8. მონლუსონი - 23, 9. სენ ჟან დანჟელი - 22, 10. დიჟონი - 17.

#### XVII ტური

კონიაკი-მასი, ლილი-სენ ნაზერი, მონლუსონი-ბობინი, ვანი-დიჟონი, ნევერი-სენ ჟან დანჟელი.

B ჯგუფში ლიდერი **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონია“, რომელმაც პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. მაკონელებმა მე-16 ტურში სტუმრად წააგეს „რომანთან“ - 23:27. თუმცა, მეორეადგილოსან „ობენას“ ოთხი ქულით მაინც უსწრებენ. ობენელებმა სტუმრად წააგეს **საბა ქართველიშვილის** „შამბერისთან“ - 25:31. ამ უკანასკნელს 44 ქულით მე-5 ადგილი უკავია და პლეი ოფში გასვლის შანსი აქვს.

**მერაბ კვირიკაშვილისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა“ შინ მოუგო „ლა ვულეს“ - 24:15. ჩვენებურთა ეს გუნდი ახლა 21 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონმა“ კი სტუმრად მოუგო აუტსაიდერს, **გიორგი კუთარაშვილის** „ანესის“ - 30:9.

### B ჯგუფი

ექსი-ლა სეინი 30:19, რომანი-მაკონი 27:23, შამბერი-ობენა 31:25, ვიენი-ლა ვულე 24:15, ანესი-შალონი 9:30

#### სატურნირო მდგომარეობა

1. მაკონი - 53 ქულა, 2. ობენა - 49, 3. ექსი - 48, 4. ლა სეინი - 46, 5. შამბერი - 44, 6. რომანი - 43, 7. ლა ვულე - 34, 8. შალონი - 28, 9. ვიენი - 21, 10. ანესი - 9.



ბურთით ირაკლი მირცხულავა

#### XVII ტური

მაკონი-ექსი, რომანი-ვიენი, ლა სეინი-შამბერი, ობენა-ანესი, შალონი-ლა ვულე.

C ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ერთადერთი გუნდი, **თედო ზიბზიბაძისა და გიორგი გაბელიას** „პერიგო“, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს. ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად დაამარცხა უშუალო კონკურენტი „სენ ჟან დე ლუზი“ - 30:24. „პერიგოს“ 41 ქულა დაუგროვდა, მესამე ადგილზეა და მეტოქეს სამი ქულით გაასწრო. გაბელია განაცხადში არ იყო, ზიბზიბაძემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა.

### C ჯგუფი

ლიმოჟი-ენდაი 43:9, მონტობანი-ტულე 54:3, ლორმონი-ლავორი 14:6, როდეზი-ლანჟონი 34:10, სენ ჟან დე ლუზი-პერიგო 24:30.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. მონტობანი - 75 ქულა, 2. ლანჟონი - 45, 3. პერიგო - 41, 4. სენ ჟან დე ლუზი - 38, 5. როდეზი - 37, 6. ლიმოჟი - 36, 7. ლორმონი - 32, 8. ტულე - 31, 9. ლავორი - 23, 10. ენდაი - 17.

#### XVII ტური

ლანჟონი-მონტობანი, ტულე-ლორმონი, პერიგო-როდეზი, სენ ჟან დე ლუზი-ლიმოჟი, ლავორი-ენდაი.

**ლაშა მალალურაძის, სიმონ მაისურაძის, ლადო გუნიავას, ბექა ურჯუკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბაგნერემ“ სტუმრად წააგო „ბლანიაკთან“ - 14:29. მიუხედავად ამისა, ბაგნერელები 37 ქულით მე-6 ადგილზე არიან და პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებენ.

**მიხეილ გაჩეჩილაძის** „აჟეტმომ“, რომელიც 21 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, შინ წააგო მეორეადგილოსან „ოლორონთან“ - 6:14.

### D ჯგუფი

აჟეტმო-ოლორონი 6:14, ლანამეზანი-კასტანე 34:26, ლურდი-ვალანსი 25:26, ბლანიაკი-ბაგნერე 29:14, მოლეონი-ტიროსი 21:20.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 56 ქულა, 2. ოლორონი - 54, 3. ვალანსი - 43, 4. ლანამეზანი - 43, 5. კასტანე - 43, 6. ბაგნერე - 37, 7. ბლანიაკი - 36, 8. მოლეონი - 23, 9. აჟეტმო - 21, 10. ლურდი - 19.

#### XVII ტური

ვალანსი-აჟეტმო, კასტანე-ლურდი, ლანამეზანი-მოლეონი, ოლორონი-ბლანიაკი, ბაგნერე-ტიროსი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

საქართველოს ჩემპიონატი

# უმაღლესის კანდიდატები ცნობილია

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში რეგულარული გათამაშება დასრულდა. უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში ოთხი გუნდი იბრძოლებს. ესენია: თბილისის „თიბისი თსუ“, ქუთაისის „ბაგრატი“, ფოთის „რაინდები“ და თბილისის „დინამო“. პირველ ლიგაში, რომელიც მომავალი წლიდან რვაგუნდა იქნება, ადგილი უკვე შეინარჩუნეს ალმოსავლეთ და დასავლეთ ზონების მესამე-ადგილოსნებმა, წყალტუბოს „დინოზავრმა“ და პატარძეულის „ვეფხვებმა“

პირველ ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებენ ორივე ზონაში მეოთხე-მეხუთე ადგილზე გასული გუნდები. ესენია: „არწივები“ (ოზურგეთი), „ხულიგანა“ (თბილისი), „სტუ“ (თბილისი) და „ჯრუჭი“ (საჩხერე). სხვა დანარჩენი გუნდები მომავალ სეზონში მეორე ლიგაში ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში გამარჯვებული უძლიერესთა შორის თამაშის უფლებას ავტომატურად მიიღებს, მეორე ადგილზე გასული კი გადათამაშებაში დაუპირისპირდება ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრებულ უმაღლესლიგელს.

### I ლიგა

#### ალმოსავლეთი ზონა

#### XVIII ტური

დინამო-მგლები 52:0, ვეფხვები-თიბისი თსუ 32:24, ხულიგანა-სტუ 25:5, ივერია-ჯვაროსნები 17:8, დევები-ნიქარა 36:13.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. თიბისი თსუ - 81 ქულა, 2. დინამო - 72, 3. ვეფხვები - 68, 4. ხულიგანა - 57, 5. სტუ - 47, 6. დევები - 33, 7. ჯვაროსნები - 32, 8. ივერია - 27, 9. ნიქარა - 10, 10. მგლები - 5.

#### პლეი ოფი. გადასასვლელი

თიბისი თსუ (თბილისი), ბაგრატი (ქუთაისი), რაინდები (ფოთი), დინამო (თბილისი).

#### პლეი ოფი. დასარჩენი

არწივები (ოზურგეთი), ხულიგანა (თბილისი), სტუ (თბილისი), ჯრუჭი (საჩხერე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ჯოკოვიჩი აგასის დაეწია

**დღეიდან მაიამიში „მასტერსის" სერიის მორიგი ტურნირი იწყება, თუმცა ჯერ არ ჩამცხრალა ვნებები უკვე ჩავლილ ინდიან უელსის „მასტერსზე". გთავაზობთ გასულ კვირას დასრულებული ტურნირის სტატისტიკურ მიმოხილვას.**

1 - **ფლავია პენეტამ** კარიერაში პირველად მოიგო უმაღლესი კატეგორიის ტურნირი. იტალიელს ადრე ამ დონეზე ფინალშიც არ უთამაშია.

1 - პირველად ქალთა პროფესიულ ტურში ფინალში პოლონეთისა და იტალიის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს.

1 - **სლოუნ სტივენსი გახდა** პირველი ამერიკელი 2008 წლის შემდეგ, ვინც ინდიან უელსში მეოთხედფინალში გავიდა.

1 - **კეისი დელაკუა** პირველი ჩოგბურთელია ბოლო 10 წლის განმავლობაში, ვინც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა.

1 - **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** პირველად გავიდა „მასტერსის" ნახევარფინალში.

1 - **სტანისლას ვავრინკამ** პირველი მატჩი წააგო 2014 წელს. **კევინ ანდერსონთან** ფიასკომდე შვეიცარიელს ბოლო ნაგება 2013 წლის შემაჯამებელ ტურნირზე ჰქონდა.

3 - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მესამე ტიტული მოიგო ინდიან უელსში.

3 - **მილოშ რაონიჩმა** მესამედ დაამარცხა **ენდი მარეი.** ბრიტანელს კი მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს კანადელზე.

5 - **როჯერ ფედერერმა** კალიფორნიაში წარმატებული გამოსვლის შემდეგ, რეიტინგში ჩამოიცილა ენდი მარეი, **ტომაშ ბერდიხი** და **ხუან მარტინ დელ პოტრო.**

5 - **სიმონა ჰალეპი** აგრძელებს რუმინეთისთვის რეკორდების დამყარებას. ამ ქვეყნის წარმომადგენელი არასოდეს შესულა რეიტინგის ტოპ-ხუთეულში.

5 - **ერნესტ გულბისმა** 2014 წელს მეხუთედ ითამაშა მეოთხედფინალში. აქედან სამი წააგო.

5 - ენდი მარეის ბოლო ხუთი მატჩი სამსეტიანი იყო.

10 - **ჯონ ისნერი** კალიფორნიის ტურნირის შედეგების მიხედვით ATP-ის რეიტინგის ათეულში შევიდა. ამერიკელმა **ჟო-ვილფრიდ ცონგა** შეავიწროვა. თუმცა 2012 წლის აპრილში ჯონი მეცხრე ადგილზეც იყო კლასიფიკაციაში.

10 - ინდიან უელსში მოპოვებული ტიტული მეათე იყო ფლავია პენეტას კარიერაში.

10 - როჯერ ფედერერმა ფინალამდე ყველა მატჩი ორ სეტში მოიგო. შესაბამისად, მხოლოდ 10 პარტია დასჭირდა **შვეიცარიელს** გადამწყვეტ მატჩამდე მისაღწევად.

11 - **სუ-ვეი ჰსიემ** და **შუაი პენგმა** წყვილებში ზედიზედ მე-11 ფინალი მოიგეს. წყვილთა რეიტინგის ლიდერებს არასოდეს წაუგიათ გადამწყვეტ მატჩებში.

12 - კალიფორნიაში გამარჯვების წყალობით, პენეტა კლასიფიკაციაში მე-12 ადგილზე გადავიდა. იტალიელისთვის რეკორდია მე-10 ადგილი, რომელიც 2009 წლის აგვისტოში ეკავა.

16 - სწორედ ამდენჯერ გაარკვიეს ჯოკოვიჩმა და ფედერერმა ურთიერთობა ტაი-ბრეიკზე. ინდიან უელსის ფინალის შემდეგ ანგარიში გახდა - 8:8.

17 - ჯოკოვიჩმა „მასტერსის" სერიის ტურნირებზე მე-17 ტიტული მოიპოვა. სერბი გამარჯვებების რაოდენობით **ანდრე აგასის** დაეწია. წინ არიან მხოლოდ **რაფაელ ნადალი** (26) და როჯერ ფედერერი (21).

18 - **კლარა ზაკოპალოვამ** მეორე წრეში წააგო, მაგრამ ჩეხი კვლავაც ლიდერია ქალთა ტურში გამარჯვებების რაოდენობით. მის უახლოეს მდევრებს - **დომინიკა ციბულკოვასა** და **ანჟელიკ კერბერს** 16-16 მოგება აქვთ.

18 - **კაროლინა ვოზნიაცკიმ** ვერ შეძლო ინდიან უელსში შარშანდელი ფინალის დაცვა და WTA-ის რეიტინგში მე-18 ადგილამდე დაქვეითდა. ბოლოს დანიელი ასე დაბლა რეიტინგში 2008 წელს იყო.

20 - ჯერჯერობით მამაკაცთა ტურში ყველაზე მეტი მატჩი **მარინ ჩილიჩს** აქვს მოგებული. ერთი მოგებით ჩამორჩება მას როჯერ ფედერერი (19 გამარჯვება).

33 - როჯერ ფედერერმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა 33-ედ ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ. სერბმა ისევ შეამცირა მინიმუმამდე შვეიცარიელთან ჩამორჩენა. ახლა, ნოვაკი პრინციპულ მეტოქესთან 16:17-ს აგებს.

33 - მილოშ რაონიჩმა **ედუარდ როჯე-ვასელენთან** მატჩში 33 ეისი შეასრულა.

34 - ალექსანდრ დოლგოპოლოვმა 2014 წელს უპრეცედენტო პროგრესი განიცადა ATP-ის რეიტინგში. უკრაინელმა 2013 წლის სეზონი 57-ე ადგილზე დაასრულა, ახლა კი 23-ე ადგილზეა.

59 - სწორედ ამდენი ეისი ჩააწოდა ტურნირზე ჯონ ისნერმა.

95 - ძმებმა **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** 95-ე ტიტული მოიპოვეს. გარდა ამისა, ამერიკელებს 27 „მასტერსი" აქვთ მოგებული.

398 - **ვიქტორია აზარენკამ** ვერ შეძლო საიუბილეო გამარჯვების მოპოვება ინდიან უელსის კორტებზე. ბელარუსს ორი მოგება სჭირდება კარიერაში მე-400 გამარჯვებამდე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## მაიამი. ქალების ბადე

**1/64 (ზედა ნახევარი)**

ს. უილიამსი (აშშ, 1)
შვედოვა (ყაზ)
სკიავონე (იტა)
გარსია (საფ)
ვოზნიაკი (კან)
ზაკოპალოვა (ჩეხ, 27)
პავლიუჩენკოვა (რუს, 21)
კვალიფიკაცია
ერაკოვიჩი (ზელ)
კვალიფიკაცია
დუვალი (აშშ)
სტოსური (ავსტრა, 16)
ერანი (იტა, 9)
კვალიფიკაცია
კნაპი (იტა)
ბარტელი (გერ)
პეტერსონი (შვედ)
მაკაროვა (რუს, 23)
კირსტეა (რუმ, 25)
ვოსკობოევა (რუს)
პირონკოვა (ბულ)
პენგი (ჩინ)
კარ. პლიშკოვა (ჩეხ)
კერბერი (გერ, 5)
შარაპოვა (რუს, 4)
ბეკი (გერ)
ნარა (იაპ)
კვალიფიკაცია
კინგი (აშშ)
საფაროვა (ჩეხ, 26)
ფლიპკენსი (ბელ, 19)
უოტსონი (ბრიტ)
კვალიფიკაცია
პეტროვა (რუს)
უ. რადვანსკა (პოლ)
ლისიცკი (გერ, 14)
ივანოვიჩი (სერ, 12)
შანგი (ჩინ)
დევისი (აშშ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
პენეტა (იტა, 20)
კუზნეცოვა (რუს, 28)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ორმაეჩეა (არგ)
კვალიფიკაცია
კვიტოვა (ჩეხ, 8)

**1/32 (ზედა ნახევარი)**

ს. უილიამსი (აშშ, 1)
ზაკოპალოვა (ჩეხ, 27)
პავლიუჩენკოვა (რუს, 21)
სტოსური (ავსტრა, 16)
ერანი (იტა, 9)
მაკაროვა (რუს, 23)
კირსტეა (რუმ, 25)
კერბერი (გერ, 5)
შარაპოვა (რუს, 4)
საფაროვა (ჩეხ, 26)
ფლიპკენსი (ბელ, 19)
ლისიცკი (გერ, 14)
ივანოვიჩი (სერ, 12)
პენეტა (იტა, 20)
კუზნეცოვა (რუს, 28)
კვიტოვა (ჩეხ, 8)

1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ს. უილიამსი (აშშ, 1)-ზაკოპალოვა (ჩეხ, 28)
პავლიუჩენკოვა (რუს, 21)-სტოსური (ავსტრა, 16)
ერანი (იტა, 9)-მაკაროვა (რუს, 23)
კირსტეა (რუმ, 25)-კერბერი (გერ, 5)
შარაპოვა (რუს, 4)-საფაროვა (ჩეხ, 26)
ფლიპკენსი (ბელ, 19)-ლისიცკი (გერ, 14)
ივანოვიჩი (სერ, 12)-პენეტა (იტა, 20)
კუზნეცოვა (რუს, 28)-კვიტოვა (ჩეხ, 8)
ჰალეპი (რუმ, 6)-ვ. უილიამსი (აშშ, 29)
კორნე (საფ, 22)-ციბულკოვა ( სლოვ, 10)
ბუშარი (კან, 18)-ვინჩი (იტა, 13)
ვესნინა (რუს, 32)-ა. რადვანსკა (პოლ, 3)
იანკოვიჩი (სერ, 7)-მუგურუსა (ესპ, 30)
სტივენსი (აშშ, 17)-ვოზნიაცკი (დან, 11)
კანეპი (ესტ, 24)-სუარეს ნავარო (ესპ, 15)
ჰანტუხოვა (სლოვაკ, 31)-ნა ლი (ჩინ, 2)

### მაიამის ტურნირის გამარჯვებულები

1985 - მარტინა ნავრატილოვა
1986 - კრის ევერტი
1987, 1988, 1994, 1995, 1996 - შტეფი გრაფი
1989 - გაბრიელა საბატინი
1990, 1991 - მონიკა სელეში
1992, 1993 - არანჩა სანჩეს-ვიკარიო
1997, 2000 - მარტინა ჰინგისი
1998, 1999, 2001 - ვენუს უილიამსი
2002, 03, 04, 07, 08, 13 - სერენა უილიამსი
2005, 2010 - კიმ კლაისტერსი
2006 - სვეტლანა კუზნეცოვა
2009, 2011 - ვიქტორია აზარენკა
2012 - აგნიეშკა რადვანსკა

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16

**1/32 (ქვედა ნახევარი)**

ჰალეპი (რუმ, 6)
ვ. უილიამსი (აშშ, 29)
კორნე (საფ, 22)
ციბულკოვა (სლოვა, 10)
ვინჩი (იტა, 13)
ბუშარი (კან, 18)
ვესნინა (რუს, 32)
ა. რადვანსკა (პოლ, 3)
იანკოვიჩი (სერ, 7)
მუგურუსა (ესპ, 30)
სტივენსი (აშშ, 17)
ვოზნიაცკი (დან, 11)
სუარეს ნავარო (ესპ, 15)
კანეპი (ესტ, 24)
ჰანტუხოვა (სლოვაკ, 31)
ნა ლი (ჩინ, 2)

**1/64 (ქვედა ნახევარი)**

ჰალეპი (რუმ, 6)
დელაკუა (ავსტრა)
ფოგელი (ბელ)
დე ვრომი (პოლ)
შმიედლოვა (სლოვაკ)
ვ. უილიამსი (აშშ, 29)
კორნე (საფ, 22)
ტორრო ფლორი (ესპ)
პეტკოვიჩი (გერ)
მოისბურგერი (ავსტრი)
დომინგეს ლინო (ესპ)
ციბულკოვა (სლოვა, 10)
ვინჩი (იტა, 13)
ნიკულესკუ (რუმ)
ბ. ზახვალოვა (ჩეხ)
მატეკი (აშშ)
სვიტოლინა (უკრ)
ბუშარი (კან, 18)
ვესნინა (რუს, 32)
კვალიფიკაცია
რისკე (აშშ)
იოვანოვსკი (სერ)
ოპრანდი (შვეიც)
ა. რადვანსკა (პოლ, 3)
იანკოვიჩი (სერ, 7)
ვიკმაიერი (ბელ)
ლეპჩენკო (აშშ)
ტომლიანოვიჩი (ხორ)
მლადენოვიჩი (საფ)
მუგურუსა (ესპ, 30)
სტივენსი (აშშ, 17)
კვალიფიკაცია
კადანტუ (რუმ)
პუიგი (პ. რიკ)
რიბარიკოვა (სლოვაკ)
ვოზნიაცკი (დან, 11)
სუარეს ნავარო (ესპ, 15)
სოლერ-ესპინოსა (ესპ)
სხეპერსი (ს. აფრ)
მაკჰეილი (აშშ)
ჟენგი (ჩინ)
კანეპი (ესტ, 24)
ჰანტუხოვა (სლოვაკ, 31)
კონტავეიტი (ესტ)
კისი (აშშ)
მელცერი (ავსტრია)
კლეიბანოვა (რუს)
ნა ლი (ჩინ, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კლიპერსი გააჩერეს



კევინ დურანტი

„ფილადელფია" კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა „კლივლენდს". ლაპარაკია არა სატურნირო ცხრილზე, არამედ ნაგებათა ყველაზე გრძელ სერიაზე: „კავალიერზმა" ოთხი სეზონის წინ ზედიზედ 26 მატჩი წააგო. ამასობაში, „სიქსერზმა" ზედიზედ 21-ე მატჩი დათმო „ინდიანას" წინააღმდეგ. არადა, სტუმრებმა მოიგეს პირველი მეოთხედი, დასკვნით მეოთხედში კი ორჯერ მიუახლოვდნენ მეტოქეს სამ ქულამდე. მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. მატჩის გმირი ლენს სტივენსონი გახდა, ხოლო ევან ტერნერმა ყოფილ თანაგუნდელებთან ოთხი ქულა და შვიდი მოხსნა მიითვალა.

■ ■ ■

სულ ცოტა ხნის წინ, პრესა ბევრს წერდა ჯეისონ კიდის შესაძლო გათავისუფლების შესახებ, ახლა კი დროება შეიცვალა. გუნდი იბრძვის პლეი ოფში საკუთარი მოედნის უპირატესობის მოსაპოვებლად, რაც სულაც არ არის შეუძლებელი ამოცანა და გუნდი მიზანთან ახლოსაა. „ბრუკლინმა" საკმაოდ ძლიერ „ფინიქსთან" შინ ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. გუნდებს ბევრ სათამაშო კომპონენტში თანაფარდობა ჰქონდათ, უბრალოდ, „სანზი" გაცილებით ცუდად ისროდა, რამაც „ბრუკლინის" დამაჯერებელი გამარჯვება გამოიწვია.

■ ■ ■

გაუჭირდა კევინ დურანტსა და კომპანიას ჩიკაგოში, რადგან ტომ ტიბოდოს დაცვითი სქემები გამართულად მუშაობდა. სტუმრები დიდი ხანი ეძებდნენ გასაღებს ამ დაცვის გასარღვევად და ბოლოს მაინც მიაღწიეს მიზანს. საჭირო დროს მოუმატეს თამაშს დურანტმა (რომელიც ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მაიკლ ჯორდანის რეკორდს ზედიზედ ჩატარებული 25-ქულიანი მატჩების რაოდენობით) და რასელ უესტბრუკმა. ამ უკანასკნელს პასი და მოხსნა არ ეყო სამმაგ-დუბლამდე.

ამგვარ მიღწევასთან ახლოს იყო ჟოაკიმ ნოაც. „ბულზი" მეოთხე მეოთხედამდე თანაბრად ებრძოდა კლასით უფრო მაღალ მეტოქეს, რასაც მოჰყვა „მშრალი" სერია, რომელიც ექვსი წუთი გაგრძელდა: ეს ნიშნავდა შინ „ოკლაჰომასთან" ბოლო ხუთ მატჩში ოთხ ნაგებას.

■ ■ ■

გასულ წელს „დენვერმა" შეძლო „კლიპერსის" 17-მატჩიანი მოგებათა სერიის შეწყვეტა და მიმდინარე სეზონში „ნაგეტსმა" იგივე ილეთი ჩაუტარა იმავე გუნდს, რომელსაც 11 მატჩი ჰქონდა მოგებული. მასპინძლები ელემენტარულად უკეთ ისროდნენ თამაშიდან, აგრეთვე ხშირად დგებოდნენ საჯარიმოს ხაზზე. გარდა ამისა, კოლორადოულ კლუბს ულაპარაკო უპირატესობა ჰქონდა ფარქვეშ ბრძოლაში.

გამარჯვებულთა რიგებში მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ჯეი ჯეი ჰიქსონი და ტაი ლოუსონი. დენვერელებმა 14:2 გაქცევით დაასრულეს შეხვედრა და გაანბილეს კალიფორნიელი სტუმრები.

**შარლოტი-ატლანტა 83:97**

28:22, 24:24, 16:30, 15:21

შ: უოკერი (20), ჯეფერსონი (16+12 მოხსნა), ჰენდერსონი (16).

ა: მილსეპი (28), ანტიჩი ( 11+10 მოხსნა), ტიგი (11+9 პასი), კორვერი (10+9 მოხსნა), სკოტი (10).

**ინდიანა-ფილადელფია 99:90**

21:24, 37:26, 17:17, 24:23

ი: სტივენსონი (25), ჯორჯი (24), ჰილი (11), მაინმი (10), უესტი (7+12 მოხსნა).

ფ: იანგი (23), როტენი (17), ტომპსონი (17), კარტერ-უილიამსი (15+13 მოხსნა), სიმსი (9+11 მოხსნა).

**ბრუკლინი-ფინიქსი 108:95**

30:20, 32:29, 28:23, 18:23

ბ: უილიამსი (28), ჯონსონი (19), პლამლი (14+11 მოხსნა), ლივინგსტონი (12), პირსი (10).

ფ: მარკიფ მორისი (18), გრინი (17), დრაგიჩი (13), ბლედსოუ (10).

**ჩიკაგო-ოკლაჰომა 85:97**

21:23, 24:24, 22:27, 18:23

ჩ: გიბსონი (16), ბატლერი (13), ბუზერი (12+11 მოხსნა), დანლივი (11), ოგასტინი (10), ნოა (9+12 მოხსნა+9 პასი).

ო: დურანტი (35+12 მოხსნა), უესტბრუკი (17+9 მოხსნა+9 პასი), იბაკა (15), ბატლერი (12), ჯექსონი (11).

**ჰიუსტონი-იუტა 124:86**

28:20, 32:21, 32:28, 32:17

ჰ: ჯონსი (30+4 დაფარება), ბევერლი (19), ლინი (17+9 პასი), ჰემილტონი (15), ჰარდენი (15), აშიქი (12+11 მოხსნა), მოტეიუნასი (7+11 მოხსნა).

ი: ფეივორსი (15), ბერკსი (15), ჰეივორდი (11), ბერკი (10).

**დალასი-ბოსტონი 94:89**

26:22, 24:21, 14:18, 30:28

დ: ნოვიცკი (19), ელისი (17), ჰარისი (12), მერიონი (11), რაიტი (10).

ბ: ბეილესი (19), ოლინიკი (16+9 მოხსნა), სალინჯერი (13+9 მოხსნა), ბრედლი (11), ჰემფრიზი (5+14 მოხსნა).

**დენვერი-კლიპერსი 110:100**

23:25, 33:28, 27:30, 27:17

დ: ჰიქსონი (21+11 მოხსნა), ლოუსონი (19+4 ჩაჭრა), ფარიდი (18+16 მოხსნა), მოზგოვი (15+9 მოხსნა), ფოიე (14+4 ჩაჭრა), ჩენდლერი (11).

კ: პოლი (29), გრიფინი (26+12 მოხსნა), გრეინჯერი (11), ჯორდანი (8+11 მოხსნა).



ელ ჯეფერსონი

## კვირის საუკეთესოები

„შარლოტ ბობკეტსისა" და „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ფორვარდები ელ ჯეფერსონი და ბლეიკ გრიფინი გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეფერსონი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა და ამ შეხვედრებში საშუალოდ 24.3 ქულა და 11.5 მოხსნა დააგროვა. შარლოტელმა ოთხიდან სამ მატჩში შეასრულა ორმაგი დუბლი.

გრიფინის კარგი თამაშის წყალობით, "კლიპერსმა" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში ფორვარდის მონაგარი იყო - 27.0 ქულა, 9.3 მოხსნა, 4.8 პასი და 1.5 ჩაჭრა. გრიფინმა ოთხივე მატჩში მინიმუმ 20 ქულა დააგროვა, ორ თამაშში კი 30-ქულიანი ზღვარი გადალახა.

**ჯეფერსონის კვირა**

**10 მარტი. შარლოტი-დენვერი 105:98.** 26 ქულა, 13 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა.

**12 მარტი. ვაშინგტონი-შარლოტი 85:98.** 26 ქულა, 10 მოხსნა.

**14 მარტი. შარლოტი-მინესოტა 105:93.** 25 ქულა, 16 მოხსნა.

**გრიფინის კვირა**

**10 მარტი. კლიპერსი-ფინიქსი 112:105.** 37 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი.

**12 მარტი. კლიპერსი-გოლდენ სტეიტი 111:98.** 30 ქულა, 15 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა.

**16 მარტი. კლიპერსი-კლივლენდი 102:80.** 21 ქულა, 8 პასი, 11 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კაილ კორვერი** („ატლანტა"), **პოლ ჯორჯი** ("ინდიანა"), **მაიკ კონლი** ("მემფისი"), **ენტონი დევისი** („ნიუ ორლეანი"), **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი"), **მანუ ჯინობილი** („სან ანტონიო") და **ტიმ ჰარდუეი** („ნიუ იორკი").

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ამბები

**კალათბურთი**

### ირვინგი ორი კვირა დაისვენებს

„კლივლენდ კავალიერზის" გამთამაშებელი **კაირი ირვინგი** მინიმუმ ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს მარცხენა მხარის ტრავმის გამო. „ყველა ვარსკვლავის მატჩის" MVP-მ ეს დაზიანება 17 მარტს, „კლიპერსთან" მატჩის პირველ მეოთხედში მიიღო. თავდაპირველად იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ირვინგი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებდა. ორი კვირის შემდეგ ახალი სამედიცინო შემოწმება ჩატარდება და მაშინ გახდება ცნობილი აღდგენის ზუსტი თარიღი.

ამ სეზონში კაირი ირვინგმა 64 მატჩი ჩაატარა „კლივლენდის" რიგებში და საშუალოდ 21.2 ქულა დააგროვა.

**ჭადრაკი**

### ლიდერი ისევ ანანდია

ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა პრეტენდენტთა ტურნირი. გუშინ გაიმართა მეხუთე ტურის პარტიები, რომლის შემდეგაც ინდოელმა **ვიშვანათან ანანდმა** შეინარჩუნა პირველი ადგილი. მან ამ ტურში შავი ფიგურებით ყაიმით დაასრულა პარტია რუს **ანდრეიკინთან**.

გუშინ კიდევ ორი პარტია დასრულდა ყაიმით, რუსმა **სვიდლერმა** კი ბულგარელი **ტოპალოვი** დაამარცხა.

**V ტური:** კრამნიკი (რუსეთი)-არონიანი (სომხეთი) 0,5:0,5; ანდრეიკინი (რუსეთი)-ანანდი (რუსეთი) 1,5:1,5; სვიდლერი (რუსეთი)-ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0; კარიაკინი (რუსეთი)-მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 1,5:1,5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ანანდი - 3,5 ქულა; 2-4. არონიანი, კრამნიკი, სვიდლერი - 3, 5-7. ტოპალოვი, კარიაკინი, მამედიაროვი - 2, 8. ანდრეიკინი - 1.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩელსი-გალათასარაი | 2:0 (1:1) |
| რეალი-შალკე | 3:1 (6:1) |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ჩარლტონი-ბორნმუთი | 1:0 |
| უენსდი-ქუინზ პარკი | 3:0 |
| უიგანი-იეოვილი | 3:3 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| კოლჩესტერი-შრიუსბერი | 1:0 |
| ძროული-ვულვზი | 2:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-მორეკამბი | 5:1 |
| ჩელტენემი-უიკომბი | 1:1 |
| ნორთჰემპტონი-როჩდეილი | 0:3 |
| პლიმუტი-ჩესტერფილდი | 2:1 |
| ტორკი-ბერი | 2:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-კიდერმინსტერი | 0:0 |
| ალფრეტონი-ტამუორტი | 4:2 |
| ბრენტრი-ლინკოლნი | 0:2 |
| კემბრიჯი-უელინგი | 2:1 |
| ჩესტერი-საუთპორტი | 2:2 |
| ფორესტ გრინი-გრიმსბი | 2:1 |
| მაკლსფილდი-ბარნეტი | 2:0 |
| რექსჰემი-ჰერეფორდი | 2:0 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი II-მემინგენი | 1:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრესტი-ანჟერსი | 1:0 |

**შოტლანდია**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| დანდი-რეითი | 0:0 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| უორენპოინტი-გლენავონი | 2:1 |

**პოლუნეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ზავიშა-გურნიკი | 2:1 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| დებრეცენი-პუშკაში | 1:1 |
| პეჩი-ვიდეოტონი | 1:1 |
| დიოშდიორი-ჟიგეტჟენტმიკ. | 2:2 |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| პელისტერი-მაკედონია | 2:1 |

**აზია**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ესტეგლალი-ალ ჯაზირა | 2:2 |
| ალ შაბაბი-ალ რაიიანი | 4:3 |
| ლეხვია-ალ იტიჰადი | 2:0 |
| ალ აინი-ტერაქტორი | 3:1 |
| სერეზო ოსაკა-ბურირამი | 4:0 |
| პოჰანგი-შანდონგი | 2:2 |
| მელბურნი-იოკოჰამა | 1:0 |
| გუანგჯოუ-ჭეონბუკი | 3:1 |

**ს. აფრიკა**

| | |
|---|---|
| ფრი სტეიტი-მამელოდი | 1:2 |
| მოროკა-ლამონტვილი | 1:0 |
| მპუმალანგა-ორლანდო | 1:1 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ბუდიველნიკი-ცრ. ზვეზდა | 82:79 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ტარტუ-შოლნოკი | 60:78 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლე მანი-პარიზი | 87:90 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ს. იულიაევი-ტორპედო | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| დორნბირნი-ზალცბურგი | 2:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ოლბორგი | 3:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-პარდუბიცე | 0:4 |
| პლზენი-ბრნო | 1:4 |
| ზლინი-კრალოვე | 1:1 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ლოზანა-ციურიხი | 1:7 |
| ლუგანო-სერვეტი | 1:2 |
| ამბრი-ფრიბურგი | 2:4 |
| დავოსი-კლოტენი | 0:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-ვექსიო | 2:3 |
| ფერიესტადი-ბრინასი | 4:2 |

**ჩოგბურთი**

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| ვოსკობოევა-**პირონკოვა** | 2:6, 5:7 |
| მატეკი-**სვიტოლინა** | 3:6, 6:3, 3:6 |
| **გარსია**-ვოზნიაკი | 6:3, 7:5 |
| ბეკი-**ნარა** | 6:7, 4:6 |
| იოვანოვსკი-**ოპრანდი** | 2:6, 4:6 |
| **შვედოვა**-სკიავონე | 6:4, 6:2 |
| ვიკმაიერი-**ლეპჩენკო** | 5:7, 1:6 |
| **დელაკუა**-ფოგელი | 6:3, 6:2 |
| სოლერ ესპინოსა-**სხეპერსი** | 3:6, 0:6 |

## TV პროგრამა

**19 მარტი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. დორტმუნდი-ზენიტი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. რეალი-შალკე. საპასუხო მატჩი.
**12:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ეშტორილი-მარიტიმუ.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. აუგსბურგი-შალკე.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური . ბრედა-აიაქსი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. დორტმუნდი-ბორუსია (მ).
**21:00** ევროპის ლიგის მიმოხილვა.
**22:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური. სპორტინგი-პორტო.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ჰერტა-ჰანოვერი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი.
**14:30** საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ნასიონალი-ბენფიკა.
**17:15** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-შოტლანდია.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
**18:30** სპორტ-NEWS.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 13 | (მზე) |
| ქუთაისი | 4 | 13 | (წვიმა) |
| ბათუმი | 6 | 14 | (წვიმა) |
| ფოთი | 5 | 13 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 3 | 15 | (წვიმა) |
| გორი | 2 | 10 | (მზე) |
| თელავი | 4 | 14 | (მზე) |
| სიღნაღი | 3 | 13 | (წვიმა) |
| გუდაური | -8 | 2 | (მზე) |
| ბაკურიანი | -4 | 2 | (მზე) |
| ბორჯომი | 1 | 9 | (მზე) |
| მესტია | -8 | 3 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4023 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7275 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8685 |
| 100 რუსული რუბლი | 4.7395 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


ჩხუბი სენტ ლუისში

# დიდი ჩხუბი სენტ ლუისში...

რეგულარული ჩემპიონატის მორიგ დღეს, „სენტ ლუისმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „ვინიპეგი" და პირველი გუნდი გახდა სეზონში, რომელმაც 100-ქულიან ზღვარს მიაღწია. მატჩის გმირი გახდა „ბლუზმენების" კაპიტანი **დევიდ ბეკსი**, რომელმაც დუბლი შეასრულა.

„ბლუზი" დასავლეთი კონფერენციის ლიდერია და რეალური შანსი აქვს მოიგოს „პრეზიდენტ ტროფი" (რეგულარულის გამარჯვებული). დიდი ხანია, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულს არ მოუპოვებია სტენლის თასი, მიუხედავად ამისა, „სენტ ლუისის" მწვრთნელი **კენ ჰიჩკოკი** უარს არ იტყოდა „პრეზიდენტ ტროფიზე". *„რეგულარული ჩემპიონატის მოგება საკუთარი მოედნის უპირატესობას იძლევა მთელ სათასო დისტანციაზე. რატომ უნდა ვთქვათ ასეთ პერსპექტივაზე უარი?!"* - განაცხადა ჰიჩკოკმა.

„სენტ ლუისმა" არსებობის ისტორიაში მეექვსედ გადალახა რეგულარულ ჩემპიონატში 100-ქულიანი ზღვარი. მისი უპირატესობა უახლოეს კონკურენტებთან - „ბოსტონთან", „ანაჰაიმთან" და „სან ხოსესთან" სამ ქულას შეადგენს.

სხვათა შორის, „სენტ ლუისისა" და „ვინიპეგის" მატჩის დასრულებამდე ცხრა წამით ადრე, ყინულზე გრანდიოზული ჩხუბი ატყდა - მასში ორივე მხრიდან ხუთ-ხუთი ჰოკეისტი ჩაება. ჩხუბი გამოიწვია „ვინიპეგის" მოთამაშის **დასტინ ბაფლინის** არასპორტულმა საქციელმა - მან ზურგში ჩაარტყა მეტოქე კალათბურთელს.

ჩხუბის მონაწილეებმა არაფრად ჩააგდეს NHL-ის მებრძოლთა ღირსების კოდექსი (მაგალითად, ნაქცეულს ურტყამდნენ) და საერთო ჯამში, 100 საჯარიმო წუთი შეაგროვეს.

**ჯერომ იგინლას** დუბლისა და „ბრუინზის" მეკარე **ტუუკა რასკის** მიერ მოგერიებული 33 დარტყმის წყალობით, „ბოსტონმა" „მინესოტა" დაამარცხა და ზედიზედ მეცხრე გამარჯვება გაიფორმა. 36 წლის იგინლამ კარიერაში 1300-ე მატჩი ჩაატარა (მეხუთე ადგილი მოქმედ მოთამაშეებს შორის) და მეთოთხმეტედ მიაღწია 25-შაიბიან ზღვარს.

ზედიზედ მეცხრე მოგებამ „ბოსტონს" საშუალება მისცა ხუთი ქულით დაშორებოდა აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილში „პიტსბურგს". ეს გუნდები კონფერენციის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვიან.

**ბოსტონი–მინესოტა 4:1**

0:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 იგინლა-24 (ბარტკოვსკი-15, მეზაროში-13), 2:0 ლ. ერიქსონი-8 (სიოდერბერგი-27), 2:1 პომინვილი-26 (სატერი-31, მიკაელ გრანლუნდი-30), 3:1 რ. სმიტი-19 (პ. ბერჟერონი-27, ხარა-15), 4:1 იგინლა-25 (ხარა-16).

**ტამპა ბეი–ვანკუვერი 4:3**

1:0, 2:0, 1:3

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-16 (პალატი-28, კელეპანი-17), 2:0 პალატი-18 (მეტიუ კარლი-26), 3:0 ფილპულა-22 (სტემკოსი-11), 3:1 ბაროუზი-4 (ბიეკსა-19, ედლერი-13), 4:1 პიატი-3 (ტ.-ჯ. ბრაუნი-11, ჰედმანი-32), 4:2 ბაროუზი-5 (იენსენი-2, ჰ. სედინი-34), 4:3 ჰანსენი-11 (ბაროუზი-9).

**სტ ლუისი–ვინიპეგი 3:1**

0:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 მოროუ-11 (როი-28, ბოუმისტერი-29), 1:1 ო'დელი-3 (ე. კეინი-18, ბოგოსიანი-8), 2:1 ბექსი-22 (კოული-8, ბოუმისტერი-30), 3:1 ბექსი-23 (პიეტრანჯელო-39).

**ლოს ანჯელესი–ფინიქსი 3:4**

1:2, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 კლინკჰამერი-11 (ვრბატა-28, ჰანზალი-23), 0:2 ბოდკერი-17 (ეკმან-ლარსონი-26, იენდლი-41), 1:2 პირსონი-2 (სტოლი-15, ტოფოლი-14), 2:2 მარტინესი-8 (ჯ. კარტერი-20), 3:2 გაბორიკი-8 (კოპიტარი-36, ვოინოვი-24), 3:3 იენდლი-8, 3:4 ჰალპერნი-4 (დოუნი-21, ჩიპჩურა-11).

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" მეკარე **სერგეი ბობროვსკი**. რუსი თავის გუნდს ექვსი შესაძლებლიდან ხუთი ქულის მოპოვებაში დაეხმარა, საშუალოდ 1.58 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.0 პროცენტი მოიგერია. „კოლამბუსი" მესამე ადგილზეა მეტროპოლიტენის დივიზიონში.

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა „ნიუ იორკ აილენდერსის" ფორვარდი **კაილ ოკსოპო**, რომელმაც სამ მატჩში 7 ქულა (1+6) დააგროვა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „სან ხოსეს" მეკარემ **ანტი ნიემიმ**. გასულ კვირას მისმა გუნდმა სამი მატჩი მოიგო. ფინელმა საშუალოდ 1.67 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.0 პროცენტი მოიგერია. ამ მომენტისთვის „სან ხოსეს" მოგებათა სერია ექვს მატჩს უდრის.

ფორმულა 1

# კულტჰარდის ფიქრები

ტელეკომპანია BBC-ის ვებგვერდზე საკუთარ ბლოგში ცნობილმა შოტლანდიელმა დევიდ კულტჰარდმა ახალი სეზონის პირველი რბოლის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებზე ილაპარაკა...

**დევიდ კულტჰარდი:** „რბოლის შემდეგ, საღამოს მექანიკოსებთან ვახშმისას დანიელ რიკარდო თავისი განთქმული ღიმილით ელოდებოდა სტიუარდების გადაწყვეტილებას შესაძლო დისკვალიფიკაციის შესახებ. რა თქმა უნდა, ის იმედგაცრუებულია 18 ქულის დაკარგვით, მაგრამ პოზიტიური მომენტები უფრო მეტი იყო. „რედ ბულის" ბოლიდით პირველივე რბოლაში ავსტრალიელმა გაამართლა ხელმძღვანელობის ნდობა.

„რედ ბულში" გადაწყვიტეს რიკარდოსთვის შანსის მიცემა და არ მიიწვიეს ფერნანდო ალონსო ან კიმი რაიკონენი. პასუხად, დანიელმა ბრწყინვალედ ჩაატარა უქმეები მელბურნში. პარასკევს ის ახლოს იყო ფეტელის შედეგებთან, შაბათს სველ ტრასაზე მეორე ადგილი დაიკავა კვალიფიკაციაში, კვირას კი ბრწყინვალედ ჩაატარა რბოლა და მხოლოდ ნიკო როსბერგს ჩამორჩა. გულშემატკივრები ძალიან თბილად მიესალმნენ მას პოდიუმზე. საკითხი ასე დგას - ხომ არ უკავშირდება ეს შედეგი ძრავაში საწვავის დიდი რაოდენობით მიწოდებას.

საერთო ჯამში, ავსტრალიის გრანპრი ფორმულა 1-ში ახალი ეპოქის კარგი სტარტი აღმოჩნდა. ახალი ტურბოძრავები ძალიან რთული მექანიზმისაა. ადრე ვამბობდი, რომ მხოლოდ პილოტების ნახევარი მივიდოდა ფინიშთან, მაგრამ ასე არ მოხდა; ვამბობდი, რომ გაიმარჯვებდა პილოტი საუკეთესო ძრავით - ეს მოსაზრება გამართლდა. დღეს ყველაზე ეფექტური ძალისმიერი აგრეგატი „მერსედესს" აქვს და რბოლაში როსბერგი სრულად აკონტროლებდა სიტუაციას. გუნდმა კარგი შასი შექმნა, მაგრამ რბოლაში უპირატესობას, ძირითადად, სწორედ ძრავას უნდა უმადლოდნენ. რიკარდოს დისკვალიფიკაციის შემდეგ, საბოლოო ოქმის პირველ ექვსეულში მხოლოდ ალონსოს მანქანას აქვს სხვა მწარმოებლის ძრავა.

კევინ მაგნუსენი შესანიშნავად გაუმკლავდა თავის სამუშაოს სადებიუტო გრანპრიზე. დიახ, როსბერგმა მას 25 წამი მოუგო ფინიშზე, მაგრამ უნდა გავიხსენოთ ის, რომ შარშან, „მერსედესმა" მეორე ადგილი დაიკავა კონსტრუქტორთა თასზე, მოიგო სამი რბოლა და სეზონის სტარტზე ყველაზე სწრაფი მანქანა ჰყავდა კვალიფიკაციაში. „მაკლარენის" პილოტები კი 2013 წელს ერთხელაც ვერ ავიდნენ პოდიუმზე. წელს ამ გუნდმა სერიოზული პროგრესი განიცადა, მაგრამ ერთი ნაბიჯით უკან არის, არადა, იგივე ძალისმიერი აგრეგატი აქვს.

„მერსედესის" დაწევა შეიძლება, მაგრამ ეს რთული იქნება. ისტორიიდან ვიცით, რომ გუნდი, რომელიც სეზონის სტარტზე ბევრ ქულას მოიპოვებს, საბოლოოდ, ჩემპიონატს იგებს. ეს სრულიად დამსახურებული უპირატესობაა. ახლა კონკურენტებმა უნდა სცადონ მათი დაწევა, როგორც „მერსედესი" ცდილობდა „რედ ბულის" დაწევას. ჰემილტონი იმედგაცრუებულია რბოლიდან გამოვარდნით, მაგრამ სეზონი მხოლოდ ახლა დაიწყო და თან როსბერგის მანქანასაც შეიძლება იგივე დაემართოს.

დისკვალიფიკაციამდე როსბერგის უახლოესი მეტოქე იყო დანიელ რიკარდო „რედ ბულიდან", რაც მიუთითებს სერიოზულ პროგრესზე, რომელსაც „რენომ" მიაღწია ძალისმიერ აგრეგატთან მუშაობაში. მეორე მხრივ, სებასტიან ფეტელის პრობლემები იმაზე მეტყველებს, რომ ავსტრიელებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. გუნდთან რადიომოლაპარაკებებისას, ფეტელს ხმაზე ეტყობოდა, რომ ის იმედგაცრუებული იყო, მაგრამ თუ პილოტი არ წუხს რბოლიდან გამოვარდნაზე, გამოდის, რომ ის არაკონკურენტუნარიანია, სებასტიანზე კი ამას ვერ ვიტყვით. ძლიერ გუნდში ყოველი თანამშრომელი გულწრფელად უნდა წუხდეს საერთო პრობლემებზე".


ნიკო როსბერგი

ჩოგბურთი



რაფა ნადალი

# რაფა ტურნირს ყიდულობს?

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** ATP-ის ტურის ერთ-ერთი ტურნირის შეძენის სურვილით გამოდის, ამასთან, მას უნდა „მასტერსის" ტურნირის თანამფლობელი გახდეს, - იტყობინება ესპანური პრესა. შეგახსენებთ, „დიდი სლემის" ჩემპიონატების 13-გზის გამარჯვებულის სამშობლოში „მასტერსის" სერიის მხოლოდ ერთი ტურნირი იმართება - მადრიდში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩოგბურთში ხშირია შემთხვევები, როცა მოთამაშეები ტურნირებზე უფლებებს ფლობენ. მაგალითად, **დავიდ ფერერსა** და **ხუან-კარლოს ფერეროს** ვალენსიას ტურნირის აქციათა 25-25 პროცენტი აქვთ, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** კი ბაზელის შეჯიბრების აქციონერთა რიგებში შედის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827
9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოდერძი ლეწვი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608